

652
1967

3440363430
202401010330

အသံသယ
၁၃၁၆၁

19267

საქართველოს
ზოგადი განათლების
მინისტრის განკარგულებაში



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური

ჟურნალი

საქართველოს მწერალთა

კავშირის ახარის

განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

2

1967

მ ა რ ტ ი
ა პ რ ი ლ ი

3. ტელეკომპიუტერი — ნოვათი (მოთხრობა, თარგმნა ტ. ხინთიბიძემ)	3
5. გვარამაძე — ლექსები	9
6. სოფიას — ბიჭი და მტრედი (მოთხ- რობა)	12
7. მაღალაშვილი — ჩემი სოფლის სიყვარული (ლექსი)	17
8. ვარაზიშვილი — ლექსები	19
9. ჩხიშვილი — საყვალა (მოთხრობა)	22
10. შუშუბერიძე — ლექსები	35
11. მუთათელიძე — წვიმიანი დღე (მოთხ- რობა)	37
12. ტარასოვა — ლექსები (თარგმნა გ. სა- ლუქვაძემ)	41
13. ტურგენივი — ზღურობი (ლექსი პრო- ზად, თარგმნა ლ. ჩიქოვანმა)	43
კრიტიკა და კუპლიცისტიკა	
14. მურმანი — ოქტომბრის იდეებით შთა- გონებული	45

ახარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

3. ჯორბანაძე — რომანის კრიზისის პრობლემა და მოდერნისტული მითი . . .	50
4. ართილაშვას — ერთნაირია თუ არა ტა- რეელისა და ავთანდილის ხასიათი? . . .	57
5. ვადაშვილი — ლექსის კითხვის ზოგიერთი საკითხი	61
6. ციხაძე — ვაჭრობის ეკონომიური ეფე- ქტურობის ამაღლების ზოგიერთი საკი- თხი	67
ხელოვნება	

7. ლომიძე — გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორი	75
--	----

ფოლკლორი

8. ბაბინაძე — ჭიბონი	80
--------------------------------	----

აჭარის წარსულიდან

9. ცაშვილი — აჭარაში საბჭოთა ხელი- სუფლების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ისტორიიდან	82
10. თურმანიძე — ჩაის სამრეწველო წარ- მოების პიონერი	88

სატირა და იუმორი

11. ქაშაიაძე — უიღბლო მეღა (მოთხ- რობა)	92
--	----

რედაქტორი შოთა ქუჩიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ჯარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

პიქტორ გალუხეშვი

ნოტატი

პავლემ ომი დიდი ხანია დაამთავრა, სამხედრო სამსახურს კი აგრძელებდა: ოცი წლის გაზაფხული რომ დადგა, იგი მოსკოვში პირველ მეტყვიამფრტყევეთა კურსებზე სწავლობდა. მაგრამ ბედს არ უჩიოდა. პავლეს მოსწონდა, რომ მას, უბრალო სოფელ ბიჭს წილად ზედა იარაღი ეტარებინა არა სადმე სხვაგან, არამედ კრემლში. რატომ? ეს პავლემ, ალბათ, ხერიიანად თვითონაც არ იცოდა. მოსწონდა და მორჩა. მან ასეც მისწერა მამას: „სამსახური კარგი მაქვს“. უნდოდა დაემატებინა; წილად მხვდა პატივი დავიცვა ლენინის ბინა, რამდენჯერმე უკვე ვიდექი ამ საგუშაგოზეო, მაგრამ გადაიფიქრა. უფრო სწორად, ამხანაგებმა არ ურჩიეს:

— ასეთი საქმე მოგანდეს, შენ კი...

— მე ხომ მშობელ მამას...

— სულერთია: საიდუმლოა. სახელმწიფო საიდუმლოებაა, გესმის? პავლეს ესმოდა, მაგრამ სიხარულის დამალვა ძლიერ უჭირდა. იდგა საგუშაგოზე და იღიმებოდა. ეს დიდი ხანია შენიშნეს მეგობრებმა.

— პავლე-კრეჭია, — თქვა ვილაცამ.

ეს მეტსახელი შერჩა ყმაწვილს, მაგრამ არ წყინდა. ბარჩხალა მზე-სავით იბადრებოდა. ერთხელ მოლიმარ გუშაგთან წამით შეჩერდა ლენინი.

— კარგ ხასიათზე ხართ?

პავლემ უხმოდ დაუქნია თავი.

— აი ეს შესანიშნავია. რა გქვიათ?

ყმაწვილი ამას არ ელოდა და დაიბნა, კინალამ წამოროშა „პავლე-კრეჭია“, მაგრამ ღროზე გაახსენდა სად იყო და ვინ იყო.

— პავლე...

ლენინმა შენიშნა, რომ გუშაგი შეცბა და მხარზე მსუბუქად დაჰკრა ზელი.

— უკვე ნაცნობები ვართ, ამხანაგო პავლე.

ამის შემდეგ ისინი უხმოდ ესალმებოდნენ ერთი მეორეს. გაულიმე-
ბდნენ წამით ერთმანეთს — და ახალ შეხვედრამდე.

მაგრამ ერთხელ აი რა მოხდა: შეხედა პავლეს ვლადიმერ ილიჩმა და
ვერ იცნო იგი: მის წინ იდგა დაღვრემილი, შეურყეველი კაცი.

— რა მოგივიდათ? — მივიდა მასთან ლენინი.

პავლე მოიბუზა.

— რაღაც უსიამოვნება შეგემთხვათ, არა?

პავლემ, ისე როგორც წინათ, თავი დაუქნია ვლადიმერ ილიჩს.

— ძალიან გთხოვთ, როცა შეიცვლებით, შემოდით ჩემთან. კარგი?
მხოლოდ არავითარი მორიდება და ცერემონია. გელოდებით.

სალამოს პავლე ლენინთან მივიდა.

—ა! დაჯექით აი აქ, — ალერსიანად შეხვდა მას ვლადიმერ ილიჩი. —
აბა, მითხარით რა მოხდა?

— რაღაც მეუხერხულება თქვენი შეწყობება...

— არა, არა, შემაწყობეთ, გთხოვთ. აუცილებლად შემაწყო-
ბეთ!

პავლემ მოიწმინდა დაძაბულობით გაოფლიანებული შუბლი. ისე დაი-
ფრთხა ხელიდან წვეთი, თითქოს უნდოდა ეთქვა: „რაც იქნება, იქნება!“
და უცებ გაბედული გახდა.

— წერილი მივიღე სოფლიდან, ვლადიმერ ილიჩ.

— ასე. რა წერია ბარათში? ცუდი ამბავია?

— მამაჩემს დღეები ელევა.

— პოვოლჩიედან ხართ?

— არა, კურსკია ჩვენი მამული.

— კურსკი? — ლენინმაც ხელი გადაისვა შუბლზე, — შეიძლება მიჩ-
ვენოთ წერილი?

პავლემ გიმნასტიურის ჯიბიდან გაზინთული ქალაქის ნაგლეჯი ამო-
იღო. ლენინმა უცბად გადაიკითხა წერილი.

— დიახ... მძიმეა ეს გლუხეკაცისათვის, ამხანაგო პავლე, — თქვა მან
და წერილი დაუბრუნა, — მძიმეა ყოველთვის, ახლა კი გახსაკუთრებით.

ლენინი კვლავ უცქერდა პავლეს, მაგრამ ამ წუთში თითქოს ვერ ხე-
დავდა მას. მოჭუტული თვალები სულ მთლად დაუევიწროვდა.

— კურსკი, კურსკი, იქ ხომ ერთიანად შავი მიწაა! ახლა მამაშენი
უნდა ხნავდეს და ხნავდეს.

— დიახ, დიახ, ვლადიმერ ილიჩ, მაგრამ ჩვენი ცხენი მთელ სოფელში
ერთადერთი იყო. ზამთრის შემდეგ აღარ ამდგარა.

— რა ჰქვია შენს სოფელს, ამხანაგო პავლე?

— ზაბიტოე, ვლადიმერ ილიჩ.

— როგორ, როგორ?...

— ზაბიტო, ასე ჰქვია მთელი საუკუნეა.
— კარგი საუკუნე კია! სოფელი ზაბიტოე, მისი ხალხიც დაეწყო.
ლია — ასე გამოდის არა?
— ჩვენ ზაბიტინსკებს გვეძახიან. ვლადიმერ ილიჩ.
— მაინც საწყენია და უსამართლო. მეთანხმებით?
— გეთანხმებით.
— ჩვენ თქვენთან ერთად მთელი რუსეთის რუკა ხელახლა უნდა გადავწეროთ.

— ა? — მთლად ვერ გაიგო პავლემ.
— მე ვამბობ, არ უნდა იყოს ჩვენში არც მივიწყებულნი და არც დავიწყებულიშვილები. რასაკვირველია, საქმე სახელწოდებაში როდია. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, მაგრამ მაინც ძალზე შეურაცხყოფად ისმის: ზაბიტოე.

— ა! — ბოლოს და ბოლოს ჩასწვდა ლენინის აზრს პავლე, — საქმე, რასაკვირველია, სახელწოდება არ არის, მაგრამ ხრომუშა რომ არ მომკვდარიყო...

— მარჩენალს, მაშასადამე, ხრომუშას ეძახდნენ?

— ხრომუშას.

— მითხარით, პავლე, თქვენ რომ ახალი ცხენი გაგიჩნდეთ, ისევ ხრომუშას დაარქმევდით?

— რატომ ხრომუშას? იგი ხომ დაბადებით საპყარი იყო. ახალი კი... მაგრამ სად არის ახალი?

— როგორ მიდის სწავლა? — უცებ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი ვლადიმერ ილიჩმა.

— ეს საქმე წესრიგზეა, ვლადიმერ ილიჩ. ვცდილობთ.

— ეს კარგია! ჩვენს საქმეში, ამხანაგო პავლე, მთავარია სულით არ დაეცე.

მან ისე თქვა „ჩვენს საქმეში“, რომ პავლემ თვითონაც გაიფიქრა თავისთავზე და ილიჩზე, როგორც სულ სხვადასხვა ადამიანებზე, რომლებსაც აქვთ ერთი მიზანი, ერთი საზრუნავი.

— გულს ნუ გაიტეხთ, ამხანაგო პავლე, დანარჩენიც უნდა მოგვარდეს. აბა ვნახოთ, თუ არ მოგვარდება! — და საბოლოოდ რომ გაემხნევა ბინა ყმაწვილი, ლენინი სიცილით დაემუქრა თითქმის ამ „დანარჩენს“.

ისინი ერთმანეთს გამოეთხოვნენ. ლენინი თავის საქმეზე წავიდა, პავლე — თავისაზე.

გვიან ღამით, როცა ყაზარმაში ყველას დიდი ხანია ეძინა, პავლემ ხელახლა მერამდენედ ამოიღო მამის წერილი. „პავლუშა, შვილო, დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. — პავლე ძლივს არჩევდა აკანკალებული ხელით ნაჯღაბნს, — ხრომუშა, ჩვენი მარჩენალი, მოკვდა. რა უნდა ვქნათ უცხენოდ, კვალის გაყვანაც ვერ მოვასწარით, მთელი მეურნეობა ჩაკვდა. შეიძლება შენ, პავლუშა, მოახერხო ათი დღის შვებულება? მაშინ როგო-

რმე თავს გავართმევდით. ჩამოდი, მეც აგრეთვე ცუდად ვგრძნობ...“ წერილი აქ წყდებოდა. პავლეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ხოლო როცა გათენდა, გადაწყვიტა კურსების უფროსი ენახა და გაეცნო მამის წერილი. მეგობრებმა ასე ურჩიეს.

ის იყო პავლემ გადააბიჯა უფროსის კაბინეტის ზღურბლს, რომ იგი უცებ თვითონ გამოეშურა პავლესკენ და უთხრა:

— ყველაფერი ვიცი. შეგებულება გინდა?

— შეგებულება, — თქვა თუ წაიხურჩულა პავლემ ისე, რომ თავისი ხმა არ გაუგონია.

უფროსმა კურსანტი მაგიდასთან დასვა.

— დაწერე.

— დიას, მე, მე... — აკანკალებული თითებით შეიხსნა მან ჯიბის თა-ვი, სადაც მამის წერილს ინახავდა.

— შენ გეუბნებიან, ყველაფერი ვიცი.

უფროსი ნელა სცემდა ბოლოს კაბინეტში და პავლეს პირველიდან უკანასკნელ პეკარამდე უკარნახებდა განცხადებას. შემდეგ ხმამაღლა წაიკითხა და უთხრა:

— მოაწერე ხელი.

პავლემ მოაწერა.

— ახლა მეც მოვაწერ.

განცხადების ზემო კუთხეში მან კი არ დაწერა, დახატა რეზოლუციის წამახვეული კოშკი და ხელახლა ხმამაღლა წაიკითხა ყველაფერი, თავისი ხელმოწერაც კი.

— ორი კვირით, გასაგებია?

— გასაგებია. გმადლობთ, ამხანაგო უფროსო. დავბრუნდები და ყვე-ლას ერთად ავანაზლაურებ.

— კარგი, კარგი. ძალიანაც რომ გინდოდეს, განკუთვნილზე მეტს სა-გულშაგოზე ვერ დარჩები. საყარაულო სამსახურის წესდება იცი?

— ვიცი.

— აბა, რაღას ამბობ?

— გმადლობთ, ამხანაგო უფროსო!

— მადლობა მე კი არა, საბჭოთა ხელისუფლებას უთხარი.

— ხელისუფლებასაც მადლობა.

ორივემ მხიარულად შეხედა ერთმანეთს.

პავლე ადგა, მაგრამ უფროსმა ხელით ანიშნა და შეაჩერა იგი.

— ეს ყველაფერი როდია.

იგი ტელეფონთან მივიდა და დარეკა.

— გამარჯობათ, ელენე დმიტრიევნა! თქვენ გინდოდათ გენახათ ჩემი

კურსანტი? აი იგი, ჩემთან ზის. თქვენთან გამოვგზავნო? ამ წუთას, დიან, შვეებულება გავუფორმე. ორი კვირით. კარგად იყავით, ელენე დმიტრიევნა.

პავლე სულ დაიბნა, ვერ გაეგო რა ხდებოდა, უფროსი კი სულ უფრო აოცებდა მას.

— ახლა სტასოვას ველაპარაკებოდი. გაგიგონია, ხომ? მას შენთვის ლენინის წერილი აქვს.

— ჩემთვის?

— ჰო. ცხენის თაობაზე. ვლადიმერ ილიჩმა განკარგულება გასცა, რომ მამაშენს გამოუყონ იგი მეურნეობის ფეხზე წამოსაყენებლად. კავალერიის ნაწილებს შლიან, ცხენებს კი გადასცემენ მაზრებში, ღარიბებს. კიდევ უთხარი მადლობა საბჭოთა ხელისუფლებას: თქვენ პირველ რიგში მოგიწევთ.

ეს ხუმრობა პავლემ უკვე ველარ გაიგო. არც შეეძლო გაეგო. იგი ძლივს მოეგო გონს სადამოს, ყაზარმაში, სადაც ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ კურსანტები და ყველანი ერთად მეთაუჯერ სთხოვდნენ მოეთხრო ყველაფერი თავიდან ბოლომდე.

წერილი ხელიდან ხელში გადადიოდა და პავლე უკვე ბრაზდებოდა:

— თქვენ, ეი, ფრთხილად. ფრთხილად...

მან წერილი შორს გადამალა და ამოიღო მხოლოდ იმ დღეს, როცა ბიჭები აცილებდნენ, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებულიყო, ხომ არ დამიკარგავსო.

იგი გაემგზავრა, როგორც ბრძანებაში ეწერა, ორი კვირით და, ალბათ, მთელი ორი კვირის განმავლობაში არ შეწყდებოდა კურსებზე ლაპარაკი პავლეს, მამამისისა და ცხენის შესახებ.

მაგრამ ბედად არ ეწერა კურსანტს მთლიანად გამოეყენებინა თავისი შვეებულება. ხუთი დღე გავიდა თუ არა, იგი ადრე დილით კვლავ გამოჩნდა ყაზარმაში. უკვე ამან მთელი აურზაური გამოიწვია, ხოლო როცა ტახტიდან წამომხტარმა ბიჭებმა შეხედეს პავლეს, სულ დაიბნენ.

მათ წინაშე იდგა არა ის მხიარული, მოლიმარი, ძალ-ღონით სავსე და ჯანმრთელი ახალგაზრდა, რომელსაც ისინი გამოეთხოვნენ გასულ კვირას, არამედ დაქანცული, დაღვრემილი კაცი.

— რა მოგივიდა, პაშკა? — მიცვივდნენ მას ბიჭები.

— ცუდადაა ჩემი საქმე, ძმებო.

— ცხენი არ მოგცეს?

— ეგებ მოეცათ.

— რას ნიშნავს, ეგებ მოეცათ? აბა, მოჰყევი, მოჰყევი. გიშველეს და კვლავაც გიშველიან.

— ველარ მიშველით ახლა. მამამ მიბრძანა დიდხანს ვიცოცხლო.

— მამამ?

— ჰო. როგორც კი ხრომუშა მოკვდა, ღუმელზე დაწვა და აღარც ამ-

დგარა. ჩემს ჩასვლამდე სამი დღით ადრე გათავდა.

ბიჭები დადუმდნენ, დაიბნენ. არ იცოდნენ რა ეთქვათ, რა ექნათ.

პავლე თავის ტახტამდე მილასლასდა, დაღლილი ჩამოჯდა და თამბაქო მოითხოვა.

— დედა არა გყავს? — ჰკითხა ვილაცამ.

— იგი სამოქალაქო ომიდან მამაჩემის დაბრუნებისთანავე მოკვდა. მეურნალობა თქვა: სიხარულისგანო.

პავლე შეჩერდა, რამდენჯერმე მოქაჩა ვილაცის მიერ თხის ფეხივით შეხვეული თამბაქო და თქვა:

— აი, როგორი არიან ადამიანები — სიხარულით კვდებიან, მწუხარებით მით უმეტეს, მე კი მინდოდა მისთვის ნობათი დამერქვა.

— ვისთვის?

— იმ ცხენისთვის.

— კი, მაგრამ წერილი ცხენის თაობაზე რა უყავი?

— როგორ თუ რა ვუყავი? თანასოფლელებს მივეცი. დე მიიღონ. მამამ ზუსტად მომწერა: არც ერთი ცხენი არაა ზაბიტოეში.

— შენ მათ ყველაფერი მოუყევი? შენს საუბარზე ილიჩთან?

— აბა როგორ. მისამართიც მივეცი, რომ მთელმა სოფელმა მადლობა შემოუთვალოს, როცა ცხენს მიიღებენ.

— არაფერი დაგვიწყნია?

— დამავიწყდა მხოლოდ მეთქვა, რომ ცხენს ნობათი დაარქვან.

— ეხ, შენც!

— ცოტა არ იყოს დავიბენი. სათქმელად არც კი მცხელოდა. თუმცა ყველა დასტიროდა, თავს მაინც ვერ ვიკავებდი.

იმავე საღამოს კურსანტები ბარათს წერდნენ სოფელ ზაბიტოეში. პირველ ყოვლისა იმაზე, რომ ცხენისათვის ნობათი დაერქმიათ. „ხოლო თუ რაიმე შეფერხება იქნება მიღების საქმეში, — წერდნენ ისინი, — აცნობეთ პავლეს. ის ლენინს პირადად მოახსენებს“.

— ასე არაა, პაშ? — ჰკითხა ვილაცამ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად.

— ასეა, — სავსებით სერიოზულად უპასუხა პავლემ, — პირადად მოვახსენებ, ცხენი აუცილებლად იქნება ჩვენს სოფელში.

თარგმნა ტ. ხინთიბიძემ.



ნანა გვარიშვილი მრავალ გაზაფხულს

მრავალ გაზაფხულს და ენძელობას,
მრავალ ქორწილებს, მრავალ ძეობას.
მრავალ სიამეს და დღეგრძელობას,
გისურვებთ, ჩემო კარგო ქალებო!
აღვის ტანებო,
ნუშის თვალებო
და იდუმალო ეყვან-ზარებო
ვაჟკაცის გულის სიხარულისა...
შენ, მისო ერთო დიდო იმედო,
კოშკო, ნაგებო სიყვარულისა
ია გეხაროს გულმადლიანო,
კალთავ ნალოცო, სიცოცხლის მჩენო,
მრავალ გაზაფხულს!
სულ ერთო პეშვო
დედაო მიწავ, ძვირფასო ჩვენო!

* * *

გაზაფხულმა დარდი იცის,	კორდს ეწვიოს სიო კიდევ,
ცამ ღრუბლების ქარავნები.	რუმ ტირიფი ჩაიკონოს.
ჰოდა, სადღაც გადვიკარგოთ,	მთვარის კოცნით დაიღალოს
გავიშალოთ კარავები.	მოხასხასე ლურჯი მდელო...
ლურჯი, ლურჯი იის კონა	გაზაფხულმა დარდი იცის,
კარზე აბრად ჩამოვკიდოთ.	ნუ მადარდებ, სასურველო.

სადაც უნდა არ წავიდე,
სევდა ჩამსაფრებია,
ფრიალებენ იალქნების
ლურჯი თავსაფრებია.
ია-ია ყრია ზღვაში,
ნისლის აღმართებია.

თეთრი, თეთრი თოლიები
ჩემი ცელქი დებია.
სადაც უნდა არ წავიდე,
დამყვებიან გუნდებად,
გული ვერსად ვეღარ იცდის —
ზღვის ნისლებთან ბრუნდება.

* * *

მიწას სცოდნია ტკივილი თურმე,
ეს ცამაც იცის.
თუმცა რა შორიშორ არიან!
ჭადარში ფოთლები ოხრავენ,
ბალახს ნუ ჰგონია ქარია,
ლერწმებთან წყარომ ჩაირბინა,
სულ ლელიანში იარა,
დასტოვა, ლერწმები კი არა.
ამ სიახლოვის იარა

ორი პატარა ცრემლია,
ცვარი კი არა...
მიწიდან ღარდები წვეთებად
ატანილი
ღრუბელ-ღრუბელად ქარმა არია,
მიწის ტკივილი ცამ მიტომ იცის,
თუმცა რა შორიშორ არიან.
ჩემთან მყოფს უკვე ჩემი არ ესმის,
მიტხარი, ცაო, ვისი ბრალია?

* * *

მე ფადიშაჰის ხათუნს გაგონებ?
არ გააგონო თეთრ-თეთრ გოგონებს,
თორემ ლურჯ პეპლებს ეტყვიან უცებ
და მოედება ყვავილთა ფურცლებს.
გაიქცევიან ნაკადულები
და მიუტანენ იდუმალ ჰანგებს

მღელვარე ტალღებს —

იქნების განგებ...

ჭორი აიკლებს ლამაზ სიყვარულს,
რად გინდა ცრემლი სისხლში გახვიო.
რად გინდა ამ გულს არ დაუჯერო,
— შენა ხარ ჩემი ფადიშაჰიო!

* * *

მწუხრის ჟამს ფიქრი
ასე რომ მათოვს,
გული გულსა გთხოვს,
მზეს, ქარს და წვიმებს...
პატარა იას გაზაფხული სურს —
ციო განაწირებს...

გადაქროლილი ნიაგი ნელი,
ესა ხარ შენ!
ვინა ვარ მე?!
სულ არაფერი —
წამწამი სველი.

წვიმებო, ჩემო წვიმებო!

სად დამეკარგეთ აქამდის,
სიჩუმე მკლავდა თქვენი.
მოდით, კაპ-კუპით აავსეთ,
ფოთოლს გიშვერენ ხენი.
მოდით, გამწუწეთ, წვიმებო!
ურიამული ხართ სულის.
მე თქვენი მღვრიე ნისლი ვარ,
ტალღებთან ჩამოსული.

სულში ჩამოდით თქრიალით.
უთქვენოდ მომკლავს სევდა.
თქვენი წვეთების ყიალი
ჩემს გულს ბურანში ხვევდა.
თქვენით გავუძელ ღამეებს,
შემკრთალებს, ძილდაკარგულებს.
მოხვალთ, სარკმელთან მოიტანთ
პატარ-პატარა გულებს.

* * *

ყველა დარდი მე,
ყველა ფიქრი მე,
ყველა ცრემლი მე,
ყველა ჭირი მე.
შენ ნუ იდარდებ,
შენ ნუ იტირებ,
შენ შემოგეცლე,
შენი ჭირიმე.

* * *

აპრილმა მუხლზე დაისვა ია
და ჩამოვიდა ნამის საყურე.
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი,
მე ვერაფერი დავიმსახურე.



ჯემალ ხოჯაჩიძე

ბიჭი და მტრელი

ქალმა მაგიდასთან მჯდომ ბიჭს გადახედა და წყნარად უთხრა:

— მე ახლავე დავბრუნდები. არ იცეღქო, თორემ ვერ გადამირჩები!

— კარგი, დედა! — უხალისოდ ჩაილაპარაკა ბავშვმა და გულგრილად მიაჩერდა ოთახის ჭერს, სადაც გაბზარულ ბათქაშს ფართოდ დაედო პირი.

ქალმა ჭერს ახედა და ამოიოხრა, მერე საწვინარი ჩაიცვა, ერთხელ კიდევ გადახედა ბავშვს და კარი გაიხურა.

ბიჭმა დაღლილი მზერა გააყოლა, გაირინდა და მერე კედლის საათს მიაჩერდა. საათი დიდი იყო, ძველებური, ხის მოოჭვილჩარჩოიანი, სიძველისაგან კვერცხის გულივით გაყვითლებულ ციფერბლატზე დიდი ბუეხატა. მისი უზარმაზარი მრგვალი თვალები ქანქარას ყოველ მოძრაობაზე პარპალებდა. ბავშვს ართობდა საათის ცქერა. მთელი დღეების განმავლობაში იგი მარტო იყო, ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. ყოველ დღით დედა სამსახურში მიდიოდა და შინ გვიან ბრუნდებოდა, დაღლილ-დაქანცული, მოწყენილი და მღუმარე.

მას ახსოვდა ის დღე, როდესაც მამა ომში წავიდა. ეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო. სულ რაღაც ორიოდ წელი გავიდა მას შემდეგ. იმ დღის დავიწყება ბიჭს არ შეეძლო, იმ დღიდან ხომ ყველაფერი შეიცვალა — მამა აღარ მოდიოდა სახლში და ტკბილეული აღარ მოჰქონდა. იმ დღიდან მისთვის საერთოდ არავის მიუტანია ტკბილეული... მერე და როგორ უნდოდა...

დედაც შეიცვალა იმ დღიდან, გულჩათხრობილი გახდა. უმიზეზოდ ნერვულობდა, ხშირად ტიროდა და ბიჭს უჯავრდებოდა... ბავშვი მიხვდა, რომ ომი საშინელებაა.

ხანდახან ღამით ესმოდა საშინელი გრუხუნნი, სროლა, სირენების გაბმული წივილი. შეშინებული ბიჭი საბანში გაეხვეოდა და შეცქეროდა ფანჯარას, საიდანაც ქუჩის მეორე მხარეს ჩაბნელებული სახლების სახურავები მოჩანდა.

ბიჭს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა გრუხუნებდა ასე და რატომ გმანავდნენ ფანჯარებს ღამით, რომ სინათლე გარეთ არ გასულიყო. მას ვერ გაეებდა ეკითხა ეს დედისათვის.

ყოველ ღილით, ოთახიდან რომ არ გასულიყო, დედა ბიჭს ეუბნებოდა, ახლავე დავბრუნდებიო, და სამუშაოზე მიდიოდა. ბიჭმა იცოდა, დედა ტყუოდა, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავს მაინც უქნევდა.

როცა ერთ ადგილზე ჯდომა მოსწყინდებოდა, ფანჯარასთან მივიდოდა, ფარდას გადასწევდა და ქუჩაში იყურებოდა. საათობით იდგა ფანჯარასთან და ყველაფერს აკვირდებოდა. ხანდახან იგი ხედავდა მწყობრი ნაბიჯით მომავალ ქარისკაცებს. მაშინ ბიჭი ფანჯრის რაფას მიეყრდნობოდა და ქარისკაცებს ხელს უქნევდა. ქარისკაცთა მოქუფრულ სახეზე ღიმილი გაილეგებდა. ესალმებოდნენ და ბიჭიც ფანჯარასთან მანამდე იდგა, ვიდრე ისინი მეორე ქუჩაზე არ შეუხვევდნენ.

„ალბათ, მამაჩემსაც ასეთი ფორმა აცვია“, ფიქრობდა ბიჭი. მამის გახსენებაზე მოიწყენდა და ცრემლი მოერეოდა... მერე ფანჯარას მიხურავდა და ქუჩის მეორე მხარეს ორსართულიან სახლს მიაჩერდებოდა. ამ ორიოდ წლის წინათ იქ საბავშვო ბაღი იყო. მას კარგად ახსოვს, როცა ამ შენობაში სიცოცხლე სჩქეფდა, როცა ამ სახლის ეზოში ამხანაგებთან თამაშობდა. სახლის სხვენზე მტრედებს ჰქონდათ ბინა. შუადღისას, როცა ასიცხდებოდა, მტრედები სხვენიდან ჩამოფრინდებოდნენ და ღულუნით მოედებოდნენ ეზოს.... ისინი შეჩვეული იყვნენ ბავშვებს და არ უფრთხოდნენ.

ახლა ეს შენობა მოწყენილი ჩანს, თითქოს ლოღინით დაღლილი მოხუცივით ჩამომჯდარა ამ ამწვანებულ ეზოში. შენობა მხოლოდ მტრედებს არ მიუტოვებიათ, ისინი კვლავ სხვენზე ცხოვრობდნენ.

* * *

ბიჭი ფანჯარასთან იდგა და ქუჩაში იცქირებოდა. წვიმას გადაეღო და ნარინჯისფერ მზის სხივებს გაენათებინა შენობის სველი სახურავები, ხეტა ფოთლებზე შერჩენილი წვეთები მზის სხივებზე ბროლივით ბრწყინავდნენ. სველ ასფალტს ორთქლი ასდიოდა და მაღლა, მაღლა მიიწევდა.

რუხი ღრუბლის ნაგლეჯები ზანტად მიიზღაზნებოდნენ აღმოსავლეთისაკენ და ცა თანდათან ლურჯდებოდა.

ბიჭმა თვალი გააყოლა ღრუბლის ფთხელებს, მერე საბავშვო ბაღის შენობას ახედა. მთელ სახლში მყუდროება სუფევდა, მხოლოდ სხვენიდან მოისმოდა მტრედების ნადვლიანი ღულუნი.

„მტრედებს შიათ“, გაიფიქრა მან, მიიხედა და მაგიდაზე. თუქსეში
თევზზე შავი პურის ნაჭერს მიაჩერდა: „პური მტრედებს ეყოფათ, მა-
გრამ...“ პურის დანახვაზე შიშშილი იგრძნო. გადაწყვიტა პური თვითონ
შეეჭამა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ქუჩაში დაიწყო ცქერა.

...საბავშვო ბაღის ეზოს ვიღაც მოხუცი მოადგა. მოხუცი მაღალი
იყო, საოცრად მაღალი, გაღეული, წელში მოხრილი. მხარზე გაჭუჭყი-
ანებული. გაზეთილი ჯარისკაცული ფარაჯა მოეგდო. ხელში ჯოხი ეჭირა.

„ნეტავი ვინაა“, გაიფიქრა ბიჭმა და დააკვირდა.

ბერიკაცი ეზოში შევიდა და შენობის მახლობლად. მაღალი ნაძვის
ძირას ჩამოჯდა სკამზე. ერთხანს გარიბდებული იჯდა და ცას შესცქეროდა.
მერე ზურგიდან ჩანთა მოიხსნა, მუხლებზე დაიდო, პურის ნაჭერი ამო-
იღო და ჭამას შეუდგა... კარვახანს ჭამდა, ღინჯად და აუჩქარებლად.
ღროგამოშვებით ხან პურს დახედავდა, ხანაც ცას მიაჩერდებოდა. ბიჭი
ცნობისმოყვარედ შეცქეროდა ბერიკაცს და მის ყოველ მოძრაობას
აკვირდებოდა. ბერიკაცმა ჭამა დაამთავრა, ჩანთაზე პურის ნამცეცები
მოაგროვა და ისიც შეეჭამა, მერე სკამზე გაიშობა და დაკეცილი ჩანთა
თავქვეშ ამოიღო.

ბავშვი კარვახანს გასცქეროდა მოხუცს, რომელსაც უკვე ეძინა.
მერე ფანჯარას მოშორდა, სკამზე ჩამოჯდა და გაირინდა... არც კი
გაუგია, როგორ ჩაეძინა.

სროლის ხმამ და სირენების გაბმულმა წივილმა გამოაღვიძა. თავი
ასწია, ხელის გულით თვალი მოიფშვინტა. სირენები გაბმულად, შემ-
ზარავად წიოდნენ... ბიჭს შიშმა ელექტროდენივით დაუარა მთელ სხე-
ულში. მაგიდას ზურგით მიეყრდნო და გაფართოებული, შიშჩამდგარი
თვალებით მიაჩერდა ფანჯარას... უცრად გუგუნე და საშინელი გრილი
გაისმა. სახლი შეირყა და შეტორტმანდა, ფანჯრის მინები ზრიალით
დაიმსხვრა, კედლის საათი ტოტიდან მომწყდარ ხმელი ფოთოლივით
შეფარფატდა და ჭახანით დაასკდა იატაკს... შიშისაგან გაოგნებულ-გაშ-
ტერებულმა ბიჭმა, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, თვალები დახუჭა და
ყურებზე ხელი აიფარა...

კარვახანს იჯდა გაყუჩებული. ბოლოს თვალი გაახილა და ოთახში
მიმოიხედა — ოთახის კედლები მზეს გაენათებინა. ოქროსფრად ელვა-
რებდა წვიმისაგან გაყვითლებული ჭერი.

ბიჭი ჯერ საათის ნამსხვრევებს დააქებდა, მერე ფანჯარასთან
მივიდა და ქუჩაში გადაიხედა... უცებ გაკვირვებისაგან შეჰკივლა. საბავ-
შვო ბაღის შენობა, ამ ერთი საათის წინ ასე ლამაზი, თეთრად შეფეთქი-
ლი რომ გამოიყურებოდა, შავად გარუჯული ქვების გროვად ქცეული-
ყო და შავი კვამლი ასდიოდა. ბიჭი შიშმა და კანკალმა აიტანა. ტანში
რალაც სიცივე იგრძნო. სწორედ ამ შავი კვამლის მიღმა ეზოში დაინა-
ხა მტრედები.



„მტრედები!, წამოიყვირა ბიჭმა, ისინი ხომ დაიღუპებოდნენ...“
 ბიჭს ცრემლი მოადგა, მუშტით მოიწმინდა და ათრთოლებული ხმით
 ჩაილაპარაკა:

„ისინი მშვიდები არიან!“

ბიჭი მყისვე შემობრუნდა, მაგიდიდან პურის ნაჭერი აიღო და
 კიბეზე სირბილით დაეშვა...

სადარბაზო შესასვლელთან შეჩერდა და ქუჩაში მიმოიხედა, ვერა-
 ვინ ვერ შენიშნა, ქუჩა სირბილით გადაჭრა და საბავშვო ბაღის ეზოში
 გაჩნდა.

ბავშვი იდგა და გაოგნებული შესცქეროდა ნანგრევებს. უეცრად
 რაღაცას მოჰკრა თვალი, კვამლისაგან გაშავებული ქვები აქეთ-იქით
 მიყარ-მოყარა და ნანგრევებიდან ჩარჩოშემომწვარი დამტვერილი სუ-
 რათი ამოათრია. ეს სურათი სასადილო ოთახში ეკიდა. მასზე ყვავილები,
 მტრედები და ბავშვები ესატა.

სურათზე დაყრილი მტვერი ბიჭმა იდაყვით გადაწმინდა და მერე
 ნახატი რკინის სანახევროდ დანგრეულ მესერს მიაყუდა.

სწორედ ამ დროს კენესა შემოესმა, მიიხედ-მოიხედა და ნანგრევები-
 დან მოშორებით, ტოტებდაღწეილი, გარუჯული ნაძვის ძირში დაინახა
 ბერიკაცი. ახლა იგი მოკუნტული იწვა და საოცრად პატარა ჩანდა... ფე-
 ხებზე ქვის გროვა ეყარა. გახეთქილი ლოყიდან სისხლი მოჟონავდა.
 ჯარისკაცული მაზარის კალთები ცეცხლს შემოეწვა. ბერიკაცი კისერ-
 მოღრეცილი იწვა, თვალი დაეჭყიტა და გვერდულად გასცქეროდა ცას.
 დროგამოშვებით ყრუდ კენესოდა.

ბიჭი დაიხარა, მოხუცს დააჩერდა და ხმის კანკალით ჰკითხა:

— რა გტკივა, ბაბუ?

ბერიკაცს ხმა არ გაუცია. არ დაუნახავს ბიჭი და არც მისი კითხვა
 გაუგონია, იწვა და თავისთვის კენესოდა... მერე გააყრუოლა, თვალი
 გადაატრიალა, გაიჭიმა და დადუმდა.

— ბაბუ! — ერთხელ კიდევ დაუძახა ბიჭმა და ფრთხილად შეახო
 ხელი სახეზე...

ბიჭი საშინლად დასუსტა ყინულოვით ცივ სახეზე ხელის შეხებამ. ეს
 პირველი მკვდარი იყო, რომელსაც ხელით შეეხო. ორიოდ ნაბიჯით უკან
 დაიხია და ცხედარს თვალი აარიდა... როცა შებრუნდა, ტვიის ბუჩქთან
 დაინახა ლამაზი, ნაცრისფერი მტრედი, რომელიც ფრთაგაშლილი ეგდო
 მიწაზე. დაიხარა, ფრთხილად აიყვანა ხელში და გულზე მიიხუტა.

ბიჭი იდგა ნანგრევებს შორის, ცალ ხელში პურის ნაჭერი ეჭირა,
 სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და მტრედს ეფერებოდა... მტრედს ცალი
 ფრთა მოტეხოდა და ნახევრადგაშლილ მარაოსავით ჩამოშვებოდა, ახლა
 შეამჩნია სისხლიც, რომელიც მტრედს თეთრ მკერდზე ხალივით აღბე-
 ჯდოდა.

— საბრალო, საბრალო, ფრთა მოგტეხეს, ხომ?! — ჩაილაპარაკა ბავშვმა, ქვაზე ჩამოჯდა, მტრედი მუხლზე დაისვა. მერე პური მოფშვნა და მტრედს გაუწოდა.

ისევ აწვივდა სირენა... ქალაქში განგაში ატყდა. სადღაც შორს, ქალაქის ბოლოს, გუგუნი გაისმა, რასაც სროლის ხმაც მოჰყვა. ბიჭს ხელი აუკანკალდა, პურის ნამცეცები მიწაზე დაცვივდა. მან სინანულით დახედა მტვერში დაყრილ ნამცეცებს, მერე ფეხზე წამოიჭრა, ცალი ხელით მტრედი გულზე მიიკრა და გაიქცა.

ქუჩა ზრიალებდა და ხმაურობდა. დამფრთხალი ადამიანები თავშესაფარში გარბოდნენ. ბიჭმა არ იცოდა სად იყო თავშესაფარი, მას უნდოდა გასცლოდა იქაურობას, წასულიყო იქ, სადაც არ გაიგონებდა სირენების ყურისწამღებ წვილსა და საშინელ გრიალს.

ბიჭმა მეორე ქუჩაზე გადაუხვია... სწორედ ამ დროს გამოჩნდა თვითმფრინავი. თვითმფრინავს ფრთებზე შავი ჯვარი ეხატა და ისე დაბალზე მოფრინავდა, რომ ბიჭმა გარკვევით დაინახა მფრინავი, რომელიც ქუჩას ათვალიერებდა.

მოტორის საშინელმა ღრიალმა გააოგნა ბიჭი, ერთ ადგილზე გახევდა და თვითმფრინავს მიაჩერდა... როცა იგი დაუახლოვდა, ბიჭმა ის ხელი, რომელშიც მტრედი ეჭირა, მალლა შემართა და შეჰყვირა:

— ბიძია!

მის წინ ტყვიები აზუზუნდა... ისინი წვილით კაწრავდნენ ქვაფენილს და ქუჩის ყოველ მხარეს იფანტებოდნენ. ერთი ტყვია ბიჭს მოხვდა, შებარბაცდა, ხელები, რომელშიც მტრედი და პური ეჭირა, მკერდზე მიიკრა და გულალმა დაეცა ქვაფენილზე.

თვითმფრინავმა გრუხუნით ჩაუქროლა, მერე, რამდენიმე წუთის შემდეგ, საშინელი აფეთქების ხმა გაისმა... ცეცხლის ენებმა მოლოცეს სახლები მეორე ქუჩაზე, მაგრამ ეს ბიჭს არ უგრძნია და არ გაუგონია. იგი იწვა ქვაფენილზე და დაშრეტილი, ფართოდ გახეილი თვალებით შესცქეროდა ლურჯ ცას, რომელსაც თანდათანობით ფარავდა შავი ბოლი. მკერდზე გადმოდენილ სისხლს წითლად შეეღება დაჭრილი მტრედი და შავი პურის ნაჭერი...



ნესჯორ მალაზონია

ჩემი სოფლის სიყვარული

თავს ევლება ხევი ღელეს
 და კლდეები ცერზე დგანან.
 ჩანჩქერები ყრიან ჩქერებს,
 კახაბერის მახვილს გვანან.
 ცის და მიწის ხმები ძგერენ —
 ჩიტებს მოაქვთ მთებიდანა,
 დილა კოცნის ცვრიან სერებს,
 ველ-მინდვრები დაიარა,
 შვლებმა ყელი მოიღერეს,
 ნუკრმა გული დაიამა...
 მეც მომხიბლა ტყის სიმღერამ,
 ფოთლის ტაშმა-დაირამა
 და პირველად აქ ვიმღერე
 „ხბოს ლექსი“ და „ჩაირამა“.
 არ მიყვარდეს ეს სიმღერა,
 მაპატიებს ვინმე განა?!
 აქ უღვრიათ შრომის ოფლი
 ჩემს მამას და პაპის მამას,
 აქ უღელავს ჩემი სოფლის
 სიმინდის და პურის ყანას,
 სულ რომ თვალო, ვერ ჩამოთვლი
 ჩემი სოფლის ჩემზე ამაგს,
 რაც მინდა და ვერ გამოვთქვი.

სიყვარული გულით დამაქვს...
 დაივიწყებს კაცი განა
 თვის სოფელს და დედის ნანას?!
 მე აქ შემხვდა ერთი გოგო
 თეთრი კაბის შარიშურით,
 ვუთხარ ლექსი საღალღობო,
 შინ წამომყვა დანიშნული.
 მერმე სულ მაქვს ცხელი კვერი,
 ნადული და ხაჭაპური,
 ადესის და ჩხავრის წვენი,
 მოშუშხუნე მაჭრის ჭური,
 შუქნათელი სახლის ჭერი,
 დაგრეხილი კრიმანჭული,
 მყავს ქალ-ვაჟი ბევრზე ბევრი,
 მაქვს ოჯახი დამაჭრული...
 და ეს ყოფა არ მიყვარდეს —
 მაპატიებს ვინმე განა?!
 ჰოდა, მიყვარს ვარდისფერი
 ცის ციაგი სიფრიფანა,
 ჩემი სუფსა, ჩემი მერე,
 ჩვენი ძმური შრომისყანა,
 ჩემი სოფლის მწვანე სურო,
 ოკრობოკრო გზა და შარა,
 მადლიანი ქალის ხელი,
 ხავერდივით ჩაის ჭალა,
 გზისპირ სოფლის მოსახლენი,
 ჭიშკარი და სახლი ჯარად,
 საამო და მოსალხენი
 „ვადილა“ და „ჩარირამა“.
 ვენაცვალე, ჩემს ქვეყანას
 ვინაც ეს მზე მოუყვანა,
 მოგვცა ფიქრი უნაღველო
 და სიცოცხლე შეგვაყვარა...
 და ეს არ ვთქვა, არ ვიმღერო, —
 მაშინ კაცი მეთქმის განა?!



მამია პარმანიძე

მე გიგონებო...

თითქოს მესმის ნაბიჯები მკვეთრი
და ეს მე ვარ მეომარი მგზავრი
და მიმეყვება სუნი კვამლის, ღენთის,
რეკავს ომის საშინელი ზარი.
მომქანცველი, გზები დახლართული,
ფათერაკი, თრთოლა, ზეზე თვლელა.
გაგზნებს შენი მიწის სიყვარული,
არად გიჩანს ღამის თეთრად თევა,
მელანდება „მესერშმიტა“ რისხვა
და მყინვარზე დახვეული კვამლი
„ცოცხალია!“ ეჰ, ვინ მომიკითხა?!
საღდაც დარჩა სისხლიანი კვალი.
ცოცხალი ვარ, მეგობარო ტკბილო,
შენ დაჭრილხარ?! ლაზარეთი ჩქარა!
წივის მწარედ დღენი უღიმილო,
განსაცდელი უტკბილეს წუთს გვბარავს.
ვგუგუნებდით სიამაყით მხედრის,
მტერი წამრღვნელ ბურუსებში გვხვევდა,
სისხლით ვწერეთ ჩვენ მამულის ბედი, —
რა დღეები გაგვივლია მხედართ!
მეგობრებო შაშხანის და სანგრის.
თქვენ გიგონებო ახლა, ასე გვიან.
ჩვენ დავძახეთ გამარჯვების ჰანგიც
და ჭალარა მერე გაგვერია.
და აკვნები მერე დავარწიეთ.

განვამტკიცეთ ჩვენ მამულის ფუძე...
მე გიგონებო, მე ვერ დაგივიწყებთ
და გიგზავნით სიყვარულის ფურცლებს.

სულ ამ მშვენებას თუ დავემწყემსე,
კლდე ვარ, ქარებმა რომ ვერ დაბზარეს...
და ჩემს გვირილებს მივუთალერსე.
უუუუნავ წვიმავ, შენ რომ აზარდე!
და ვიცი მზის და სიცოცხლის ფასი,
ყადრი ვაზის და პურის თავთავის,
ავავსოთ დიდი სიკეთის თასი
წმინდა სულით და გულით მართალით.


ჩემო კერიავე, მოვალ, გამათბე,
დედამ ლოცვა ცას მანდ შეჰლადა,
ჩემო ახლო ქვევრო, დამათვრე
შენი ბავშვი და შენი ჭაღარა.
მიმქრალ ნაპერწკლებს გულით ავხვეტავ,
მერე ჩავბერავ სულის ქურაში.
ვარსკვლავებში ვარ, ცას რომ ავხედავ,
და სადღაც მივჭრი ზღაპრულ ქურანით...
ლოცვად ღმერთი მყავს „ვეფხისტყაოსნის“.
განა ყურანის?!

ჩემი აჭარა არა მსურს გიქო,
შენც, უცხო მგზავრო. შენც ქებას ეტყვი,
მე ვიყავ მისი პატარა გიქო,
ცეცხლში დაბრუნდა აქ ჩემი ეტლი.
შუღლი, ლალატი დამატყდა რისხვად,
განა რაიმე მქონდა მე ბრალი?!
უამმა ბედითმა დამწურა სისხლად,
მშველოდა ერთი პატარა ქალი...
და ლოცვად მივის ჩემი გამჩენი, —
ალერსიანი მკერდით მატარა,
ალალი იყოს სიცოცხლე ჩემი
შენთვის დედაო,
შენთვის აჭარავ!

შენი ღუმილი...

შენი ღუმილი დამენანება,
შენს ქორონიკონს დაფურცლავ როცა,

ისმის გალობად, ისმის ზარებად
პოეზიის და ტაძრების ლოცვა.
ტაოელს, კლარჯელს, ლაზსა და შავშელს,
რა საოცარი გალობა უთქვამთ!
სწყუროდათ, ყველა წყალი დააშრეს,
მერე მდინარედ მოხეთქეს უცბად.
ვინ მოდრეკილი, ვინ მთაწმიდელი,
ვინ მერჩულე და ვინ ოპიზარი!
მინდა ვუსმინო ჰანგებს დიდების,
რეკავს იშხანის და ოშკის ზარი.
მინდა გავხედო ტაძრების სვეტებს,
ჩუქურობებს, ქართველ ქალის ნაწნავებს.
ნუ, ნუ დამირბევთ, ნუ გამიმეტებთ
და ჩემს სულს მაღალს ნუ გააწამებთ!
ეტრატებს წერენ... და არის ფერთა
აღრევა, კვეთა და აღმოჩენა...
და რუსთაველი წამოდგა ღმერთად,
ელოდა ვიღაც მის გამოჩენას.
ელოდა მიწა ყოველთა ბედი.
ელოდა ცა და მაღალი სული.
მხარეო ჩემო, როგორ აღზევდი,
მთვარეო ჩემო, როგორ გასრულდი!
ტაო-კლარჯეთს და შავშეთს, აჭარას,
ლაზეთს — ფუნჯის და ყალმის სავანეთ,
ნახევარმთვარე შემოეპარა
და ვაზთან ერთად დაგვასამარეს.
გაუკუნეთდა, ჩაქრა სანთლები.
ხმლებიც, ტაძრებიც სისხლში გამოლბენ...
აწ, განშორებულ ძმათა სათქმელიც,
ჩემო აჭარავ, შენ იგალობე!



ნური ჩხაიძე

ს ა ყ ვ ა ლ ა

ავტოსადგურის წინ, პატარა მოედანზე ავტობუსები და მგზავრები ისე არეულიყვნენ ერთმანეთში, რომ ძნელი გასაგები იყო, ვინ საით მიდიოდა. მგზავრების შეუწყვეტილი ჩოჩქოლი და ძრავების გუგუნი ყურთა-სმენას ახშობდა.

ყველაზე მეტად ვარდისუბნელები ხმაურობდნენ. ავტობუსმა მთელი საათი დაიგვიანა და მოთმინებადაკარგული მგზავრები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ერთმანეთს გაბრაზებული ეკითხებოდნენ:

— ბიჭო, გოდერძია, ჩვენცენ მომავალ ავტობუსისათვის არ მოგიკრავს თვალი?

— ფაცია, რომელი ავტობუსი მიდის ნეტა ვარდისუბანში?

— დასწყევლოს ღმერთმა, მიწამ ზომ არ ჩაყლაპა... ამდენი დაგვიანება აბა სად გაგონილა?!

— ათონიკე, ვინაა ნეტა შოფერი?

— ახალგადმოყვანილი რომაა, საყვალას უძახიან.

— ეგება მარცხი შეემთხვა გზაზე?..

— ბახმაროს გზაზე არ დამტვრეულა, მთელ ზაფხულს იქ დადიოდა და ამ სიფართო შარაზე რა ეშმაკი მოტეხდა კისერს?!

— საყვალა კარგი შოფერია, მარა ჩვენს სოფელში ახალი კაცია. ამ დილით თითო ჭიქას ყველა დაალევიანებდა, ისიც უარს ვერ ეტყოდა და „ადესას“ მაქარში ფუტკარივით ჩაიხრჩობოდა... — დაასკვნა თმაშევერცხლილმა სარდიონ კვაშალმა.

ოქტომბრის სხივნაკლული მზე ახალჩამოთოვილ სათიკნიისა და წიფლისწყაროს გორებს აშორდა, შემდეგ გადმოსაყარასაც თავზე გადმოადგა

და სუფსის ხეობაში ცვარი ააორთქლა. ავტობუსი მაინც არ გამოჩნდა. ის-ის იყო, აღელვებული მგზავრები ავტოსადგურის უფროსთან უნდა შეცვნილიყვნენ, რომ ტალახში ამოსვრილი მოძველებული ავტობუსიც ჩამოედგა.

უკმაყოფილო მგზავრები ავტობუსის კარს მიაწყდნენ.

მძლოლმა გახუნებული კები თვალებზე ჩამოიფხატა და გრძელი, მოზრილი ცხვირი ფანჯარაში გამოჰყო:

— მასე, ხო?! აბა თქვენ იცით, რომელი შემოასწრებთ. დასცხეთ თავი რკინას. ეგება შემდამტვრიოთ. რამ გადაგრაით? მანქანა არ გინახავთ, თუ რაშია საქმე? ბაბუათქვენის გახედნილი ხარები ხომ არ გგონიათ? რკინაა, რკინა... ფოლადი... უკან დაიწით... საშუალება მომეცით კარი გავაღო, ძირში ჩამოვიდე და უფროსს საგზური შევამოწმებო. თუ არა, იქნებით აქანა სალამოდე. ნუ იკლავთ თავს, ადგილი ყველას გეყოფათ. უბილეთობა ფეხადინით წაბრძანდით. ჯერ მაინც ადრეა და ცოტა გვიარ-გამეიარეთ, სუფთა ჰაერი გადაყლაპეთ. მეც წვერს გავიპარსავ, სალაშოს მეზობლის ქორწილში მივდივარ და თქვენს სადღეგრძელოს სათითურით დავლევ. ყანწები ამიკრძალა ავტოინსპექტორმა... ვარდისუბანში გამწყდარა პარიკმახერი და აქ უნდა მოვძებნო. უკან დაიწით... გამომიშვით გარეთ... ბალანა არ დამიხრჩოთ ხახუტა, შენ ჯორჯოზე გადაჯექი... მე ახლავე მოვალ, — თქვა საყვალამ და მანქანიდან გადმოვიდა, მგზავრების საყვედურს ყური არ ათხოვა, ზეთში ამოსვრილი შარვალი შეისწორა და მოკლე, ჩქარი ნაბიჯით ავტოსადგურის სამორიგეს მიაშურა.

თორმეტიოდე წლის თაფლისთვალა ხახუტამ მგზავრებს ადგილი დაუთმო და ჯორჯოზე გადაჯდა.

სანამ საყვალა საგზურს შეავსებდა, ავტობუსი ისე გაიჭედა მგზავრებით, რომ მძლოლი საჭესთან იღივს მივიდა. უბილეთობილეთიანები ერთმანეთში არეულიყვნენ. წვერის გაპარსვაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა.

როგორც იქნა, ხალხი ოდნავ დაწყნარდა.

— საყვალა, ამ დილით სადმე ხომ არ გადაგიკრავს, მასე რომ შეჭიკჭიკებულხარ. „დიდმოხვეულში“ ზრამში არ გადაგყარო. დალევასაც თავისი დრო აქვს. ამდენი დავგიანება შეიძლება? ჩვენც საქმის ხალხი ვართ. შენი საკუთრება კი არაა აგი ავტობუსი. ჩვენია, ხალხისაა, სახელმწიფოსაა. სახელმწიფოს ჭკუაზე უნდა წახვიდე და მოხვიდე. ამდენი დრო სად გვაქვს. ტეხა-კრეფაა გაჩაღებული, — აქაქანდა ფაცია მეგრელიძე.

საყვალამ კების ქვემოდან ალმაცერად გახედა ფაციას და გრძელი წამწამები დააფახულა.

— ქალო, რავა პიმილივით მეცი ცხვირში. გვარად კი ხარ მეგრელიძე, მარა მეგრელივით სულწასული კი არ უნდა იყო. დამაცა სულის მოთქმა. ჩემი დავგიანების მიზეზი მოკითხეთ დარეჯანა აბდალას. არ წამოიყვან და გეწყინებათ, აბდალა არაფრათ ჩააგდო. წამევიყვანე და ასეა, სა-

ნამ სპირიდონას წისკვილის კარზე არ მიმაყენებია მანქანა, არ მომშორდა იქინე ტალახში ჩავვარდი და მთელი საათი ვიწვალე. ვერ ხედავთ, რას ჰგავს საბურავები?! ბუქსირით ძლეს ამოვათრიეთ. დალევა კი არა, შიმშილით კუჭი მიხმება. წვერის მოპარსვის დროც აღარ დამრჩა. — მერე ჭროლა თვალებით დამცინავდ ჩააცქერდა ფაცია მეგრელიძის ჩანთას... — პა, პა, პა. შენი ქმარი რომ ვიყო, ერთ დღეს არ გაგაჩერებდი სახლში.

— მაგის ჯავრით ნუ გაგისკდება გული... არ ვარ გათხოვილი. ბევრი მეძლევა, მარა ჯერ არ ვთხოვდები...

— უფრო უარესი... შენს სიცოცხლეში ვერ გათხოვდები და, თუ გათხოვდი, ქმარი მეორე დღეს გარეთ გამოგაგდებს.

— რატომ. მაგალითად? სიგრძე მაკლრა, განი თუ სილამაზე? ბოდიში მეიხადე მაგ სიტყვისათვის, — გაინაზა ფაცია მეგრელიძე.

— ქალი რომ ერთი შეკვრა მწვანლისათვის მთელ დღეს ბაზარში დაადამებ, ნამდვილად არ ხარ სახლში შემოსაშობი. თუ ვარგისარ ოჯახის ქალად, შენი ბაღია-ბოსტანი უნდა გქონდეს.

მგზავრებს გაეცინათ

სახელეწილი ფაცია მეგრელიძე უკანა საჯდომზე უსიტყვოდ მიიმალა.

საყვალა ახლა სხვას მიუბრუნდა:

— სარდიონ კვაშალო, ქალებში სიარულს დანებე თავი?

— ამდენ ხანს რომ ეარშიყებოდი ჩვენს ფაციას, მაგი კი მონახავს კარგ ბიჭს, მე რას მიშობი ახლა, უბილეთოდ ვარ და სად გამომინახავ ადგილს. — ხმა ამოიღო საფეხურზე შემომდგარმა სარდიონ კვაშალმა.

— ვიცი, ვიცი, რა კაციც ხარ, სარდიონა... გიცნობ და იმიზა გითხარი, ქალებში თუ დადიხარ-მეთქი... შენი თავი ასი წლის შემდეგ მეყოლოს მასე, კარზე შემომდგარი. შემობრძანდი და დაბრძანდი სამეფო სკამზე. დედოფალსაც გამოგინახავთ, მარა ადგილი აღარ ყოფილა. თუ გეკადრება, ფეხზე დადექი... შენმა მზეგრამ ომში გამიჩინა თმაში ჭალარა და აქაც აღარ მშორდები? არ გეყო, ოთხ წელს რომ გასეირნე უფასოდ? — საყვალამ ჭალარაშერეული, სქელი უღვაშის ქვემოდან დამცინავად გაუღიმა კვაშალს.

— შენი უფროსი ვიყავი და, თუ მინდოდა, კისრით დაგაყუდებდი. ახლა შეიცვალა დროება და გამიხდა საქმე შენდა შესახვეწნად, თვარა... — თავი მოიწონა ძველის გახსენებით კვაშალმა და ავტობუსში ამყად შევიდა.

— მაგაზე მოგიწერე ხელი, ჩემი უფროსი ნამდვილად იყავი. უფრო მაღლა იჯექი და იმით. ორმოცგრადუსიან ყინვაში კარტოფილის ტომრებთან მყავდი ძარაზე შეგდებულები... იგი რაფერ იყო, კარტოფილის თლაში თითები დეითალე და სახლში შეიწერე, ფრონტზე დევიკერიო?! ხა, ხა, ხა... ლაპარაკის დრო აღარ მაქვს. სარდიონა, უკანა საჯდომზე ჩაემატე მეექვ-

სედ. მეტი გამოსავალი არ გვაქვს! — ხშირი წარბები შეათამაშა საყვალბა და ოციოდე წლის ახალგაზრდას მიუბრუნდა:

— შენი რა მმართველს, ჩემო ბიძია, პირში რომ მომჩერებიხარ? რა გქვია სახელი?

— გოდერძი...

— ბიჭოს! სახელი კაცის გქონია. რა გვარი ხარ?

— ანდლულაძე..

— პა, პა... პა... გვარმა მოძმარა გული... ბეჭიე ყოფილხარ და არაფერი შენგან გასაკვირი... მარა გვარს დღეს აღარ აქვს მნიშვნელობა. შეხედულად კარგი ვაჟკაცი ჩანხარ... სად მიგაქვს მაგი ჯართი? ძირში ჩადგი და ხალხი შემოუშვი. მე ჯართს არ ვიბარებ. ხალხი გადამყავს... — და გოდერძი ანდლულაძეს ახალნაყიდი თუჯის ღუმელი ჩაადგმევინა.

— ჯართი შენი მანქანაა, ძლივს მიგორავს. ბეჭიეზიც თქვენკენ მოიკითხეთ, — გაჯავრდა გოდერძი ანდლულაძე და წინა საბურავს ფეხი მაგრად მიარტყა.

— ჩილი ბალანა ჰყავს. ამ ზაფხულში ახალ სახლში გადავიდა, ბურის აყვანა ვერ მოასწრო და იმიტომ იყიდა ღუმელი... წაუღე, საყვალა... ცოდვია. კარგი ბიჭია... — შეიბრაღა იგი სარდიონ კვაშალმა.

— შენ კი მოეწყვე, სარდიონ, მეფესავით და ახლა სხვებსაც შეიბრალებ, აბა რა იქნება! ღუმელს თავზე ხომ ვერ დავიდგამ? ბაღნები თუ ეხოცება სიცივით, მითხრას ადამიანურად, გამაგებოს. საბურავზე რომ ფეხს მიბრაზუნებს, არ დამაჭრას ყურზე ხახვი... ჩადი, ბიჭო, ხანტუტა, საბარგოში შეატანიე იგი ჯართი. აჰა, გასაღები... — მიუბრუნდა შვილს საყვალა და გასაღები გადასცა.

ხანტუტამ და გოდერძიმ ღუმელი შეინახეს და ავტობუსში შევიდნენ.

ხანტუტა თაფლისფერთვალა, ცოცხალი, მკვირცხლი ბავშვი ჩანდა. სახით მამას ჩამოგავდა, მაგრამ ღფრო შავგვრემანი იყო. სულ მამას შესცივინებდა, თვალი საჭისკენ გაუბრუნდა. ეტყობოდა, ძალიან უყვარდა მანქანა.

— აბა, უბილეთოებმა ბილეთი შეიძინეთ... — მიუბრუნდა საყვალა მგზავრებს და ბილეთის გრძელი გრაგნილი გაშალა. — სალაროში წასვლა რადგანაც დაგეზარათ, მე მომეცით ფული. მამაკაცები დაპატიყებს ქალებს. ქალებმა კი არ იუყადრისონ, ასეა წესი. მე მხოლოდ მამაკაცებისგან ვღებულობ ფულს. აბა, ვაჟკაცებო! გაიკარით ჯიბეს ხელი. ქალებს პატივისცემა უნდათ. — გაიძახოდა იგი და ბილეთებს არიგებდა. — ქალი? ქალი ყველაფერია ამქვეყნაზე: ფული, სული, გული, სიყვარული, სახარული, ზაჰაპური, ზოგჯერ კი შავი პური, პიმილიანი ლობიო და ძმრიანი აჯაფსანდალიც. ყველაფერი რაც კია — კარგი თუ ცუდი, ქალშია დამალული. ჩემი ქალი სადამოს მეზობლისას გადავიდა და, რომ დეიგვიანა, გულზე ცეცხლი მომეკიდა. მოვკლავ-მეთქი. ხანჯალი გავლესე. ძაღლმა კი არც შე-

უყვება, ისე შემოუწვია სახლში. პატივი სცა პატრონს. აბა, მე ყოველთვის მაგვიანდება და ფეხები სულ დაქმული მაქვს მისგან. ვერ მცნობს ფეხსაღს წელკავე და ქურდი ვგონივარ... ასეთია ქალი. ძაღლმაც კი იცის მისი ფასი... ჰოდა, თქვენც აბა... დაუჩქარეთ, მამაკაცებმა გაიყარით ჯიბეს ხელი და ფული მომაწოდეთ.

მგზავრები შეჩოჩქოლდნენ. აქა-იქ აშრილდა ფული. ქალებიც ჩურჩულებდნენ, სხვამ რატომ უნდა დაგვაბატოვოს, ჩვენ ვიყიდით ბილეთებს, საყვალას არ დაუჯეროთო.

— მალე, მამაკაცებო... ცოცხლად, თორემ ქალები დაგასწრებენ დაპატიებებს... მე რა მენადღვლება... გეგმას კი შევასრულებ და... ფული ფულია. — შეაქო ქალებიც საყვალად.

— რადგან დაპატიებებაზე მივიდა საქმე. დაგასწრებთ და ჩვენი სოფლის ახალ დედოფალს დაგვაბატოვებ. ყური მოგკარი, იმ კვირაში თხოვდებოდ და გამიხარდა... — თქვა ათონიკე წილოსანმა.

— როგორ გეკადრებათ, ათონიკე ბიძია. ყველა იფიქრებს უფულო ყოფილაო... — ძლივს ამოიღო ხმა კუთხეში მიმჯდარმა ლიანა ოთხმეზურმა. — ჩემს ფულს არა აქვს ნომერი, თუ რაშია საქმე?

საყვალამ მაშინვე გადასცა ორი ბილეთი წილოსანს და ლიანას მიანათა კროლა თვალები.

— ჰა... ასეა საქმე? დედოფალი თქვენ ბრძანდებით? მშვიდობაში! როდის აქეთ! ვის მიყვები, გოგოვ? მე არ დაპატიებებ ქორწილში?

ლიანა ოთხმეზური სირცხვილით კინაღამ სკამის ქვეშ შეძვრა...

— მაგი მზეთუნახავი გაღმასერელმა გაიოზ მუჯირმა წაგვართვა, ცისფერი „ვოლგა“ რომ ყავს, იმან. „ვოლგით“ აჯობა სხვებს, თვარა ბევრი ყავდა მთხოვნელი. ქორწილში შენც ხარ დაპატიებებული, საყვალა, დაპატიებების საქმე მე მაქვს დავალებული მაგის ოჯახისაგან, — ხმა აუწია სარდიონ კვაშალმა...

— გაღმასერელმა გაიოზმა? დარეჯანას შეყვარებულმა? მომილოცავს, გოგოვ, მომილოცავს. კარგი ბიჭი გამოგინახავს, მარა რაღა მაინც და მაინც დარეჯანას შეყვარებულს დაადგი თვალი. სხვა აღარ იშოვებოდა? აბა ისრიალებ „ვოლგით“ და ჩემს ავტობუსს აღარ შემოხედავ. მომილოცავს... შენს ქორწილში აუცილებლად მოვალ, მარა რად გინდევართ — სათამაოდო და სამაყროდ ვერ გამოგადგები. ღვინოს ერთ წვეთს ვერ ჩავიცდენ. ავტოინსპექტორმა ამიკრძალა და გაღმასერელებმა „შემოპარულიაო“, არ იფიქრონ.

ვარდისუბნელებმა ახლა გაიგეს ლიანას გაბედნიერება და ატყდა გნისი:

— მართლა, ლიანა?

— მოგილოცავ, გოგო!

— დიდხანს იბედნიერე!

— ოქრო ბიჭია!
— ოქრო ჩაის მკრეფავიც წაგვართვა!
— ამიტომ არ იღებდი ხმას ღღეს?! იმ შაბათს ქორწილი ქონია დანა-
შნული!

ახლო მკდომმა ქალებმა გადაკოცნეს კიდევ ლიანა ოთხმეზური.
ლიანა სირცხვილით თავლის სანთელივით დაიწვა და სახეზე კაშნე-
აიფარა.

— საყვალა, ღვინის დაღვევაზე ჩვენ არ გვაქვს საქმე... შენი მანქანა
გვჭირდება. აბა, შოფერს ღვინოს ვინ დააძლევს. — საქმიანი კილოთ
განაგრძო სარდიონ კვაშალმა. — მაყრების წასაყვანად გვჭირდება. მეტი გა-
მოსავალი არა გვაქვს.

— სარდიონა, შენც კარგად იცი, ზოგს მღვდელი უყვარს და ზოგს
მისი ცოლი და ზოგს მისი ქალიშვილი, მარა შენ რომ მისი ჩაბუტკუნებუ-
ლი რძალი მოგწონებია, მაგი ვერ გამოგსვლია კარგად. აგი მანქანა სახელ-
მწიფოსაა და ჩემი უფროსის უნებართვოდ არ შემიძლია გადმასერის რე-
ხში წამოსვლა. თუ რამე სერიოზული გაქვს გულში, აგერაა ჩემი დირექ-
ტორი და რესტორანიც. იმანაც ადღეგრძელოს ერთხელ ლიანა და გაიოზი.
მოელაპარაკეთ და ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ... ასე არ ჯობია, მეგობ-
რებო?! — ღიმილით გადახედა მან მგზავრებს და მანქანა ადგილიდან დას-
ძრა.

— სწორია!

— მართალია! — დააწიეს ხმა შოფერს.

— დარეჯანას საქმე კი დეიღუბა და სხვაი თქვენ იცით?! — მოგვია-
ნებით ამოიღო ხმა გოდერძი ანდლულაძემ.

დარეჯანას ხსენებაზე ყველას გაეცინა.

— აბა, საწყალი დარეჯანა, გაიოზის სიყვარულმა გაასულელა: სულ
გაიოზზე და მის „ვოლგაზე“ ფიცულობს და ისიც ლიანამ წაართვა! — და-
უმატა სიცილით წილოსანმა.

ლიანა ოთხმეზურსაც ჩაეცინა.

მალე ავტობუსი ნასაკირალის მოხვეულებს შეუდგა. საყვალამ სიგ-
ნალს მოუხშირა.

— ჰოდა, ვილაცამ ისიც თქვა, დარეჯანა თავს მოიკლავსო, — გააგრ-
ძელა სიტყვა ერთმა.

— ყური იმასაც მოვკარით, დარეჯანას გაიოზის „ვოლგაზე“ უფრო
საყვალას ავტობუსი მოსწონებია და საყვალას ცოლ-შვილი უნდა დაა-
ტოვებოისო, — დასძინა მეორემ.

— სწორია... აბა, როგორ გგონიათ თქვენ, მისი სიყვარული კუჭში
მაქვს ჩავარდნილი... — შეჭადარავებული უღვაში შეისწორა საყვალამ. —
ცოლ-შვილს უკვე გადავუწურე წყალი. ხომ მეიცდი, ბიჭო, დედაშენთან?
— შეეკითხა იგი შვილს.

— აბა, ხო... მოგვლავ იმ დარეჯანა აბდალას. არავის გავატან შენ, თავს. ავტობუსიც ჩვენია... — პატარა ხელები ყელზე შემოაჭდო მშობელს ხახუტამ.

— დარეჯანა სულელიო... გათხოვებას სულ ელიო. — აღიღინდა საყვალა და საჭე „დიდი მოხვეულისაკენ“ შეაბრუნა.

— აბა, საყვალა, კიდევ გამოჩნდა შენი შეყვარებული, სანეფოდ გაემზადე... ქალბატონი დარეჯანი სადედოფლოდ გამზადებულია. ამ ბოლო დროს ძალიან კარგ საქმეს მოკიდა ხელი დარეჯანამ. ჩაის ფოთლის კრფას თავი დაანება და წისქვილში დააქვს მთელი ჩვენი კუთხის საფქვავე. ყოველდღე გამოკიდულია ავტობუსზე. ავტობუსიც ყოველ საათში დადის და აწყობილი აქვს საქმე გიტარასავით. დადის. ნამდვილ მეწისქვილესავით გაფქვილული და დაათრევს ტომრებს. აბდალაო! მაგი გამოდგა ჭკვიანი საქვეყნო საქმესაც აკეთებს და თავისასაც. ჩაის მკრეფავ ქალებსაც არ აცდენს ჩაის კრეფაზე და თვითონაც გროშებს ღებულობს, თავი გააქვს. — თქვა სარდიონ კვაშაღმა.

„დიდი მოხვეულის“ დასაწყისში, სპირიდონას წისქვილისაკენ მიმავალი ვიწრო სამანქანო გზის გადასახვევთან მარტლაც იდგა დარეჯანა. დიდი ტომარა გზისპირას ქვაზე დაედო და შუა გზაზე გამოსული ავტობუსს უცდიდა.

იგი საშუალოზე მაღალი იყო, ქერა და ხმელი. ოცდაათ წელს მიღწეულს ლოყები უკვე დანაოჭებოდა. ფქვილში ამოსვრილი, უაზროდ იცინოდა. ისე დაედო პირი, რომ ვერცხლის ხელოვნურ კბილებს დაუთვლიდა კაცი. ავტობუსი რომ დაინახა, გამოიქცა და წინ გადაუდგა.

საყვალამ მანქანა ცხვირწინ დაუმუხრუჭა, კარები გააღო და დაიყვირა:

— შე სულელო დარეჯანა, ასე წინ გადადგომა გავიგონია?! რომ შემომკვდომოდი, იტყოდნენ, მზეთუნახავი შემოაკვდაო და მიმასვრეტდნენ. აბა მე რაში ვიქნებოდი დამნაშავე, შენ თვითონ იკლავდი თავს..

პასუხად დარეჯანამ ხმაძაღლა გადაიხარხარა.

— კი მარა, ასე მალე დააფქვიე, სად იყავი? — მოლბა საყვალა.

— აბა, რა გგონია შენ! აგი გუშინდელია. სპირიდონას წისქვილიდან აქნამდე ჩამოტანაში გადამაძრო ზურგზე ტყავი. დღეს შენს მერე სპირიდონას წისქვილისაკენ მანქანა აღარ წამოსულა. გზა სულ გაფუჭდა. უჩემოდ სად მიდიოდი, თუ იცი? აქანა რომ დეგეტიებიე, მერე ველარ გადაშირჩებოდი! — გაისმა მისი წვრილი აკანკალებული ხმა და უაზრო ხითხითი.

დარეჯანამ თითქმის თავისი სიმძიმის ტომარა ავტობუსში მარტოღმატომ შემოაგორა. მაგრამ თვითონ ველარ შემოვიდა: ადგილი აღარ იყო.

— დედოფალო, შენ აგერ მომიჯექი გვერდით. გაიოზი ვერ დაგინახავს... საქმრო ხომ დავითმო დარეჯანამ, შენ ადგილი მაინც დაუთმე. შენ კი, მეგრელიძის ქალო, შენი მწვანელით ცოტა გვერდზე მიიწი, დარეჯა-

ნიც ჩამოჯდება. მაგას ფული წინდაწინ აქვს გადასდილი, — თქვა საყვარელი
ლამ.

დარეჯანამ ტომარა შუავეტობუსში შეაგორა და ზედ ჩამოჯდა, შემდეგ მეზობლებს გადახედა და მიესალმა.

— გამარჯობათ თქვენი! — ისეთი ხმით წარმოთქვა, თითქოს ვიღაცა ყელში ხელს უჭერსო. — ვერ მიცანიით?! მე ვარ დარეჯანა — სპირიდონას წისკვილში გავიფქვილე ასე...

— დარეჯანს სიცოცხლე!

— კარგი პუდრი გიმოვია, დარეჯან!

— როდის თხოვდები, დარეჯან!

— ქორწილში თუ დამპატიყებ!

— თამაღობა არ შემაცილო!

— ცისფერი „ვოლგა“ რას შვება?.. — გაისმა შეძახილები.

— არა, დარეჯანი ჯერ არ თხოვდება. — ყველა შეკითხვაზე დარეჯანის მაგივრად პასუხი გასცა ხახუტამ. — მე რომ „ვოლგას“ ვიყიდი, მაშინ გათხოვდება და მაყრად წამიყვანს!

საყვალამ მანქანას სიჩქარე შეუცვალა და შვილს გადახედა.

— რაღაი, დარეჯანა, დეიგვიანე. ცისფერი „ვოლგა“ ხელიდან გავიფრინდა, გაიოზა ლიანამ წაგართვა. — დაბალ ჰმაზე შეაპარა სიტყვა ფაცია მეგრელიძემ. — შაბათს ქორწილს იხდიან...

დარეჯანი სახეზე დააკვირდა ფაციას, მართალს თუ ამბობსო, შემდეგ დამორცხვებულ ლიანასაც გადახედა და, თითქოს არაფერიყო, ხელი ჩაიქნია:

— წამართვა და წამართვას, რა ვუყოთ მერე. სხვასაც კი ყავს „ვოლგა“.

თოკივით დახლართული „დიდი მოხვეული“ ისევ გრძელდებოდა. ბახვისწყლის ხეობიდან ზენა ქარმა წამოუქროლა და გაყვითლებული აკაციის ფოთლები ჰაერში ააპარპაშა. ქარს აღმოსავლეთით ამაყად წამოზიდული ახალდათოვლილი ბახმაროს მთებიდან თოვლის სუსხი ჩამოჰქონდა.

ვარდისუბანში დარეჯანზე ბევრ რამეს ამბობდნენ... უწინ ჰკვირებდნენ ფილაო. გაღმა სერზე ცხოვრობდაო, თოთხიკტი წლისა ბიჭებს ტყეში გაუტაცნიათ და მაშინ გასულულებულაო. მის გატაცებას თანასოფელელ გაიოზ მუჯირს აბრალებდნენ, მაგრამ ვერ უმტკიცებდნენ. დარეჯანა კი არაფერს ამბობდა. თავისი სოფელი მიატოვა და ვარდისუბანში გადმოიხვეწა. ამის შემდეგ მშობლები, დები და ძმები ერთხელაც არ განსენებია. მშობლებსაც და ნათესავებსაც გულიდან ამოუღიათ „დარეჯანა სულელიო“.

— ჩაის კრეფაში ორი ქალია, არ მოგპარავს და არ წაგართმევს. საქმეს თუ დაავალებ, წყალში გადავარდება, იყოს ჩვენს სოფელშიო, — გადაწყვიტეს ვარდისუბნელებმა და ერთი პატარა ქოხი აუშენეს. ათასში ერთ-



ხელ საჭმელს ან ტანსაცმელს თუ მოიმათხოვრებდა დარეჯანა, სამკაცვე-
როდ ფიზიკურად ეხმარებოდა ყველას. სულ გათხოვებაზე ფიქრობდა და
ლიდან საღამომდე გათხოვებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ბიჭებს სათოფეზე
არ ეკარებოდა. მხოლოდ ვაიოზ მუჯირის ცისფერ „ვოლგას“ რომ შეასწ-
რებდა თვალს, ხარხარი აუტყდებოდა, აედევნებოდა და მანამ მისდევდა,
ვიდრე „ვოლგა“ თვალს არ მოეფარებოდა.

— დარეჯანა, დღეს ვისი საფქვავეი დააფქვე? — ჰკითხა ათონიკე
წილოსანმა.

დარეჯანმა ლიანას გადახედა.

— ვისი და ლიანას...

— ოჰო, ლიანამ საქმროც წაგართვა და საქორწილო ფქვილიც დაგა-
ფქვევია?! მაგას ჩიტის გული ვერ მოითმენს... — წააქეზა საყვალამ დარე-
ჯანა.

— რა ვუყოთ მერე... ვაიოზა თუ წეიყვანს ლიანას, წაყვეს, ღმერთმა
შეარგოს... — ისე ჩაილაპარაკა დარეჯანმა, თითქოს ერთი კალათა „ადე-
სას“ ყურძენი დაეთმო ლიანასათვის.

— არა, დარეჯან... როგორ გეკადრება... გატყვილებენ მაგენი... მასხ-
რობენ, — გაიცინა ლიანა ოთხმეზურმაც.

— მასხრობენ და იმასხრონ... ეს ცხოვრება მასხრობაა. მეც მიყვარს
მასხრობა... ხა... ხა... ხა... — გადაიხარხარა დარეჯანმა და თვალზე ცრემლე-
ში მოადგა.

— ხა... ხა... ხა... — აუტყდა სიცილი ხახუტასაც... — უფრო ხმამაღლა
გაიცინე, დარეჯან, აბა, ჰო!.. — და დარეჯანას გაფქვილულ მხრებს წაეპო-
ტინა. საყვალამ თავის დროზე ანიშნა, თავი დაანებე, თორემ გადაირევო.
მერე გაჩუმებულ მგზავრებს ღიმილით გადახედა და საუბარი სხვა თემაზე
გადაიტანა.

— მანქანამ ხომ არ გაწყინათ, ხალხო?! რაღა ჩაგივარდათ ენა მუცელში.
ჰოდა, მე თქვენ კარგად ვერ მიცნობთ. სინამდვილეში სოლომონი მქვია.
საყვალა შოფრებმა დამარქვეს. ბახმაროს სეზონის დახურვის შემდეგ
თქვენს ავტობუსზე ვადმომიყვანეს. ძველი შოფერი ვარ. სარდიონა მოგი-
ყვებათ ჩვენს ამბავს. ომის დროს მანქანით ერთად ჩავედით ბერლინში.
იმის შემდეგ დიდხანს აი იმ გადმოსაყარას მთის ძირში ვცხოვრობდით. მა-
ნქანისათვის ხელი არ მომიკიდია, მარჯვენა ფილტვში კვერცხისოდენა
„ასკოლკა“ მაქვს გაჩხერილი და იმის მეშინია... მაგრამ რას იზამ, ბენზინის
სუნი მომენატრა, ველარ გავძელი, მივატოვე იქაურობა და ქალაქში გად-
მოვსახლდი. ახალი სახლი ავიშენე. უკვე ერთი ლურსმნის მიჰედებაც
აღარ სჭირია. ღვინოც საკმარისი მაქვს და დასაყოლებელიც. მხოლოდ ასა-
სვლელი კიბის მიდგმა ვერ მოვასწარი ამ ზაფხულზე. მოდაში რომ არის
ახლა ორსართულიანი რკინა-ბეტონის კიბე, იმასაც მალე მივაყვამ და მე-
რე ყველაი ერთად მესტუმრეთ. მოგიკვდეთ საყვალა, თუ კისრის ტეხით

არ გამოგიშვით სუყველა. ისეთი ღვინო დავაყენე, რომ ცეცხლს ბენზინით მისდევს. დასაყოლებელიც ბევრი მაქვს. თუ გამომელევა... მუხის კეტს დაგაყოლებთ, ბაბუაჩემმა რომ დამიტოვა... და მაინც მადლობელი იქნებით... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა იგი და გზას თვალს არ აშორებდა.

გარეთ ამინდი ოდნავ შეიცვალა.

ზენა ქარი მომძლავრდა. უკან ჩამოტოვებულ ნასაკირალს თხელი ნისლი ჩამოაწვა. აკაციების გაყვითლებულ ფოთლებს წიფლისა და რცხილას ფოთლებიც აედევნა. ქვევით, სუფსის ქალაქში გაყვითლებული სიმინდის ყანა უსიცოცხლდე შრილებდა.

საყვალამ სიჩქარეს მოუმატა. მაღალცხავთის გორა, ძველი ჩანგრეული საკირე და სუფსის პირას გაშენებული ვარდისუბანიც გამოჩნდა თავისი ჩაის პლანტაციებით გადახვევრდებული გორებითა და სიმინდის მწიფე ყანით გადაყვითლებული ჭალით.

მალე ავტობუსი ვარდისუბნის ცენტრში შეგრიალდა, ვრცელი წრე შემოხაზა და ძველი კოპიტის ქვეშ გაჩერდა.

მგზავრები საყვალას გულთბილად დაემშვიდობენ.

— შენ რაღას უცდი, დარეჯან? დაანებე გაიოზაზე ფიქრს თავი, ჭლექი გაგიჩნდება. ხვალ ასეთ ბიჭს გაგაცნობ... გაპრიალებული „ჩაიკა“ ყავს, — თვალი ჩაუკრა დარეჯანს საყვალამ და მარჯვენა ცერი მალლა აღმართა.

დარეჯანამ უაზროდ გაიღიმა, შემდეგ ხარხარი აუტყდა.

— რა იყო, გოგო! რა გაბარბარებს? არ გჯერავს. ხომ?! ხვალვე გაგაცნობო!...

— საყვალა... მაგი მაგია, მარა, კაცი ხარ ქვეყანაზე და მიმატანიე მანქანით აგი ტომარა ლიანსას. ვერ ვზიდავ, ხუთი წუთის საქმეა. სამაგიეროდ, ხვალ ერთ კალათა კარგ „ადესას“ დაგაბვედრებ... — აკანკალებული ხმით თხოვა დარეჯანამ.

— მაგაზე არ გაწყენიებ, დარეჯან... — შეიცოდა საყვალამ დარეჯანი, — მარა ცოტა მომიცადე. წვერს გვეპარსავ და მერე. ქალაქში ველარ მოვასწარი... ავერ ნესტორაც ძლივს შევისწარი საპარიკმახეროში. მივუსწრო უნდა, თვარა მაჩვენებზე სანადიროდ გამეჩქევა. ამელამ ერთ ადგილზე ქორწილში მივდივარ და ასე გაბურძენილი ყველას შევაშინებ. ცოლი მოკვდომიო, იფიქრებენ. ავტობუსში მომიცადე ხახუტასთან. ბიჭო, დარეჯანა არ გააჯავრო, თვარა ნესტორას სამართლებლით ყურს დაგათლი... — დაემუქრა იგი შვილს და საპარიკმახეროში შევიდა.

ხახუტა და დარეჯანი ავტობუსში დარჩნენ.

— დარეჯან, მართლა გინდა გათხოვება? — შეეკითხა ბავშვური ინტერესით ხახუტა დარეჯანს.

— გაჩერდი, ბიჭო... რა ბაღნების საქმეა მაგი!

— არა, მართლა გინდა გათხოვება? ძალიან გინდა? ვინ მოგწონს, მითხარი და ამ ავტობუსით მევიტაცოთ... ესე გაგაქროლებთ, ბიჭო!

— გაჩუმდი, ბიჭო, თვარა მამაშენს ვეტყვი. ყურს დაგათლიო, ხომ გითხრა?

— დარეჯან, გაიოზი მართლა გიყვარს? გაიოზს კარგი „ვოლგა“ ყავს, მარა ლიანა მიყავსო და... — არ მოეშვა ბავშვი...

— გაჩერდი! გაჩერდი-მეთქი!... შენ მართლა იცი მანქანის წაყვანა? „ვოლგასაც“ წიყევან?

— ვიცი, აბა არა? რა უნდა მანქანის წაყვანას! — თავმომწონედ გაიცინა ხაბუტამ. — აბა, მიყურე, როგორ ავამუშავო. გასაღებიც დაუტოვე-ბია მამაჩემს. იგი ყოველთვის მიტოვებს გასაღებს. როცა მთვრალია, მანქანაც მე მიმყავს. აი, ასე, გასაღებს გადავადბრუნებ, სტარტერს ჩაერთავ, შემდეგ გაზს მივცემ და ჰაიდა... გაფრინდება.

ხაბუტამ გასაღები მართლაც გადაადბრუნა, სტარტერი ჩართო, ძრავა ამუშავა და მანქანა ადგილიდან დასძრა.

— გააჩერე, ბიჭო! გააჩერე! სადმე არ გადააგდო... — შეიკივლა დარეჯანმა.

ბავშვმა განგებ მოუმატა სვლას. მანქანა შუა გზაზე გაიყვანა და სუფსის მიმართულებით გააქროლა. დარეჯანა ინსტინქტურად ხელში შეახტა. მანქანა შეჩერდა. ამ დროს უკანიდან საყვირი შემოესმათ. წამოწეული „ვოლგა“ გზას ითხოვდა. ხაბუტამ დარეჯანა ჩამოიშორა და სიჩქარე შეცვალა, მაგრამ წინა სვლის მაგივრად შეცდომით უკანა სვლა ჩართო და გაზსაც ფეხი დააკირა. ავტობუსი უკანა სვლით „ვოლგას“ დაეჯახა და სუფსის პირში გადააგდო. დაჯახების ხმა შორს გაისმა.

გზაზე წვილ-კივილი ატყდა.

გაქაფული ცალწვერმოპარსული საყვალა საპარიკმახეროდან გამოვარდა. უკან ნესტორაც მოსდევდა. ხელში სამართებული შერჩენოდა.

საყვალა ავტობუსთან მიიჭრა, შიგ შევარდა და თხრილიდან ამოაგდო, სუფსაში გადავარდნას გადაარჩინა.

დაბლა, სუფსის პირას ძლივს მოჩანდა დამსხვრეული „ვოლგა“. სისხლსა და ტალახში ამოსვრილი მძღოლი რიყეზე გაშლართულიყო.

გოდერძი ანდლულაძემ და სხვა ახალგაზრდებმა ძლივს ამოიყვანეს იგი და სულთმობრძავი მწვანე მინდორზე დააწვინეს. სისხლიანი სახე ცივი წყლით ჩამოხანეს.

— გაიოზი ყოფილა, კაცო... აგი რა დაგვმართია... რიყეზე პირდაპირ თავით დაცემულა საწყალი...

— გაიოზი? გაღმასერელი გაიოზი?

— ჩვენი გაიოზი, კაცო?!

— ლიანას საქმრო? — გაისმა შეძახილები.

გაიოზ მუჯირის მაღალი, ბეჭვანიერი, ჩაფსკვნილი სხეული სულ და-
მსხვრეულიყო. იგი ძლივს სუნთქავდა.

— რა ვაჟკაცი კვდება! — შეიბრალა ნესტორამ და სამართებელი მი-
წაზე დაანარცხა.

სადღაც ხმადაბალი ქვითინი გაისმა, ლიანა ოთხმეზურის ხმა შეიცნეს...

საცოლეს ხმაზე გაიოზმა თავი წამოსწია. სახე და ცხვირ-პირი სიმ-
სივნისაგან გადასწორებული ჰქონდა. საცოლეს აცრემლებული, სისხლით
სავსე თვალები შეანათა, შემდეგ კი იქვე, ავტოზუსთან მდგომ დარეჯანს
შეაშტერდა. იგი დარეჯანს თვალს აღარ ამორებდა და რაღაცას ანიშნებდა.
შემდეგ პირი დაალო და ძლივს წარმოთქვა:

— შენ... შენ... შე საცოდავო დარეჯანა... მიწია შენმა ცოდვამ...
კვდება...

ერთ ადგილზე გაშეშებულ გაფქვილულ დარეჯანას სიცილ-ტირილი
აუტყდა, რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა... შემდეგ კი მთელი ხმით გა-
დაიხარხარა.

ათონიკე წილოსანმა ხელი ჩაავლო მას და განზე გაიყვანა. გაიოზს
ხველა აუტყდა, უეცრად ფილტვებიდან სისხლის შადრევანმა ამოასხა. მო-
მაკვდავი მწვანე მოლს მაგრად ჩაეკრა და... აღარ განძრეულა.

მასთან ყველაზე პირველად საყვალა მიიჭრა...

— აბა, ბიჭებო! საავადმყოფოში წავიყვანოთ, ეგება ვუშველოთ... —
დაიძახა მან.

გაიოზ მუჯირი პირაღმა გადმოაბრუნეს. იგი უკვე აღარ სუნთქავდა.

— გათავებულია საწყალი! — წამოიძახა ნესტორმა.

ლიანა ოთხმეზურმა შეიკივლა და გულწასული იქვე ჩაიკეცა...

მამაკაცებმა ქუდი მოიხადეს და მიცვალებულს ხელები გულზე
დაუყრიფეს.

ამ დროს კვლავ გაისმა დარეჯანის ხარხარი, გამკავებლებს გამოექცა
და გაიოზის ცხედარს დაეკონა.

— გაათრიეთ მაგი სულელი აქედან... — დაიღრიალა სარდიონ კვა-
შალმა.

დარეჯანს ეცნენ და ძლივს გაიყვანეს.

— გაიოზა მოკვდა? მოკვდა?! გაიოზა მართლა მოკვდა! გაიოზა!
გაიოზა! აეგრ მიდის გაიოზას ცისფერი „ვოლგა“... ხა... ხა... ხა! — ახარხარ-
და დარეჯანა და სუფსისაკენ გაიქცა. მისი ხმამაღალი ხარხარი კარგა ხანს
ისმოდა ჭალაში ტანაყრილი თხმელის ტყედან.

— ა, ბატონო, იტყვიან ღმერთი არააო. ღმერთი, ეგება, არ არის, მარა
ბედი ხომ არის? რაღაც ბედისნაირი რომ არ იყოს, ამ ვეფხვივით ვაჟკაცს
რა გააგორებდა ასე. მაგ საცოდავზე და დარეჯანა აბღალაზე რასაც ამბო-

ბდნენ ყველაფერი მართალი ყოფილა. სად უწია დარეჯანას ცოდვამ ამ უბედურს... — თქვა ხალხის გასაგონად ათონიკე წილოსანმა.

საყვალა უსიტყვოდ მოშორდა გაიოზ მუჯირის ცხედარს და აცრემლებული თვალი ხალხს გადაავლო. იგი ხახუტას დაეძებდა. გასისხლიანებული ხახუტა ხელში ეჭირათ ქალებს და სახეს უხვევდნენ. იგი მიუახლოვდა შვილს და თვალეში ჩახედა.

— ბაღანას არაფერი უჭირს, მარტო წინაკბილეები აქვს ჩამტვრეული, — თქვა ფაცია მეგრელიძემ.

საყვალა თვალეში ჩააცქერდა შვილს.

— მე ვარ დამნაშავე, შვილო!... ჩემმა ჭკუამ დაგვლუპა. მე ვაგებ პასუხს, — ძლივს წარმოთქვა მან და ხალხს მიუბრუნდა: — ბაღანას მიმიჯხედეთ. მე მილიციაში მივდივარ... — კეპი თვალეზე ჩამოიფხატა და მილიციის განყოფილებისაკენ გაემართა.


კბილჩამტვრეული ხახუტა საავადმყოფოში წაიყვანეს...

— საყვალა ამეიშავა ამ ბაღანამ. ისიც ცოდვაა. — შეიცოდა საყვალა ნესტორამ.

— რას იზამ... ბაღანას ბრალია, მარა არც საყვალაა მართალი... რატომ ასწავლა პირზე რძეშეუშრობელ ბაღანას მანქანის ჩხიკინი... ასე იცის მანქანამ. თურმე, ღვინოს რომ დალევა, მანქანას ბაღანას მიანდობდა. ბაღანასათვის ჯერ წიგნი უნდა ესწავლებია. ჩემი კაი მეგობარია საყვალა, ერთად ვიყავით ფრონტზე, ბევრჯერ გადამარჩინა სიკვდილს. მარა აგი ვერ მოვუწონე. შოფერს ცალი ფეხი ყოველთვის ციხეში ან სამარეში უდგანა და აგი არ უნდა დამართოდა ამ ხნის კაცს. — თქვა სარდიონ კვაშაძმა.

სუფსის ხეობაში ღამდებოდა. ტოლებს იქით გადასული მზე ვარდისუბანს ნელ-ნელა ეთხოვებოდა. ნასაკირალის მხრიდან ნისლი მოიწევდა. ბახმაროდან გუბაზოულის ხეობით შემოდგომის სუსხიანი ჰნელი ღამე მოიპარებოდა.

ყველასაგან მივიწყებული დარეჯანა თხმელის რაყაში ჩამოგლეჯილ-ჩამოწეკვილი უაზროდ დაბორიალობდა. თავისთვის ბუტბუტებდა და ხარხარებდა.



ირინე უზვერიძე

როცა დაცვივა ვაზებს ცრემლები...

როცა დაცვივა ვაზებს ცრემლები,
შეთეთრდებიან ბალში ნუშები,
შემოგვცინებენ თეთრი ტყემლები,
შეუწითლდება ატამს ტუჩები.
როს იამ უნდა ამოჰყოს თავი,
როდესაც ჩიტი ბუდეს იკეთებს...
ზეცაო, მიწას არიდე ავი,
მზეო, უბოძე ყველა სიკეთე.

* * *

რა სანახავი არის ამ დილით
ჩვენი ქედები მაღალმთიანი,
თავს ახვევია ნისლის მანდილი
ფერად-რძიანი.
ველურმა ვარდმა გააპო ბაგე,
ტყეს მოულოცა დილა მზიანი.
სულ გაზაფხული ედგას მამულში
ადამიანებს.

წერილი მეგობარს

მოვარე ხეებში ქარვისფერს ათოვს,
ახლაც ოქტომბრის ღამეა წყნარი.
მაინც ვიცოდე, ისევ თუ გახსოვს
მცხეთა,

თბილისი.

მეტეხი.

მტკვარი.

მთაწმინდის მთიდან ნიავეი ქროდა.

დაბლა, ფერდობზე ცეცხლი დავანთეთ.

არ დაგიმაღავს, რაც გულში გქონდა —

ყველა ნატვრა და ფიქრი გამანდე.

გაჩვენე თმოგვი, არმაზის ციხე,

ქართველის სული სად ცოცხლობს ქვაშიც.

სვეტიცხოველის კედელზე მიკრულ

მკლავის ლეგენდა გიაშზე მაშინ.

კიდევ რამდენი დამრჩა სათქმელი,

რითაც ამაყობს ყველა ქართველი....

წახვედი.

მეც ხომ ჩამოვალ თქვენთან

და ვნახავ ვოლგას იისფრად ფერილს,

მანამდე, კარგო, ჩემს გულის ფეთქვას

და ფიქრებს ვატან პატარა წერილს.

მთვარე ხეებში ქარვისფერს ათოვს,

ახლაც ოქტომბრის ღამეა წყნარი.

ნეტავ, ვიცოდე ისევ თუ გახსოვს

მცხეთა.

თბილისი.

მეტეხი.

მტკვარი.



გენრიკა ჟუთათალაძე

წ ვ ი მ ი ა ნ ი ღ ღ ე

ქარი არხევს მაგნოლიის ტოტებს, ბარბაცებენ ხეები, თითქოს სიცი-
ქემ ათრთოლო... ასფალტზე შესაპაშხუპი გააქვს წვიმას...

წვიმს... მთელი დღეა გადაუღებლად წვიმს... ქუჩები წყლით ავსებუ-
ლა... ქოლგაინებიც კი მიიჩქარიან—მაინც, რა ძვალ-რბილში ატანს ეს სუ-
სხი...

ზღვა კი ბობოქრობს ამხედრებული და ვარამს სანაპიროს ქვიშას
უზიარებს... ნუთუ წყალიც თავის ზეაშაიდის გამზიარებელს ეძებს? მაშ, რას
ბუტბუტებენ ეს ტალღები, რად ეკვრიან ასე სანაპიროს ფერად კენჭებს?
წვიმა? ჰო, როცა ცას მიწა მოენატრება, ატირდება და ცრემლები გადმოს-
ცვივა ცისფერი ლოყებიდან, მერე სევდა ცას ნაცრისფერს გახდის და ცვი-
ვა ცას ცრემლები, თეთრი ცრემლები... ასეა, არა? აბა, როცა წვეთები
ცეკვავენ ასფალტზე, რად გვეჩვენება, რაღაც სევდიან ელეგიას ეჩურჩუ-
ლებიანო მიწას?

ჰო, წვიმამ ფიქრთა მოჯარება იცის...

ყველა ეძებს თავის ორეულს, ეძებს და პოულობს... პოულობს კი?
მაშ რატომ ვერ იპოვა ცაციმ?
ეძება?

მაინც, რა მომაბეზრებელი წვიმები იცის ამ ქალაქში... ფიქრებს აუშ-
ლის და... რამ გააგრძელა ეს ქუჩა ასე, ნეტავ ცაცის სახლი სხვაგან ხომ
არ გადაიტანეს?

თითქმის მირბის ცაცი, მირბის მხრებში მობუზული და სიცივით აკან-
კალებული, გზა კი ბებიას სარტავი მორგევით დაგრძელებულა...

ნეტავი მალე დადგებოდეს გაზაფხულის მზიანი დღეები... მაშინ ცა-
ციც გაიმართება მხრებში, გაყინულ სხეულში სითბო ჩაუდგება და...

თუმცა... განა მართო წვიმა ადარდებს ცაცის? მხოლოდ მზის სხივების
სიბნელის ეძებს? მაშ?! ჰო, მზე უნდა ცაცის, აბა მეტი რა, სხვაზე
არასოდეს უფიქრია...

იქნებ?! საკუთარ თავსაც ვერ უმხელს ფიქრებს?

წვიმამ ხოშაკალივით დასცხო და შეუწყვიტა ფიქრთა დინება ცაცის...

ჰო, ნაცნობი ყოფილა და ვერ შეამჩნია. რას იტყვის ახლა? ამპარტა-
ვანი ქალია ცაციო, უკადრისაო... ეჰ... რა ცუდი ზნე დასჩემდა ცაცის.
მაინცდამაინც ქუჩაში აეშლება ფიქრების საღერღელი... გულში კი აბა-
ვინ ჩახედავს...

ეს წყვილი რა არხეინად მიაბიჯებს, თითქოს საგანგებო სასეირნო
ამინდი იყოს... ნანა და თემური ყოფილან! ცაცის თვალიდან გაიზარდნენ
ეს ბავშვები, დაფრთხილდნენ და ახლა, ახლა, ალბათ, საცაა გადაფრინდე-
ბიან... მაშ თუ არა, რატომ ჟღერტულებენ ასე ტკბილად? ჰო, გადაფრინ-
დებიან... ამ გუშინდელმა გოგომ როგორ აღვილად მოძებნა თავისი
საბედო... ცაცი კი?

მეზობლები უკვე შინაბერას ეძახიან. ხმამალა არასოდეს უთქვამთ
ეს ცაცისთვის. მაგრამ... გრძნობს ცაცი, გრძნობს და... ერთი-ორი კიდევ
შეეკითხა, ნეტავი რას ელოდები, ხელმწიფის ვაჟი ხომ არ მოგაკითხავსო...
გაიღიმა მაშინ ცაციმ... ჰო, არა აქვს ცაცის ავი გული, ეწყინა, მაგრამ მე-
ზობელს მაინც თავაზიანად გაუღიმა...

ამოდენა ქალია და ჯერ არავისთვის უწყენინებია, ხმამალა სიტყ-
ვა არ უთქვამს, მხოლოდ ღიმილი და ტკბილი სიტყვები თუ მოწყდება
მის ბაგეს.

მაინც, რამდენი აბეზარი ხალხია ქვეყნად!... ყოველთვის კითხვის
თვალეზით უტყქერიან კიბეზე ასვლისას... ცაცი კი ჩუმად, ოდნავი ღიმი-
ლით მიაბიჯებს კიბეზე... ათასში ერთხელ ორი-სამი ამხანაგი ქალი თუ
ესტუმრება ცაცის ბინას... ჰოდა, მეზობლებიც ირონიით იჩეჩენ მხრებს,
თითქოსდა კიდევ ელიან რაღაცას... მაინც რას? არა, არც ამაზე ფიქრობს
ცაცი...

რა ლამაზი ოთახი აქვს ცაცის... რბილი ავეჯი, კოხტა კარადები. წი-
გნების სტელაჟები, სავარძლები გემოვნებით შეეხამებიან ერთმანეთს...
სერვანტიც უდგას ცაცის, ნაირ-ნაირი ფაიფურის მოვარაყებული ფინ-
ჯნებით გაუწყვია, სურები, ვაზები... კედლები ვერცხლისფერი წყალმცე-
ნაოვებითაა მოურთავს, ფანჯრის რაფაზე კი ქოთნის ყვავილები აბრია-
ლებულა...

ერთადერთი სურათი უკიდია ცაცის კედელზე... ესეც მეგობარმა
მხატვარმა უსახსოვრა დაბადების დღეს... არა, ცაცი არასოდეს იხდის
დაბადების დღეს, ხანდახან არც კი ახსენდება ეს დღე, მაგრამ მხატვარმა
თავისით გაიგო და აჩუქა სურათი... უყვარს ეს სურათი ცაცის...

უკაცრიელ მწვანე ველზე ძლივს მილასლასებს ტვირთწამოვიდებული ჰიანჭველა, საცაა წელში გაწყდება საწყალი... წინ კი წითელი ცხლის ბურთი ელავს, შორსაა იქამდე, მაგრამ გზა მწვანეა და ჰიანჭველა შრომისმოყვარე...

რა ლამაზი ფერებით აუქვლებია ეს ამბავი მხატვარს, რამდენ უთქმელსა და ლამაზს გრძნობს ცაცი ამ სურათში...

მაგრამ ხანდახან მაინც ცარიელი ჩანს ოთახები... რა აკლია ცაცის ოთახებს?...

წიგნების კითხვაში გამოიღამა ცაციმ ლამაზი თვალეზიო... ჰო, ესეც მეზობლებმა ჩაუნისკარტეს. მაშ, რა ქნას ცაციმ, სულ მარტოდ-მარტოა, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ წიგნებს მეგობრობს...

ნუთუ მართლა გამოუღამდა ცაცის ლამაზი თვალეზი? ნუთუ ლამაზია ცაცის თვალეზი? იყო უწინ. უწინ? მაშ, წავიდა ახალგაზრდობა? გაფრინდა სიჭაბუკე? გული? გული რომ კვლავ ისეთი აქვს ცაცის?

როდის წავიდნენ მაინც ეს წლები? უკან მიხედვაც ვერ მოასწრო ცაციმ... თმებში კი... დაუზამთრდა. ო, ეს სიტყვა... რომანსებში როცა ეს-მოდა, გული უკვდებოდა ყოველთვის, ახლა კი... ცაცისაც გაუხშირდა ჭალარა...

მაინც რა სწრაფად გარბიან წლები... თითქოს ახლახან იყო, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, მერე უმაღლესი, მერე ასპირანტურა... და აი...

წვიმს... გადაუღებლად წვიმს...

ოჰ, რამ დააგრძელა ნეტავ ეს ქუჩა დღეს?

ნათელა, ეს ხომ ნათელაა. შეხედე, რამოდენა ქალ-ვაჟი მოსწრებია, მალე, ალბათ, გაათხოვებს გოგოს... ჰო, ცაცის თანაკურსელები ყველანი დათხოვდნენ, უკვე დედები არიან, დედები კი არა, ზოგი ბებიაცაა...

ცაცი კი... კვლავ მოლოდინშია, ასე დაუსაბამო მოლოდინში...

რას ელოდება ცაცი?

სიყვარულს, სიბოძს, მეგობარს...

მერე ამდენხანს?

ნუთუ არავის შეყვარებია ცაცი?

კი, ორ ვაჟს უყვარდა ცაცი, მაგრამ...

რა მაგრამ?

ვერ გაუბედეს ცაცის სიყვარულის გამხელა, მაჭანკლები მიუგზავნეს და...

ლა?!

დიდხანს იცინა მაშინ ცაციმ, ეს რა გავიგონეო...

მერე ერთმა ინჟინერმა ხელი სთხოვა ცაცის...

ამაზეც გაეცინა ცაცის მაშინ...

ნუთუ თვითონ ცაცის არავინ ჰყვარებია?

უყვარდა?!

მხოლოდ ორჯერ ნახა ცაციმ ის... მათემატიკის მასწავლებელი იყო...
უცხოური სახელი ერქვა — ლუდოვიკო!

ამაზე გაეცინა ცაცის, უნებლიეთ გაეცინა და... მერე აღარ გამო-
ჩენილა ვაჟი...

მერე? ჰო, მერე, როცა წვიმა აწანწარდება, ცაცისაც აგონდება ის
და გული რაღაც ყრუ ტკივილითა და სიბოთით ევსება... რა იყო ეს
გრძნობა, ცაცის ამაზე მაშინ არ უფიქრია, მაგრამ ახლა...

ახლა რომ გამოჩნდეს ის?

ცაცის ელულება თვალები... ლამაზი თვალები... ჰო, წლების უკან
ჰქონდა ლამაზი თვალები, შავი, ცეცხლიანი თვალები. ახლა კი... ახლა
რაღაც კაეშანი ჩამდგარა ცაცის თვალებში... ნუთუ არ უნდა ცაცის გა-
ხედეს დედა? ბავშვობის წლებში ჰიაფერა დედოფლებს აკეთებდა, თავისი
ხელით უკერავდა კაბებს და „ჩემო გოგოო“. ეფერებოდა, ახლა
კი... ამაზე მაინც რატომ არასდროს დაფიქრდა?

როდის გაფრინდნენ ეს წლები, როდის?

ეს რაა?! წვიმას გადაუღია, ცაცის კი კვლავ გაშლილი ქოლგა
დააქვს... როგორ გაერთო ფიქრებში... აი, საცაა სახლსაც მიაღწევს.

„ცისარტყელა, ვაშა, რა კარგი ცისარტყელა!“

ეს რა ჟრიაშული გააქვთ ბავშვებს? ო, გამოუდარებია, ცას პირი
შეუმშრალებია და სამეჯლისო კაბა ჩაუცვამს... ჰო, როგორ ამბობენ ცი-
სარტყელაზე პოეტები? ცას მ-წისათვის სურათი გადაუღიაო? ჰო, ასე...
ჰო, მართლაც ლამაზია ცისარტყელა, აწი კი მზიანი დღეები დაივანებს...

მარიონა ზარასოვა

„ქარს გავატანე...“

მან ფული მართლაც ქარს გაატანა
და ფული გაჰყვა ფოთლის ნიაღვრას—
შემოდგომაზე დაცვნილ ფოთლებს
და ბაღის კართან მიწყდა შრიალი.
იგი უცქერდა გაოცებული,
ფული ქარს ცაში რატომ არ აჰყვა,
ისე, ვით მისი ფერადი ბუშტი,
და ბაღის კართან ფოთლების მსგავსად
რად შეიყუთა.
დილით კი დედა ბიჭს შეეკითხა:
— ყულაბის ფული რაში დახარჯე?
— არ დამიხარჯავს, — მიუგო ბიჭმა, —
ქარს გავატანე.

* * *

„ზამთარი ახლაც ჩვეულებრივ მეგობრებს მომგვრის.
კატორღულ შრომას, ავბედობას შფოთით შეფერილს.
და გაცივდება ისევ გული — წითელი მორგვი,
ვით გარდაცვლილი მზე არქტიკის სალხინებელში“.

ზ. ზოდლერი, „შემოდგომის სიმღერა“.

ვზივარ ცარიელ დიდ სახლში ისევ,
ბუხრის ღულღუნი ხალისს მიმატებს
და მეხვევიან სიტყვები ისე,
როგორც ფარვანის გუნდი სინათლეს.
და ვიჭერ სიტყვებს და ვაცმევ ძაფზე.

როგორც ბავშვები აცმევენ კენკრას,
რომ ქარვისფერი სასმელით სავსე
სიამის თასი ზამთარშიც შედგას.

ალარაფრად აღარ ვაგდებ,

ზრუნვას, სადარდებელს,

როიალზე რომ ვუკრავდე! —

კარგი ხმა აქვს ბებერს.

მაგრამ ბუხარს რომ ჩავცქერი,

ნეტარება მავსებს —

შეშა იწვის, შეშა მღერის

კლავიშების ხმაზე.

როცა ტყე იწვის, სიმღერით იწვის,

რადგან სიცოცხლე არ დააცალეს:

დაბალი ბანით ბუბუნებს ფიჭვი,

არყის ხის ტოტი ცეცხლში ტყარცალებს..

მაშ, შემოდგომავე, ფერთა ლალადით

ნაღვლიან მიწას გადაეფრქვიე!

ნეტავ ქარბუქში სიზმრად ვნახავდე

ამ სიჩუმეს და შეშის რეკიემს!

* * *

მე გავიზარდე მეგობრის ხელით,

ჩითის კაბით და ჩიორას ყელით.

მე გავიზარდე მეგობრის ხელით

და ჩავუარე მეგობარს გვერდით.

მეგობარი კი ქარს ეზრახოდა

და მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა

მის გულს უთქმელსა და მოუხეშავს —

ცხოვრებას როგორ გაუმკლავდება

ჩემი უღონო და სუსტი ხელი,

ჩემი უმწეო ჩიორას ყელი...

მეგობრობაა კაცს რომ ამაღლებს.

თარგმნა ბიორგი სალუქვაძემ.



ივანე ჯავახიშვილი

ზ ლ უ რ ბ ლ ი

„ზღუბლი“ — ლექსი პროზად ი. ს. ტურგენევისა დაწერა 1878 წელს და მიუძღვნა გამოჩენილ რუს რევოლუციონერს სოფიო პეროვსკაიას.

პეროვსკაია იყო პეტერბურგის გუბერნატორის ქალიშვილი, მაგრამ გადაწყვიტა თავისი სიცოცხლე შეეწირა ხალხის ბედნიერებისათვის და აქტიურად მონაწილეობდა ნაროდნიკულ რევოლუციურ მოძრაობაში. მან მონაწილეობა მიიღო 1881 წლის 1 მარტს ალექსანდრე მეორეზე თავდასხმაში, რისთვისაც ექვთიმოვთან და სხვებთან ერთად ჩამოახრჩეს.

სოფიო პეროვსკაიამ ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად, მაგრამ ეს მსხვერპლი უკვალოდ არ გამქრალა. იცის შთამომავლობამ, „თუ ვის ხსოვნას სცეს პატივი“.

მე ვხედავ ვეებერთელა შენობას.

წინა კედელში ყურთამდე ღიაა ვიწრო კარი; კარს მიღმა პირქუშო წყვილიაღია. მაღალი ზღუბლის წინ დგას ქალიშვილი... რუსი ქალიშვილი.

ყინვით სუნთქავს ის განუჭვრეტელი წყვილიაღი. და გამთოშავ ნაკადთან ერთად გამოდის შენობის სიღრმიდან ზანტი, ყრუ ხმა.

— ო, შენ რა, გსურს გადმოაბიჯო ამ ზღუბლს, იცი თუ არა, რა მოგელის?

— ვიცი, — უპასუხებს ქალიშვილი.

— სიცივე, შიმშილი, სიძულვილი, დაცინვა, ზიზღი, შეურაცხყოფა, ციხე, ავადმყოფობა და თვით სიკვდილი?

— ვიცი.

— სრული განრიდება, მარტოობა?

— ვიცი... მე მზადა ვარ. მე გადავიტან ყველა ტანჯვას, ყველა ღარტყმას.

— არა მარტო მტრებისაგან — არამედ ნათესავებისგანაც, მეგობრუ-
ბისგანაც?

— დიახ... იმათგანაც.

— კარგი. მზადა ხარ შენ მსხვერპლის გასაღებად?

— დიახ.

— უსახელო მსხვერპლის? შენ დაიღუპები — და არავის... არავის
არც კი ეცოდინება, თუ ვის ხსოვნას სცეს პატივი.

— მე არ მჭირდება არც მადლობა, არც შებრალება. მე არ მჭირდება
სახელი.

— ხარ თუ არა მზად დანაშაულისათვის?

ქალიშვილმა თავი დახარა...

— დანაშაულისთვისაც მზადა ვარ.

ხმამ დააყოვნა შეკითხვების განახლება.

— იცი თუ არა შენ, — დაილაპარაკა მან ბოლოს, — რომ შეიძლება
დაგეკარგოს რწმენა იმისა, რაც ახლა გჯერა. შეიძლება მიხვდე, რომ მოტ-
ყუვდი და ამოდ დაღუპე შენი ახალგაზრდა სიცოცხლე?

— ვიცი ესეც. და მაინც მინდა შემოვიდე.

— შემოდი!

ქალიშვილმა გადააბიჯა ზღურბლს — და მძიმე ფარდა დაეშვა
მის უკან.

— სულელი! — ღრჭენით მიაძახა ვილცამ.

— წმიდანი! — გაისმა საიდანლაც პასუხად.

თარგმანი ლილი ჩიქოვანისა.



შოთა ჟიჩიძე

ოქტომბრის იდეებით შთაბოძებული

დიდმა ოქტომბერმა ძირეული გარდატეხა მოახდინა მილიონობით მშრომელის ბედში. ეს გარდატეხა შეეხო ცხოვრების არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ სფეროსაც. წინათ დაბეჩავებული, კულტურულად ჩამორჩენილი, ხშირად წერა-კითხვის უცოდინარი მუშისათუ გლეხის წინაშე წინსვლისა და სულიერი დაწინაურების ფართო პერსპექტივები დაისახა და ისინიც ხარბად დაეწაფნენ ცოდნას, განათლებას, ისწავლეს წერა-კითხვა და ბევრმა წიგნთან ერთად ხელი მოჰკიდა კალმსაც, რათა თვითონ გამხდარიყო ახალი და უჩვეულო წიგნის ავტორი.

აი ჩემს წინ დევს წიგნი „ფუხარას სიტყვა“. იგი შეუდგენია და 1928 წელს გამოუცია ხასან კომახიძეს. ახლა, რა თქმა უნდა, ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, სულ რამდენიმე ეგზემპლარი თუ გადაურჩა დროთა ქარტახოს და ბევრი, ალბათ, არც მას იცნობს და არც მის ავტორ-შემდგენელს. მერედა, რა ინტერესით იკითხება იგი დღესაც კი, გამოცემიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ! თამამად შეიძლება ითქვას: „ფუხარას სიტყვა“ ხელმეორედ რომ დაიბეჭდოს, მას ბევრად მეტი მკითხველი ეყოლება, ვიდრე თავის დროზე ჰყავდა.

„ფუხარას სიტყვა“ თავისებური წიგნია, უფრო კი კრებული. რას არ ნახავთ მასში! — მაშინდელი ხელმძღვანელი მუშაკების—აჭარის ასსრ ცაკის თავმჯდომარის მ. სურმანიძის, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მ. გოგიბერიძის ბიოგრაფიებს, თვით ხ. კომახიძის ავტობიოგრაფიას, ლექსებს, პატარ-პატარა მოთხრობა-მოგონებებს, ხალხურ თქმულება-გადმოცემებს, ზღაპრებს. ერთი სიტყვით, წიგნის ამოცანა საკმაოდ ვრცელი ყოფილა — გაეცნო მკითხველისათვის ძველი და ახალი აჭარა, ეჩვენებინა ის ძირფესვიანი გარდატეხა, რაც აჭარამ განიცადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამდენად „ფუხარას სიტყვას“ დღეს არა მარტო ისტორიული, ერთგვარი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. რაც შეეხება კრებულში დაბეჭდილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ისინი ხომ ძვირფასი ფოლკლორული მასალაა, რომელიც თავის დროზე საკმაოდ უხვად გამოიყენა აჭარული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ცნობილმა მკვლევარმა, აწ განსვენებულმა მეცნიერმა ჯ. ნოღაიდელმა.

მაგრამ „ფუხარას სიტყვა“ არა მარტო მრავალფეროვანი და საინტერესო შინაარსითაა საგულისხმო. ეგებ მეტი მნი-

ენელობაც კი აქვს იმ ფაქტს, რომ იგი ეკუთვნის თვითონ ფუხარას, ე. ი. ლაჩიბ გლეხს, ბოგანოს, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა საშუალება მიეღო ელემენტარული განათლება და გაუღვიძა სულიერი ცხოვრების, მწერლობის ინტერესი.

„ბავშვობიდანვე დიდი სურვილი მქონდა მესწავლა, მაგრამ იმ დროს სკოლები არსად იყო, არსებობდნენ მხოლოდ მეჩეთებთან მედრესები, სადაც სწავლობდნენ არაბულ ენაზე ლოცვებს. დავრჩი უსწავლოდ“, გულისტკივილით წერს „ავტობიოგრაფიაში“ ხასან კომახიძე და დასძენს: „წერა-კითხვის შესწავლის სურვილი მაინც დიდი დარჩა ჩემში და 43 წლისა შევედი მუშათა ფაქულტეტზე ბათუმში, სადაც რამდენიმედ მაინც გავეცანი ცხოვრების ავ-კარგს“. რა თქმა უნდა, მან ძლიერ კარგად იცოდა, რომ მწერლობა მოითხოვდა ფართო განათლებას. მაგრამ გული სთხოვდა და კალამს მაინც მოჰკიდა ხელი: „მიუხედავად იმისა, რომ უსწავლელი ვარ, — წერდა ხ. კომახიძე იმავე „ავტობიოგრაფიაში“, — მაინც დამაინტერესა მწერლობამ და სურვილი დამებადა შეძლებისდაგვარად ამეწერა აჭარის ცხოვრება და მით მიმეცა მცირეოდენი მასალა ახალ-თაობისათვის თავისი ქვეყნის შესასწავლად“.

აი ეს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა ხასან (ხარიტონ) კომახიძეს, როცა მან კალამს მოჰკიდა ხელი და ჩვეულებრივი შრომითი საქმიანობის პარალელურად შეუდგა მშობლიური ხალხის სამსახურს მხატვრული სიტყვის საშუალებითაც. იგი გახეთ „ფუხარაში“, სხვა ბევრდნობით ორგანოებში, ცალკეულ კრებულებში ხშირად ბეჭდვდა თავის ლექსებს, პატარ-პატარა მოთხრობებს, კორესპონდენციებს და ოცინი წლების აჭარის ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. რა ვუყოთ, თუ მისი მხატვრული სიტყვა მოისუსტებდა. ვერ იდგა მაღალი ხელოვნების დონეზე. სამაგიეროდ, იგი მცირემოდნე გლეხისათვის ადვილად მისაწვდომი იყო. „წინასიტყ-

ვაობაში“, რომელიც დართული ჰქონდა ხ. კომახიძის „ფუხარას სიტყვას“, ცნობილი პარტიული მოღვაწე ერმილე ბელია ამის თაობაზე წერდა: „თავისებურია ხასან კომახიძის წიგნი როგორც შინაარსით, ისე თქმით. მაგრამ სასიამოვნო და საინტერესოა ის სწორედ ასეთი ფერადობით, რადგან მასში ბევრად მეტია ფუხარული სიზაბატე და მხურვალეობა. ვინემ დიდება და ხელოვანი მგოსნია თერუზოვან სიტყვებში. აჭარისტანის ფუხარა მუშა და გლეხი, თუ მოზარდი თაობა გაცილებით ღრმად შეიგრძნობს ხასან კომახიძის თქმასა და ნათქვამს. ვინემ სხვა ვინემ, თუ ვინდ „დიდი მწერალი“. ამიტომ არის, რომ მთელი ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა ეკუთვნის ხასან კომახიძეს“.

დღეს ასეთი მსჯელობა შეიძლება გადაჭარბებული გვეჩვენოს, ბოლომდე არ გავიზიაროთ იგი, მაგრამ იმ დროს მას ჰქონდა საფუძველიც და გამართლებაც. მაშინ მთავარი იყო მასების აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით და მცირემოდნე გლეხია გულს, ცხადია, უფრო ადვილად მისწვდებოდა თვით გლეხისავე ნათქვამი. თუნდაც მხატვრულად არასრულყოფილი, მაგრამ სადა და გულმართალი პიტყვა. ამ მხრივ ჰქონდა ხასან კომახიძის შემოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა და ამიტომ ეკუთვნოდა მას „მთელი ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა“.

რა თქმა უნდა, ხასან კომახიძე თვითონ მშვენიერად გრძნობდა საკუთარი მხატვრული სიტყვის სისუსტეს და ბოდიშსაც კი უხდიდა მკითხველს, რა ვქნა. უსწავლელმა მეტი ვერ შეეძლო. „უყვეთესი დამეწერა ჩემთვის დარჩა ცოტა ძნელი, მე მგონია მამატიებთ, რადგანაც ვარ უსწავლელი“, გულწრფელად აღიარებდა იგი ერთ-ერთ ლექსში. მაგრამ აქ მართო უსწავლელობა როდი იყო ბრალში. ახალი შინაარსი ახალ ფორმას, გამოსახვის ახალ ხერხებს მოითხოვდა და ოცინი წლების პროლეტარული მწერლობა დაჟინებით ეძებდა მათ, თუმცა არც თუ ისე დიდი წარმატებით. ამ



მხრივ დამახასიათებელია ბათუმელ პრო-
ლეტარულ მწერალთა კრებულის „სიტყ-
ვა ტრიბუნიდან“ (1928 წ.) სარედაქციო
კოლეგიის განცხადება: „ახალ ლიტერა-
ტურას, რომელიც პროლეტარული
მწერლობის სახელწოდებით შედის
პოეზიის მალა ტაძარში, სავსე-
ობით ჯერ კიდევ არა აქვს დაურეგული-
ფორმალური ხერხები. ამ ხაზით არის
მუშაობა და დამარცხებები“. თუ რას
ინიშნავდა ეს პრაქტიკულად, კარგად ჩანს
იმვე კოლეგიის აღიარებიდან: „პროლე-
ტარული მწერლობის შემოქმედება მკი-
თხველთა ბაზარზე გამოდის ისე, რომ
მას სჭირდება ნაჯახისა და წალდის დახ-
მარებით აგება და გათლა“. თუ ასეთი
იყო მათთვის მდგომარეობა, ხასან კო-
მახიძე, ცხადია, რაიმე განსაკუთრებულ
საყვედურს არ იმსახურებდა, პირიქით.
რამდენადაც იგი არ ყოფილა პროფესი-
ონალი ლიტერატორი, მას ზევებზე ნაკ-
ლებიც კი მოეთხოვებოდა.

ხასან კომახიძის პოეზიის ძირითადი
თემა იყო განახლებული აჭარა, რომელ-
საც იგი მთელი არსებით შეხაროდა და
შეტრფოდა. ლექსში „ახალი აჭარისტა-
ნი“, რომელიც 1928 წელს დაიბეჭდა კრე-
ბულში „სიტყვა ტრიბუნიდან“, იგი აღ-
ტაცებით წერდა: „დღეს ცხოვრება შეი-
ცვალა, იფურჩქნება არე-მარე, ძველ-
ბურად აღარ ვშეშობთ, გამოფხიზლდა
ჩვენი მხარე“. მას ახარებდა ყოველი ახა-
ლი წინგადადგმული ნაბიჯი სოციალიზმის
გზაზე და, თითქმის სავსებით უნებლიეთ,
მუდამ ერთმანეთს უპირისპირებდა ახალ-
სა და ძველს, ამასთან ხაზს უსვამდა
ახლია განუზომელ უპირატესობას.
ლექსში „ოსმანის სიტყვა“ ხ. კომახიძე
მრავალ წამებაგამოვილ გლეხს ათქმე-
ვინებდა: „დღეს ვერვინ ვეღარ მაწვა-
ლებს, ცხოვრება გამოცვლილია, შავი ძა-
ლები არ არის, დროი დამდგარა ტყბი-
ლია“. ასეთი პირდაპირი კონტრასტები
ფრიად დამახასიათებელი იყო ოციანი
წლების ქართული პოეზიისათვის და ხ.
კომახიძეც ხშირად იყენებდა მათ ახლის

დასამკვიდრებლად თუ შესაქებად. ენა-
დიდი ადგილი ეკავა ხ. კომახიძეს პო-
ეზიაში მორალურ-დიდაქტიკურ თემებ-
საც. გლეხი პოეტი ცდილობდა მკითხვე-
ლები აღეზარდა სოციალიზმის საქმის
ერთგულ პატიოტებად, ჩაენერგა მა-
თთვის მაღალი მორალური თვისებები,
პუმანისტური სულისკვეთება, ბოროტზე
კეთილის გარდუილი გამარჯვების რწმე-
ნა. განსაკუთრებით ხშირად წერდა იგი
სწავლის, განათლების აუცილებლობაზე
და ახალგაზრდობას მოუწოდებდა ღრმად
დაუფლებოდა მეცნიერებას. მარტო
„ფუხარას სიტყვაში“ ხ. კომახიძეს ხუთი
ლექსიდან სამი მიუძღვნია ამ თემისათ-
ვის („მოწაფის სიმღერა“, „ბეჯით მოწა-
ფეს“, „ზარმაცი მოწაფე“) და სხვა ლექ-
სებშიც ხშირად ხაზს უსვამს სწავლის სი-
კეთეს. „ვინც რომ ისწავლა, მან იცის
ცხოვრების სწორი კვალია“, ამბობს იგი
ერთ-ერთ ლექსში და კარგად სწავლა
ახალგაზრდის დიდ ღირსებად, მთელი
ერის სიხარულად მიაჩნდა: „შენი სწავ-
ლით გაიხარებს დედა, მამა, შენი მხარე“.
სწავლის ეს დაუცხრომელი ქადაგება,
რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად განა-
პირობა თვით პოეტის ბიოგრაფიამ. ხ.
კომახიძემ ხომ თავის თავზე გამოსცადა
უსწავლელობის სიმძიმე და სურდა ყვე-
ლას ესწავლა, ყველა სწავლული ყოფი-
ლიყო. „ავტობიოგრაფიაში“ იგი საგან-
გებოდ აღნიშნავდა საბჭოთა ხელისუ-
ფლების დიდ ზრუნვას ხალხის განათლე-
ბისათვის და ასკვნიდა: „დასაფასებელია
ყოველივე ეს და დასაფასებელია იმ სახ-
ით, რომ თანამედროვე მოსწავლე ახალგა-
ზრდობამ არ უნდა დაიშუროს ძალა და
ენერგია სწავლის შესაძენად და შემდეგ
ეს სწავლა გამოიყენოს თავისი ქვეყნის
კულტურულად და ეკონომიურად ასაღო-
რძინებლად“. როგორც ვხედავთ, ხ. კო-
მახიძის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკა-
რავს მნიშვნელობა.

ხ. კომახიძეს აქვს სახუმარო-იუმორი-
სტული ლექსებიც, რომელთაგან განსა-
კუთრებით საყურადღებოა „ლობის
პასუხი“. იგი დაწერილია ხალხური „ლო-

ბიოს ლექსის“ პასუხად და იმდენად არის საინტერესო, რამდენადც შესანიშნავად ასახავს რევოლუციამდელი სოფლის ყოფას, როცა ლობიო გლეხია თითქმის ერთადერთი შექამანდი იყო. ტყუილად კი არ მიმართავდა ლობიოს ხალხური მთქმელი, „ჩემო გამზრდელიო“. თუმცა შემდეგ უსაყვედურებდა, გამბერე, ცუდად გამხადე და სახლში ვეღარ ვჩერდებიო. აი ამ საყვედურის გამო დაუწერია ხ. კომახიძეს „ლობიოს პასუხი“. რომელშიც ლობიოს იცავს კაცის უმაღურობისაგან. „მშვენიერად იქნებოდი, არ გეჭამე მეტისმეტით“, თავს იმართლებს ლობიო და დანცინის კაცს — ჩემი რა ბოროლია, თუ სხვა შექამანდი არ მოგეძევაბა: „მართალს გეტყვი. ნუ ტრახახობ, გენატრება ტყემლის წვენი, შეძლება და მოხერხება, ყველაფერი ვიცი შენი“. თუ ასე არ არის, განაგრძობს ლობიო, მე ხომ თავს არ გაძალებ, რაც გნებავს. ის მიირთვით: „თუ არ ვარგვარ. დამეთხოვე. გიცხონდება შენი მამა“. ლობიოს ამ პასუხში, როგორც ვხედავთ, მშვენიერად ჩანს გლეხობის ყოფა და გაჭირვება. რასაც პოეტი ჭეშმარიტი იუმორის გრძნობით გადმოგვცემს.

ფორმით ხ. კომახიძის ლექსები ძლიერ ენათესავება ხალხურს. შექთხევით არ ყოფილა, რომ ერთ ლექსში („მემდეგ გოგბერძენს“) იგი საგანგებოდ აახელებს ხალხურ საყრავებს — ქამანჩასა და სტივრს, როგორც ყველაზე საყვარელ და ნაცნობ მუსიკალურ ინსტრუმენტებს — „და ამისთვის მეც მოვმართე ქამანჩა და გულის სტივირიო“. მართლაც, მისი თითქმის ყველა ლექსი დაწერილია ხალხური შაირით (ზოგჯერ გატეხილი ტაემებით, რვა მარცვლიანი ლექსის სახით), ხოლო ლექსში „მემდეგ გოგბერძენს“ აშკარაა მესტიური პოეზიის, კერძოდ, „არსენას ლექსის“ ინტონაცია:

ნიკოლოზი ჩამოაგდეს,

ციხის კარი გაუღესა,

„მაღლი გამჩენს“, დამიჯახა.

„რაც მინდოდა, ასრულდესა“.

უეჭველია, ხალხურ პოეზიასთან ასე-

თი მკიდრო კავშირის გამო იყო, რომ ხასან კომახიძის ლექსები ადვილად იკვლევდნენ გზას გლეხის გულისაკენ, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, მაინც იმ იდეებს ჰქონდა, რომლებსაც იგი ქადაგებდა თავის ლექსებში. მარტივი ფორმა, აზრის სიკხადე და პირდაპირობა მხოლოდ ეხმარებოდა მაშინდელ გლეხ მკითხველს იოლად აღეჭვა ლექსში გადმოცემული იდეა, რომელსაც თვითონც არანაყოფი გატაცებით ეტრფოდა.

ინტერესით იკითხება აგრეთვე ხ. კომახიძის პროზაული ნაწერები. აქ იგი სიტყვის უკეთესი ოსტატი ჩანს, ვიდრე პოეზიაში. მწერალს უნარი შესწევს ამბავი გადმოგვცეს „გლეხური“ სისადავითა და უშუალობით. ემოციურად და ნაამბობში ოსტატურად ჩააქოვოს ესა თუ ის იდეა. ჩანახატში „ჩემი მოგონებანი“ იგი თავისი ბავშვობის ერთ ასეთ ეპიზოდს გვაცნობს: ერთხელ, კოკისპირული წვიმის დროს დაუტყვია დედა შაშვი ბარტყებიანად. უფიქრია, შაშვს შევკამ. ბარტყებს კი დავზრდიო: „დედა არ დამეთანხმა, — გვიამბობს ხ. კომახიძე. — შეწუხდა, ტირილიც კი დაიწყო, მითხრა: „რატომ დამიღუპე, შვილო, ოჯახი, მაგ ბარტყების ცოდვა ხომ ყველა შვილებს დამიბოცავსო“. აგრეთვე მითხრა, რომ ჩიტს ბარტყს ვინც კი ხელს მოკიდებს, მევეჭა გაუჩნდებაო. დედამ წამაყვანა ბარტყებიცა და დედა შაშვიც და გამაწვებია მინდორზე ჩიტის ბუდესთან ახლოს. ბარტყებმა ხტომა იწყეს. დედა შაშვი მიფართქალდა ბარტყებთან და სიხარული-საგან რა ექნა არ იცოდა. საიდანაც იქვე გაჩნდა მამალი შაშვიც და შეექმნათ სიხარულია ყრიაშული. დედამ გამაფრთხილა შემდეგისათვის ჩიტის ბუდისათვის ხელი არ მებლო. თორემ თვალები დამეესებოდა“.

ამ ეპიზოდში, ერთი შეხედვით მთავარია ბარტყის ამბავი, ნამდვილად კი იგი მხოლოდ ფონია და მნიშვნელობა აქვს არა მას, არამედ ნაამბობის ქვეტექსტს. აბა დაუცვირდით, როგორ შეუმჩნეველად

იკვეთება ჩვენს თვალწინ ქართველი დედის შეპანიშნავი მხატვრული სახე, ზუსტად იე, როგორც ფირის გამძღვანების ფოტოქაღალდზე სურათი. შემდეგ, რა გასაოცარი გამჭრიახობით უნერგავს დედა სიკეთის სიყვარულს თავის ვაჟს და რა წმინდა „გლახური“ მოხერხებით აშინებს მას — თუ არ გინდა მეჭექი გაგიჩნდეს ან დაბრმავდე, ბარტყს და ჩიტის ბუდეს ზელს ნუ ახლებო. ეს „ღაშინება“ იმ აზრსაც შეიცავს, რომ ბოროტება დაუსჯელი არ დაჩეხება, ცოდვისათვის სამაგიერო მოგვზღვრებაო. აი რა ხალასი ბუნებრივი ნიჭით იყო დაკლდობილი ხასან კომახიძე და, მას რომ თავის დროზე მისცემოდა გასაქანი, უეჭველია, გაცილებით ღრმა კვალს დატოვებდა ლიტერატურაში.

მაგრამ ის მცირედიც, რაც ხასან კომახიძემ დაგვითხრო, დასაფასებელი და პატივსაცემია. რაც გააყვით, მან ხომ სევტებით უანგაროდ და წრფელი გულით მიუძღვნა მშობლიურ ხალხს, ხალხმა კი თვითონ თქვა, კეთილი გულით მცირედიც შეიწირებისო. მან პატიოსნად აღასრულა თავისი ვალი, გასწია რა წინაპრობა ჩვენს ლიტერატურაში. „კომახიძეები, — წერდა „ფუხარას სიტყვის“ წინასიტყვაობაში ერმილე ბედი, მხედველობაში ჰყავდა რა ხასან კომახიძის მსგავსი ლიტერატორები, — ეს ის წინაპრობაა მხატვრული ლიტერატურის სარბიელზე, რომლებმაც მიყრუებული და სხეებისათვის უცნობი ბილიკებით უნდა შეიტანონ აჭარისტანის მივარდნილ კუთხეებში ცოცხალი და ბეჭდვითი სიტყვა განახლებულ და გამოცოცხლებულ აჭარისტანზე... აჭარისტანი ჯერჯერობით წავაგავს იმ თვალგადაუწყდენ სათხარ ყანას,

რომელიც მოელის ერთგულ მუშახელს... წინ დიდი გზა გვიდევს... ერთგულად შევუტოთ ამ დიდს და სანუგეარ საქმიანობას, შევხაროდეთ კულტურულ ფრონტზე მონაწილე ყანას, რომ დღევანდელი კომახიძეები, დღესდღეობით მხატვრული სიტყვის სუსტი შვილები შეიცვალონ უფრო წელმაგარი ახალთაობით, რათა მათი ნაშრომი თვითონ ლაპარაკობდეს თავის თავზე და განახლებულ აჭარისტანზე.“

ასეც მოხდა. უკვე ოცდაათიან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან მ. ვარშანიძე, ნ. გვარიშვილი და სხვები, რომლებსაც მოჰყვა მწერალთა მთელი პლეადა, დღეს რომ ჩვენი ლიტერატურის ესოდენ თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს. ისინიც ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ, ხალხის ინტერესებს გამოხატავენ, ოღონდ საბჭოთა გარემოში აღიზარდნენ და ფართო განათლება მიიღეს. ამიტომ მწერალთა ამ თაობის მხატვრული სიტყვა, რა თქმა უნდა, უფრო სრულყოფილია და ბევრ მათგანს უკვე მთელი საქართველო იცნობს.

ეს წარმატება ყველას გვახარებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მწერალთა ახლანდელი თაობის ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლა მოამზადეს ხასან კომახიძემ და „თვალგადაუწყდენი სათხარი ყანის“ სხვა პირველმა მთოხნელებმა. ეს მათი ისტორიული დამსახურებაა და შთამომავალთა ვალია გავიხსენოთ, პატივი ვცეთ მათ ამ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა გაცხოველებით ემზავება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისათვის.



პავლე ჯორჯენაძე

რომანის კრიზისის პრობლემა და მოღაენისგუდი მითი

რომანის პრობლემა თანამედროვე მწერლობაში ლიტერატურული ბრძოლის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად იქცა. ორმოცდაათიანი წლებიდან მოვიდებოდა, ეწყობა მისდამი მიძღვნილი ცალკეული სიმპოზიუმები, ფორუმები, ქვეყნდება საერთაშორისო თუ საგაზეთო სტატიები, გამოდის სპეციალური კრებულები და ა. შ. ეს ცხარე დისკუსიები გამოიწვია მტკიცებამ, თითქმის ე. წ. კლასიკური რომანი კრიზისის განიცდიდეს, კედებოდეს და ადგილს უთმობდეს ახალ რომანს. ნამდვილად კი, როგორც სამართლიანად თქვა ცნობილმა იტალიელმა მწერალმა ალბერტო მორავიამ ინტერვიუში ჟურნალ „ნოვი არგომენტისადმი“, ლაპარაკი უნდა იყოს არა რომანის, როგორც ჟანრის, კრიზისზე, არამედ თანამედროვე სინამდვილისადმი დამოკიდებულების კრიზისზე. მართლაც, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, მკვეთრად შეაქცია ზურგი სინამდვილისადმი რეალისტურ დამოკიდებულებას, უკვე იწყება ბურჟუაზიული

რომანის კრიზისის მოდერნისტული რომანის სახით, რადგანაც რომანს გამოეცალა მისი საფუძველი—ასახვია რეალისტური მეთოდი. ჩვენს დროში ეს კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა და გაძლიერდა რეალისტურ რომანში სინამდვილე დაუშახინჯებელი, რეალური მასშტაბით, რეალური პროპორციებით აისახება, რაც, რა თქმა უნდა, არ გამოორიცხავს განზოგადებას, პირიქით, სწორედ მხატვრული განზოგადების, ტიპიზირების საშუალებით ხდება სინამდვილის კანონზომიერებათა ესთეტიკური აღქმა. რეალისტური რომანის ერთ-ერთი მოთხოვნილებაა ძალზე გამახვილებული ყურადღება სოციალური მოვლენებისადმი, ადამიანის პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლა, დრომოკმეული სოციალური ინსტიტუტების მწვავე კრიტიკა, საზოგადოების მზარდი, პროგრესული მოვლენებისადმი პოზიტიური მიდგომა. რომანს თავიდანვე ახასიათებს ისტორიზმი, სინამდვილის, ეპოქის კონკრეტული მონაკვეთის ასახვა. მისი ყურადღების ცენტრში იყო და არის ადამიანი, ინდივიდი, მაგრამ საზოგადოების ცხოვრებას-

თან მჭიდრო კავშირში. პიროვნების, ინ-
დივიდუალური ურთიერთობით. სწორედ
ასეთი გმირები არიან „ტიპური ხასია-
თები ტიპურ გარემოებაში“ (ენგელსი)
და რეალიზმის სწორედ ამ მტკიცე სა-
ფუძვლების წინააღმდეგ ილუზორებენ
თანამედროვე მოდერნისტები. ისინი
ცდილობენ გადასინჯონ რეალიზმის ტრა-
დიციული გაგება, გამოიმუშაონ „ახალი
რეალიზმის“, „თანამედროვე რეალიზ-
მის“ ცნება, რომელიც თავისი შინაარსი-
თა და ფორმით, თითქოს შეზღუდული
არ იქნება მოჩვენებითი, არაარსებითი
გარემომცველი სამყაროს ასახვით. მათი
აზრით, რეალიზმი იქცა ქაოტური, აბსუ-
რდული, შეუცნობადი „რეალობის სიმ-
ბოლოდ“, რომელსაც არ შეუძლია მოგ-
ვეცს გარემომცველი სამყაროს მიღმა
არსებული „ზერეალობის“ ქვეშაირი
სურათი. ქვეშაირება, „ზერეალობა“
უნდა ვეძიოთ ადამიანის ქვეცნობიერე-
ბის სფეროში. „ახალი რეალიზმის“ მე-
ტად განყენებულმა ცნებამ კუროზამ-
დეც კი მიგვიყვანა. 1963 წელს მწერა-
ლთა ლენინგრადის ფორუმზე დასავ-
ლეთგერმანელი პოეტი და კრიტიკოსი
ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი თავგამოდე-
ბით ამტკიცებდა: თუ პრუსტი, ჯოისი და
კაფკა რეალისტები არ არიან, მაშინ
თვით სინამდვილე არ ყოფილა რეალის-
ტური.

რეალიზმთან ერთად მოდერნისტულ
რომანში ქრება ყველაზე მთავარი—ადა-
მიანი. მუდამ მამიებელი, მოაზროვნე,
მგრძნობიარე, შემოქმედი ადამიანი, მას-
ში პერსონაჟები, მოქმედი პირები უცე-
ლელ, სტატიკურ მდგომარეობაში არიან
ნაჩვენები. მოდერნისტულ რომანში
იძლევა დიალექტიკური კავშირი ადა-
მიანის პიროვნებასა და ისტორიულ სი-
ნამდვილეს შორის. მასში უკვე გვყავს
არა სისხლსავსე ცოცხალი ადამიანები,
ინდივიდები, არამედ საქმე გვაქვს სიმ-
ბოლოებთან, მოდერნისტი მწერლის
ავადმყოფური ფანტაზიით შექმნილ
ფანტომებთან. ყოველი პერსონაჟი გა-
მოხატავს რაიმე ერთ გრძნობას, ერთ

ენებას. ერთ ნიშან-თვისებას, რაიმე
სიმბოლოს, ფილოსოფიურ ცნებასაც კი.
მათ აკლიათ შინაგანი ზრდის, ცვლილე-
ბის უნარი. მაშასადამე, მოდერნისტული
რომანი ჰყარავს რეალისტური რომა-
ნის ერთ-ერთ ძირითად ნიშან-თვისებას:
სახე-ხასიათის ჩვენებას გაშლა-განვითა-
რებაში. „ახალი რომანის“ ერთ-ერთი
თეორეტიკოსი ნ. საროტი აღნიშნავს,
რომ ბერკსონის ინტუიტიზმა ფილო-
სოფიამ და ფროიდის ფსიქონალიზმა
რომანში ძირი გამოუთხარა ხასიათს,
რომ რომანის ევოლუცია „დოსტოევსკი-
დან კაფკამდე“—ეს არის სახე-ხასიათის
გაქრობა (ექვიანობის ერა, პარიზი, 1956
წ., ფრანგ. ენაზე). მას მიაჩნია, რომ პირ-
ველად სწორედ ჯოისმა მოჰყიდა ხელი
სახე-ხასიათის დაშლას რომანში, რამდე-
ნადაც მთელი ყურადღება გადაიტანა
გმირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე
და პერსონაჟი გამოიყენა ამოსავალ
წერტილად, რათა გაეშალა თავისი „ცნო-
ბიერების ნაკადის“ მეთოდი. რომანში
სახე-ხასიათის ასეთი დაშლა საროტს
დიდ მოვლენად მიაჩნია და ჯოისსა და
პრუსტს უსაყვედურებს, ბოლომდე ვერ
მიიყვანეს სახე-ხასიათების დაშლის
პროცესიო. მას კარგად ესმის, რომ სახე-
ხასიათის გაქრობა რომანში იწვევს რე-
ალისტური რომანის სხვა ძირითად ნი-
შან-თვისებათა — ინტრიგის, სიუჟეტის,
ეპიკური თხრობის გაქრობასაც. იგი მი-
დის დასკვნამდე, რომ კლასიკური რო-
მანის ესთეტიკა მოძველდა, რომ იგი
უკვე აღარაფერ ახალს არ იძლევა, ხა-
სიათებსა და ინტრიგებს უსასრულოდ
კი შეუძლია ვარირება ისე, რომ დღეს
არაფერი არ მოგვეცეს ახალი (იქვე, გვ. 63).

მოდერნისტულ რომანში მთავარი ყუ-
რადღება ექცევა ადამიანის შინაგან სიმ-
ყაროს, სუბიექტური აზროვნების პრო-
ცესებს, გმირების თვითანალიზს, გარე-
მომცველი მატერიალური სამყარო კი
წარმოგვიდგება ინდივიდის სულიერი
ცნობრების უზრალო ჩარჩოდ. აქი მოდე-
რნისტთა აზრით, მატერიალურ რეალო-
ბას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს!



თანამედროვე მოდერნისტები უარყოფენ რეალისტური რომანისათვის დამახასიათებელ ეპიკურ თხრობასაც. ეს თავისთავად მოასწავებს ავტორი-მთხრობელის გაჭრობას რომანში, ავტორისეული დისტანციის გაუქმებას. ახალი რომანის მამამთავარი აღენ რომ-გრიე საერთოდ უარყოფს ეპიკურ მთხრობელს. „ყოვლისმოდენე“ ავტორს, რომელიც, მისი აზრით, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა თვით ღმერთი („რევიუ დე პარი“, 1961, № 9, გვ. 119). მოდერნისტულ რომანში თხრობას ტონს აძლევს არა ავტორი, არამედ რომელიმე პერსონაჟი, ან რამდენიმე პერსონაჟი, რომელთაგან თვითეული სინამდვილეს ხედვას საკუთარი სუბიექტური პრიზმით, ასე რომ, ზოგიერთ მოდერნისტულ რომანში (სარტრი, ბოვუარი) ერთი და იგივე ამბავი, ერთი და იგივე მოვლენა თუ ფაქტი სულ სხვადასხვა გაშუქებას პოულობს და სულ სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. სინამდვილისადმი ასეთი უკიდურესად სუბიექტივისტური დამოკიდებულების წყალობით მოდერნისტულ რომანში ცხოვრების ესა თუ ის სურათი თვითნებურად დეფორმირებულია. მოდერნისტების აზრით, სინამდვილე ზომ შეუცნობადია, ისეთია, როგორადც ეჩვენება ყოველ ცალკე აღებულ ინდივიდს. ე. ი. სინამდვილე, რეალობა იმდენაირია, რამდენი ინდივიდიცაა. რა თქმა უნდა, სინამდვილისადმი დამოკიდებულების ერთიანი კონცეფციის რღვევამ რომანის ქანობრივი ფორმის რღვევაც გამოიწვია.

ექსისტენციალისტმა რომანისტებმა (სარტრი, კამიუ, ბოვუარი) თავისებურად დაშალეს რეალისტური რომანის მთავარი ატრიბუტები: ხასიათი და სიუჟეტი. მათ არ აინტერესებთ ადამიანის, პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბება. მისი პრინციპული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რამდენადაც უარყოფენ ადამიანის ყოველგვარ სოციალურ აქტიურობას, ცდილობენ პასიურობის, უსუსურობის გრძნობის დანერგვას და ადამიანის მთელი ენერგიის წარმართვას

საკუთარი თავის კვრეტისაკენ. ექსისტენციალისტები აიხსნება, რომ ექსისტენციალისტებმა გვერდს უვლიან ამბების ჩვეულებრივ თანმიმდევრულ თხრობას, სახე-ხასიათების გაშლა-განვითარებას და რომანის გმირებს ისეთ სიტუაციაში აქცევენ, რამაც უნდა გვიჩვენოს ადამიანის უსუსურობა. მისი განწირულება (სარტრთან — ომი, კამიუსთან — შავი ჭირი და ა. შ.). ყოფიერების ქაოტურობის, უაზრობის, მისი შეუცნობადობის ქადაგება, ადამიანის დაბნეულობის, შიშის, სასოწარკვეთილების ჩვენების სურვილი იწვევს ექსისტენციალისტური რომანის კონსტრუქციის ფრაგმენტულობას, სიუჟეტის რღვევას. ასეთია ქან პოლ სარტრის ტრილოგია „თავისუფლების გზები“ და ალბერ კამიუს რომანი „ეზიპოსი“. ამით თანამედროვე მოდერნისტებმა უკიდურეს დეგრადაციამდე მიიყვანეს რომანის ქანრი, გამოიწვიეს მისი რღვევა, რამაც თავი იჩინა ჯერ კიდევ პრუსტის, ჯოისისა და კაფკას რომანებში.

ობიექტური სინამდვილის ასახვისა და საზოგადოებრივი ადამიანის უარყოფა, სუბიექტური კაპრიზების გაბატონება, თვითნებური ფსიქოანალიზი, ირაციონალური და მისტიკური სახეები. უკიდურესი სიმბოლიზმი და სხვა „ექსპერიმენტულობა“ იწვევს რომანის ქანრას რღვევას და, თუ მოდერნისტულ რომან-არაკს, რომან-მითს მაინც რომანს ვუწოდებთ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დამტვრეულ ლარნაკს შეიძლება ვუწოდოთ ლარნაკი.

თვითონ მოდერნისტები მოითხოვენ რომანის ქანრის შეცვლას მითით, მითისაკენ დაბრუნებას, თუმცა მათ მითი თავისებურად, ახლებურად ესმით. ჯერ კიდევ 1932 წელს თ. ს. ელიოტი სტატიაში „უღიზი, წესრიგი და მითი“ აცხადებდა: „რეალისტურმა რომანმა, რომელიც ასახავს სოციალურად განპირობებულ სინამდვილეს, ამოსწურა თავისი თავი და მხოლოდ მითისადმი მიმართვის გზით, როგორც ამას ჯოისი

აგეთებს, შეიძლება შევიტანოთ წესრიგი თანამედროვე ცხოვრების ქაოსში“ (დ. გ. ჟანტიევა, XX საუკუნის ინგლისური რომანი, 1965 წ., გვ. 62, რუს. ენაზე). მაშასადამე, ელიოტი უარყოფს რომანს, როგორც ჟანრს, რომელიც მოწოდებულია ასახოს სოციალურად განპირობებული სინამდვილე. მისი აზრით, რომანმა, რომელსაც ახასიათებდა ეპიკური თხრობა, უკვე ამოსწურა თავისი თავი და რომ ფლობდრისა და ჰენის ჯეიმსის ნაწარმოებები უკვე რომანის დასასრულს მოასწავებდნენ.

თანამედროვე „მითთა მთხვევლები“. გამოდიან რა ჯოისისა და კაფკას ნაწარმოებებიდან, ამტკიცებენ, რომ მითი არის „წმინდა“ ლიტერატურული ფორმა, არაისტორიული კატეგორია, რომელსაც თითქმის აქვს რაღაც დამოუკიდებელი, უნივერსალური, კონკრეტული დროისადმი დაუქვემდებარებელი მნიშვნელობა. გამოწვეულია რა „ზერეალობის“, „ტოტალობის“, „უნივერსალურობისა“ მანიაკური მისწრაფებით, მოდერნისტული მითი განსაკუთრებით მოსახერხებელია ქაოტური, აბსურდული, ალოგიკური სინამდვილის საჩვენებლად. მითის საშუალებით მოდერნისტები ისწრაფიან „უწესრიგო“, „ქაოტურ“, „უაზრო“ სინამდვილეში შეიტანონ სუბიექტურად განპირობებული „კანონზომიერებანი“. ამრიგად, მოდერნისტული მითი ფაქტიურად მოასწავებს რთულ სოციალურ სინამდვილეში უკიდურესი ინდივიდუალიზმით შეპყრობილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის გარკვეული წრის დაძაბუნებისა და დაბნეულობის გამოხატულებას, იგი ბურჟუაზიული მხატვრული აზროვნების დეგრადაციის გამოვლინებაა.

რა თქმა უნდა, მითი, როგორც მისტიფიცირებული სინამდვილის ასახვა, არ საპიროებს რომანის მწყობრ. შეეჩვეულ სტრუქტურას. მოდერნისტული რომანი-მითის კომპოზიციური ზერხია მონტაჟი, რომელიც ფართო გასაქანს აძლევს მწერლის სუბიექტურ თვითნ-

ბობას. ასეთი რომანი-მითები ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებული, ეფერებიან მანეთზე ალოგიკურად გადახლართულ სტატიკური სურათებისაგან შედგება, რომელთა ნებისმიერი გადაადგილება ნაწარმოების კომპოზიციას არავითარ ზიანს არ აყენებს.

თანამედროვე მოდერნისტული მითის ტიპური ნიმუშია ჯოისის მიმდევრის სემიუელ ბეკეტის რომანი-მითი „მელონი კვდება“ (1951-1953), რომელიც გამოხატავს სინამდვილისადმი უკიდურეს სუბიექტივისტურ-იდეალისტურ დამოკიდებულებას და მის თვითნებურ, მისტიფიცირებულ სურათს ქმნის. ბეკეტის სინამდვილის ფილოსოფია ძალზე მკვეთრადაა გადმოცემული ამ რომანი-მითის მთავარი პერსონაჟის მელონის სიტყვებში. „ყველაფერი, რაზეც მოგიტხრობთ, ხდება მხოლოდ ჩემს თავში, დიახ, დიახ, მაგრამ ხანდახან მეჩვენება კიდევ, რომ მეც ვიღაცის თავში ვიმყოფები, რომ მე მხოლოდ სხვისი ცნობიერების უნებლიე ობიექტი, პალუცინაციური ფანტაზია ვარ, რომელიც ამოტივტივდება ხოლმე სხვის ტვინში. მე ვგრძნობ, რომ ეს რვა, არა ექვსი, დიახ, სწორედ ოთხი სიბრტყე, რომლებიც გარს მარტყია ყოველი მხრიდან, შედგება ერთიანი ძვლოვანი მასისაგან, განა შემოიღია აქედან დაეცა, რომ ჩემი თავი ჩემი თავის ქალაა? არა, არასოდეს!“ (კრებული, რეალიზმის თანამედროვე პრობლემები და მოდერნიზმი, 1965 წ., გვ. 184, რუს. ენაზე).

ეს რომანი-მითი მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტულობას. როგორც უსაზღვრო, უკიდევანო ჟანრის ნაწარმოები, იგი ასახავს „ადამიანს სახედოდ“, „ცხოვრებას საერთოდ“, აცხადებს „ყოველსმომცველობის“, „ტოტალობის“ პრეტენზიას. მასში ბეკეტი იყენებს ფართოდ გავრცელებულ პირველი პირით თხრობის მანერას, მაგრამ მელონის თხრობა უფრო ბოძავა, ვიდრე ამბების დალაგებული გადმოცემა. ამავე დროს ნაწარმოები უაღრესად

ალეგორიულ, სიმბოლურ ხასიათს ატარებს და მოკლებულია კონკრეტულობას. საქმე ისაა, რომ ბეკეტისათვის მელონი კონკრეტული ადამიანი კი არ არის, არამედ საერთოდ ადამიანის ფილოსოფიური ცნებაა. იგი ოდესღაც დაიბადა (როდის და სად, ამას მნიშვნელობა არა აქვს) და როგორც ყოველი ადამიანი, ოდესღაც უნდა მოკვდეს (მნიშვნელობა არა აქვს როდის და რისგან). მელონის ირგვლივ ტრიალებენ ადამიანები, მაგრამ იგი ვერ ხედავს მათ. მხოლოდ ქსიმის მათი. მის ავადმყოფურ, ქსოტურ აზროვნებაში, ბოლოვით მოგონებებში აქა-იქ გაივლებენ რაღაც ფანტომები, მოჩვენებანი — საპო და მაკმენი, მაგრამ როგორც გამოირკვევა, ისინი ადამიანები კი არ ყოფილან, არამედ სიმბოლოები: „საპო განასახიერებს მელონის ახალგაზრდობას, ხოლო მაკმენი — მისი მოწიფულობის წლებს. განსაკუთრებით მისტიფიცირებულია რომანის ფინალი, სადაც უკვე გარდაცვლილი, მკვდარი ადამიანის — მელონის აზრი პერსონიფიცირებულია და დამოუკიდებელ „წმინდა“ არსებობას იღებს. გარდაცვლილი მელონი ხედავს, გულგრილად ადევნებს თვალყურს, თუ როგორ გააქვთ მისი გვამი ბონძური საწოლიდან და როგორ მათორევენ ვიწრო დერეფნებში. ე. ი. მელონის აზრი განაგრძობს სხეულისაგან დამოუკიდებელ არსებობას. აქ უკვე სავესებით ცხადია, რომ ბეკეტის რომან-მითს „მელონი კვდება“ არაფერი საერთო არა აქვს რომანის ეპანთან. ამ რომან-მითის მთელი ესთეტიკური არსი, ბეკეტის შემოქმედებითი პროგრამა გამოხატულია თვით მელონის სიტყვებში. „მართლაც, იმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დაბადებული ვიყავი თუ არა, ვცხოვრობდი თუ არ ვცხოვრობდი, მკვდარი ვარ, თუ ჯერ კიდევ მხოლოდ კვდები. მე განავარძობ ყველაფერი იმის კეთებას, რაც მუდამ მიყვება, თუმცა ამავე დროს არ ვიცი, სახელდობრ, რას ვაკეთებ, რას წარმოვადგენ, სად ვიმყოფები და საერთოდ ვარსებობ თუ არა.“

ასეთია თანამედროვე რომანის განახლების „ნოვატორული“ ცდას, ჩიხიდან მის გამოყენას ხელი მოჰკიდეს ე. წ. ავანგარდისტებმა ანუ „ახალი რომანის“ წარმომადგენლებმაც, რომელთა ესთეტიკურ შეხედულებასა და პრაქტიკაში არაფერი არ არის ავანგარდისტული და მით უმეტეს ნოვატორული. თავისი ფორმალისტური ბიებებით და ლაბორატორიული ცდებით ავანგარდისტები ეყრდნობიან მოდერნისტული რომანის ესთეტიკას, კერძოდ, გარემომცველ წრესა და ადამიანის შეგნებას შორის განხეთქილების პრინციპს. ისევე როგორც სხვა მოდერნისტები, ავანგარდისტებიც მოითხოვენ „მოქმედების გაჭრბას“. „პერსონაჟის სიკვდილს“. 1956-1957 წლებში „ახალი რომანის“ მამამთავრები ალენ რობ-გრეიე და ნათალი საროტი გამოვიდნენ ხმაურიანი მანიფესტებით და განაცხადეს, კლასიკურმა რომანმა მოჰპაშა თავისი დრო. რომ ლაფაიეტმა „კლევის პრინცესას“ და ბალზაის „მამა გორიოს“ ტიპის ნაწარმოებები უკვე მოძველდა. თავის საპროგრამო სტატიაში „მოშავალი რომანის ბედი“ ალენ რობ-გრეიე აღნიშნავს, რომ კლასიკური რომანი უნდა შეცვალოს „ახალმა რომანმა“, რომელშიც მთავარ ადგილს დაიკავებს არა ადამიანი თავისი სოციალური არსებითა და გრძნობებით, არამედ „ნივთები და საგნები“. რამდენადაც, მისი აზრით, გარესამყარო, ნივთთა და საგნთა სამყარო თითქმის უფრო ახლობელი და გასაგებია, უფრო ახლოს დგას ქვეშაობიერებასთან, უარყოფილ უნდა იქნას ტიპიზაცია და ავტორისეული კომენტარები. „ახალ რომანში“ ჭარბად უნდა იყოს საგნის, ნივთის განზომილების, განლაგების აღმნიშვნელი სიტყვები („ნუველ რევიუ ფრანსეზ“, 1956, 1 ივლისი, ფრანგ. ენაზე). რა თქმა უნდა, უსულო, მკვდარ სახეს-საგანთა, ნივთთა სიჭარბე შთანთქავს ადამიანს და „ახალ რომანში“ ადა-

მიანი, როგორც ხასიათი, საერთოდ ქრება. ასე ქმნის რობ-გრიე შოზიზმის ცნებას (ფრანგულად „შოზ“ — ნივთი, საგანი).

რობ-გრიე გადაჭრით უარყოფს აგრეთვე კლასიკური რომანის არქიტექტონიკას, კომპოზიციას. იგი 1961 წელს წერდა: „მე-19 საუკუნის რომანისეული კომპოზიცია, რომელიც თვით ცხოვრება იყო ასი წლის წინათ, ახლა წარმოადგენს მხოლოდ ცარიელ ფორმულას, რომელიც გამოდგება მატრო ყველაზე მოსაწყენი ბარიდებისათვის“ („რევიუ დე პარი“, 1961, № 9, გვ. 115, ფრანგ. ენაზე). ეს ადვილად გასაგებია. რომანში სახე-ხასიათის დაშლას თავისთავად მოჰყვება რომანის ყველა ძირითადი ნიშნის — სიუჟეტის, ეპიკური თხრობის, ისტორიული კონკრეტულობისა და ა. შ. გაქრობა.

მეორე ავანგარდისტი ნათალი საროტი მოითხოვს, რომ „ახალ რომანში“ მთავარი ყურადღება მიექცეს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, „ცნობიერების ნაკადს“ და საბოლოოდ იქნას უარყოფილი სახე-ხასიათი, მრავალრიცხოვანი პერსონაჟი. ინტრიგითა და „ცოცხალი“ პერსონაჟით დატკობა მკითხველს კინოში შეუძლია და რომანში მათი ასახვა რაღა საჭიროაო. მისი აზრით, რომანმა უნდა ასახოს არა სისხლსავსე ცოცხალი ადამიანი, არამედ რაღაც უცნაური „მუყაოს ჯამბაზი“, რომელიც განსულიერებულია მკვეთრი და წინააღმდეგობრივი მოძრაობებით. მკითხველის წინაშე უნდა წარსდგნენ „პირქუში აჩრდილები, მხოლოდ სასოწარკვეთილი ცდა მისწვდეს უსასრულოს, ხელიდან რაღაც გასხლტომადს“ (ლეტრ ფრანსეზ, 1960, 22-28 სექტემბერი). ამიტომაც ნ. საროტი თავის რომანებში არც კი ცდილობს სინამდვილის მნიშვნელოვანი ამბების ასახვას. იგი გვიჩვენებს უბრალო, ტრივიალურ ამბებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უმნიშვნელო მიკროგრძნობებს. იგი აღნიშნავს: „ქარიშხალი წყლიან ქიქში — აი, ჩემი სპეციალობა“ (მ. მ.

კუზნეცოვი, საბჭოთა რომანი, 1963 წ., გვ. 258, რუს. ენაზე).

რომანის „ხსნას“ საროტი პრუსტის ანალიზური მეთოდის გაუმჯობესებაში, საკუთარი თავის ფსიქოლოგიური სიღრმეების შესწავლაში ეძებს. მისი აზრით, რომანში მოქმედების ადგილი უნდა დაიკავოს დიალოგმა, რომელიც დაეხმარება რომანისტს გახსნას პერსონაჟის სულიერი მოძრაობანი, დეტალურად გადმოგვცეს ცნობიერების სიღრმისეული პროცესები აზრის ჩასახვის მომენტიდან თვით მის გამოთქმამდე. როგორც ყველა მოდერნისტი მწერალი, საროტი უგულვებელყოფს ობიექტურ სამყაროს, ყოველ შემთხვევაში, მის შეცნობადობას. იგი აცხადებს, რომ რეალობა „იმალება“ სულის ბნელ კუნთულში და სწორედ ეს რეალობა უნდა ასახოს თანამედროვე რომანისტმა. მწერალთა ლენინგრადის ფორუმზე 1963 წელს საროტი ამბობდა: „მე მიმაჩნია, რომ მწერლისათვის სიტყვას „სინამდვილე“ აქვს ორი მნიშვნელობა... არის ხილვადი სინამდვილე — ის სინამდვილე, რომელშიც იგი მოქმედებს, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები მის ირგვლივ, ის სინამდვილე, რომელიც ჩანს პირველივე შეხედვით და რომელიც შეუძლია დიანახოს ყოველმა ადამიანმა. სწორედ ეს სინამდვილე არ წარმოადგენს რომანის სუბსტანციას. არსებობს რაღაც უხილავი რამ, რომლისკენაც მიისწრაფის ყოველი მწერალი, უხილავი რამ, რომელიც სავსებით არ ჰგავს იმ ხილვად რეალობას, რომელშიც ჩადრმავეებულია იგი (ინოსტრანაია ლიტერატურა, 1963 წ., № 11. გვ. 238).

„ახალი რომანის“ ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს ალენ რობ-გრიეს „გასულ ზაფხულს მარიენბადში“. მასში ასახულია მეტად ჩვეულებრივი, ბანალური ამბავი: შეძლებული უსაქმურები ისვენებენ და დროს ატარებენ მარიენბადის ერთ-ერთ საუკეთესო ციხე-დარბაზში. როგორც ყოველ მოდერნისტულ რომანს, ამ ნაწარმოებსაც აკლია ისტორიული კონკრეტულობა. რომანში



ასახული ამბავი შეიძლება მომხდარიყო XX საუკუნის რომელიც გენბავთ წელს. ადგილიც კი — მარიენბადი, პირობითი. არაკონკრეტულია. ცენტრალური მოქმედი პერსონაჟები იმდენად აბსტრაგირებული არიან, რომ მათ საკუთარი სახელებიც კი არა აქვთ — ესენი არიან ვაჟი და ქალი. კონკრეტულ ხასიათს მხოლოდ ნივთები, საგნები ატარებენ. ადამიანები ნივთების დონემდეა დაყვანილი. რობ-გრეივე ისევე მონოტონურად, მოსაწყვენად ჰყვება ადამიანებზე, როგორც ცალკეულ ნივთებზე. მარიენბადის სასახლის კედლებზე, ჭერზე და ა. შ. მისი აზრით, ადამიანი ხომ „ხის თოჯინაა“, რომელიც ვერასოდეს ვერ გაიგებს ვინ და რა ამოძრავებს მას. გარემომცველი წრე, არაფერია ბუნება სავესებით გამიჯნულია ადამიანისაგან. ყოველი ინდივიდი ცალკე, დამოუკიდებელი, იზოლირებული არსებაა და, თუმცა ადამიანები ცდილობენ დაძლიონ მათ შორის არსებული ზღვარი, მაგრამ ამარად.

ამ რომანის ცენტრალური პერსონაჟი — ვაჟი შეახსენებს ქალს, რომ ისინი ნაცნობები არიან, რომ მათ ერთმანეთი გაიცნეს შარშან ზაფხულს აქ, მარიენბადში. ნივთების, საგნების, დეტალების ასოციაციით ვაჟი მოაგონებს ქალს, თუ როგორ დაუნიშნა მას პაემანი პატარა ოთახში, მაგრამ ქალის ქმარმა თუ საყვარელმა გაიგო მათი შეყვარების ამბავი, შემოიჭრა ოთახში, გაისმა სროლის ხმა, ქალი წაიქცა. ადგა, კელავ წაიქცა... რაღაც გაიღვლებს ქალის მეტსიერებაში, თითქმის კიდევ ცდილობს დაუთხოვოდეს ვაჟს, მაგრამ... კვლავ უწინდებური წყვდიადი, გაუცხოება ჩამოწვება ვაჟსა და ქალს შორის. აქ უკვე მისტიფიკაციასთან გვაქვს საქმე. მკითხველი იბნევა. მას ვერ გაუგია, ვინ არის ეს ქალი: ის, რომელიც ვაჟმა შა-

რშან გაიცნო და. შესაძლებელია, პაემანის დროს კიდევ მოკლეს. თუ შეძლებდა სხვა ქალი. რომელიც ძალიან ჩამოგავს ვაჟის იმ ნაცნობ ქალს. რობ-გრეივე ამას განზრახ აკეთებს — როგორც გენბოთ ისე გაიგეთ. მისი თვალსაზრისით აკი ადამიანს არ შეუძლია შეიცნოს სამყარო და თავისი თავი! ყოველი ადამიანი თავისი საკუთარი სუბიექტური ხედვით ჭკრეტს სინამდვილეს.

კიდევ უფრო უკიდურესი ხასიათი მიიღო „ახალი რომანის“ პრინციპებმა ნ. საროტის რომანში „ოქროს ხილი“ (1962). მასში არ არის არც სახე-ხასიათები, არც მოქმედება და არც სიუჟეტი — ლამაზაჟია მხოლოდ და მხოლოდ ვინმე ბრეის რომანზე „ოქროს ხილი“. სხვადასხვა ხორცშეუსხმელი პერსონაჟები მსჯელობენ. გამოთქვამენ თავის შეხედულებას „ოქროს ხილზე“, მაგრამ ვინ არის ბრეი, ან რას წარმოადგენს მისი რომანი მკითხველისათვის უცნობი რჩება.

ფრანგმა მწერალმა გაეტან პიკონმა სამართლიანად უწოდა „ახალ რომანს“ „ანტირომანი“.

„ავანგარდისტულმა“ რომანმა წმინდა ფორმალისტურ ძიებათა ხასიათი მიიღო, მაგრამ ფორმის ბრწყინვალე ტექნიკა ღრმა ცხოვრებისეული შინაარსის უქონლობის გამო. სინამდვილის დამახინჯების, დეფორმაციის შედეგად ჰერგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. შინაარსისა და ფორმის ეს შეუთავსებლობა იწვევს რომანის, როგორც ეპნობრივი ფორმის, რღვევას.

თანამედროვე რომანის განვითარების მაგისტრალური ხაზია არა მოდერნისტთა მკვირალა დეკლარაციები და „ურომანო რომანები“. არამედ კლასიკური რეალისტური რომანის საუკეთესო ტრადიციების შემოქმედებითი დაუფლება და რეალიზმის შემდგომი გაღრმავება.





აზია ატოილავა

პათნაიკია თუ აკა ზაკიელისა და ავთანდილის ხასიათი?

შოთა რუსთაველის დაბადების 300 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ბევრი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი გამოქვეყნდა წიგნისა თუ სტატიის სახით. ეს მდიდარი ლიტერატურა, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირების დახასიათებასაც. მკვლევართა ერთი ნაწილის ყურადღებას იპყრობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა, კერძოდ, ტარიელისა და ავთანდილის ხასიათის თავისებურებანი. ეს საკითხი — „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მორალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი განხილული აქვს პროფ. ვლ. ნორაკიძეს ნაშრომში „ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“. სხვა საკითხებთან ერთად ავტორი ეხება რუსთაველის ფსიქოლოგიურ კონცეფციასაც, რომელიც გამოთქმულია სხვადასხვა

სტროფში („გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“ და სხვა).

როგორც ცნობილია, ერთსულოვნება არ არის ტარიელისა და ავთანდილის ხასიათის გაგებაში. მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეს ორი გმირი სხვადასხვა ხასიათისაა. მაგალითად, პროფ. ალ. ბარამიძე ამბობს, რომ „ტარიელი და ავთანდილი საერთო სოციალური ნიადაგიდან მომდინარე სახასიათო თვისებების მიუხედავად, გამოკვეთილი ინდივიდუალური სახეები“. მაგრამ ყველა მკვლევარი არ ეთანხმება ამ დებულებას. გამოთქმულია სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისიც. კერძოდ, პროფ. ვლ. ნორაკიძეს მიაჩნია, რომ ტარიელი და ავთანდილი ხასიათის



ერთ ტიპს ეკუთვნიან — ჰარმონიული ხასიათის ადამიანებია. ერთი შეხედვით, საკვირველია ტარიელისა და ავთანდილის მიკუთვნება ხასიათის ერთი ტიპისათვის, მაგრამ ავტორს აქვს საამისო არგუმენტი. მე კი ვფიქრობ, რომ უმაღლესი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ ეს ორი გმირი მივიჩნიოთ აბსოლუტურად ერთი და იგივე ხასიათის პირებად; ასევე უმართებულო იქნება მათ შორის ისეთი განსხვავების აღიარება, რომელიც აბსოლუტურად განაცალკევებს მათ და სავსებით ინდივიდუალური, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტიპებად ჩამოაყალიბებს.

ჩვეულებრივ, როდესაც ტარიელისა და ავთანდილის ძირითად პიროვნებისეულ თვისებებზე მსჯელობენ, მიუთითებენ, რომ ტარიელში ჭარბობს გრძნობები, ხოლო ავთანდილში — გონიერება. ზოგიერთი უფრო მარტივად ამბობს: ტარიელი არის გრძნობის ადამიანი, ავთანდილი კი გონების. ტარიელისა და ავთანდილის ასეთი დაყოფა გრძნობისა და გონების ადამიანებად არ უნდა იყოს მართებული, რამდენადაც გრძნობათა (კერძოდ, სიყვარულის) სიღრმე და სიძლიერე ორივე გმირისთვისაა დამახასიათებელი ისევე, როგორც გონიერება-მოსაზრებულობა. მართალია, ტარიელის გრძნობები უფრო მძაფრ და ტლანქ ფორმებში ვლინდება, აფექტებშიც გადადის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის მაინც რჩება ძლიერ, მტკიცე და გონიერ პიროვნებად.

ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ სავსებით ერთნაირი არ არის ტარიელი და ავთანდილი თავისი ხასიათის მიხედვით, მაგრამ რაც ძირითადი და წამყვანია ხასიათში, ხასიათის შინაარსობრივ მხარეში — მიზანდასახულობათა სისტემაში, სიკეთისადმი სწრაფვაში, შეიძლება ითქვას, ეს ორი გმირი ერთნაირია.

როგორც ცნობილია, ხასიათს, გარდა შინაარსობრივისა, აქვს ფორმალური მხარე, მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის მოქმედების თავისებურება — სიფიცხე და სიღინჯე, სიტლანქე და სინატიფე, ერთბაშად ამოქმედება და თანდათანობით ჩართვა მოქმედებაში. ვფიქრობ, რომ ხასიათის ამ ფორმალურ მხარეებში არის განსხვავება ტარიელსა და ავთანდილს შორის, მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება იმის უნდა მიექცეს, რომ ეს განსხვავება საკუთრივ მათ ხასიათს იმდენად არ მიეწერება, რამდენადაც ტემპერამენტს. ჩემი აზრით, ავთანდილი არის ჰარმონიული ტემპერამენტის ადამიანი, ხოლო ტარიელი ამჟღავნებს ქოლერიკული ტემპერამენტის ნიშნებს. ამ ორ სხვადასხვა ტემპერამენტზე დაფუძნებული ხასიათისეული ნიშნები, თუმცა შეიძლება შინაარსობრივად ერთნაირი იყოს (და არის კიდევ ტარიელთან და ავთანდილთან), მაგრამ მათი გამოვლინების ფორმები მაინც განსხვავებული, თავისებური იქნება ტემპერამენ-

ტის განსხვავებულობის გამო. პირადად მე შესაძლებლად მიმაჩნია ორი სხვადასხვა ტემპერამენტის ადამიანის ხასიათი ერთნაირი იყოს ძირითადადში, მიზანთა სისტემის, მისწრაფებათა და ინტერესთა მიხედვით.

ხასიათის ანალიზისას ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი სტრუქტურაც. ბუნებრივ-ბიოლოგიური მიდრეკილებებისა და საზოგადოებრივი მოვალეობის ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით იგი შეიძლება იყოს ჰარმონიული ან კონფლიქტური ხასიათისა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ტარიელი და ავთანდილი ჰარმონიული ხასიათის ადამიანებია: არც ერთი არ ამჟღავნებს ისეთ შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც პიროვნებას აორებს, შინაგან ბრძოლას იწვევს; არც ერთს არ სჭირდება მნიშვნელოვანი ენერგიის სისტემატური ხარჯვა შინაგანი იმპულსების შეკავებისათვის (მართალია, ასეთი შემთხვევები არის ნაწარმოებში, მაგრამ ერთეულია და არა ტიპური). შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ ტარიელი იმპულსური პიროვნებაა, გრძნობების იმპულსს ემორჩილება. გარკვეულ პერიოდში ეს მართლაც ასეა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მას ამოძრავებს ფაქიზი სიყვარულის გრძნობა, რომელიც ადამიანის მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებაა

და აუცილებლად უნდა განვასხვავებოთ დაბალი ბიოლოგიური გრძნობებისა და მათგან მომდინარე იმპულსებისაგან. ტარიელმა გამოავლინა მაღალი კეთილშობილური თვისებები. არაჩვეულებრივი ამტანობისა და ნებისყოფის უნარი. მან მხოლოდ არაადამიანური ტანჯვის შემდეგ მიაღწია სანუკვარ მოზანს, ისევ მხნე, გონიერი და ძლიერი ვაჟკაცია საშინელი ტანჯვანების შემდეგაც. მის ხასიათში არ იგრძნობა არავითარი ბზარი, იგი ისევ ჰარმონიული ხასიათის პიროვნებაა.

მიუხედავად ერთგვარი განსხვავებულობისა, ტარიელისა და ავთანდილის ხასიათი ჰარმონიული ხასიათის კატეგორიაში თავსდება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჰარმონიული ხასიათი არაა ერთადერთი სახის ვიწროდ შემოზღუდული ტიპი. მასში თავსდება სხვა ფორმაში გამოვლინებული ისეთი შინაგანი ღერძი, „სოციალური ცენტრი“ პიროვნებისა, რომელიც თავისუფალია შინაგანი და პირისპირებულობისაგან, შინაგანი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებისაგან. ამ დებულების სასარგებლოდ ის ფაქტიც ლაპარაკობს, რომ ჰარმონიული ტიპის ხასიათი მოიცავს ფიქსირებული განწყობის ორ ტიპს — პლასტიკურ-დინამიკურსა და ტლანქ-დინამიკურს. ამ შემთხვევაში ჩვენ

საქმე გვაქვს ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ორ სხვადასხვა გზასთან; ეს უკანასკნელი მაჩვენებელი უნდა იყოს გარემოსთან ფსიქიკური პროცესების ურთიერთობის მიმდინარეობათა თავისებურებისა და არა ამ ურთიერთობის შინაარსისა და მიმართულებისა.

ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისით უნდა გადაიჭრას ტარიელისა და ავთანდილის ხასიათის ერთგვაროვნება-განსხვავებულობის საკითხი. მართალია, ამისათვის ჩვენ და-

გვჭირდა ზოგიერთი დებულების ფსიქოლოგიური განხილვა, მაგრამ ეს აუცილებელი გახდა იმიტომაც, რომ ლიტერატურათმცოდნეობასა თუ კრიტიკაში ჯერ კიდევ იშვიათად ითვალისწინებენ ფსიქოლოგიის მიღწევებს ადამიანის ბუნების, კერძოდ, ხასიათის შესახებ. ვფიქრობ, ფსიქოლოგიის მონაპოვართა მომარჯვება და გამოყენება მხოლოდ ხელს შეუწყობს ზევრი ლიტერატურული საკითხის სწორად გადაწყვეტას.



საგზო პალატორია

ღაქსის კითხვის ზოგიერთი საკითხი

ლიტერატურულ დილა-საღამოებზე, საზეიმო-სადღესასწაულო სხდომებზე, თვითშემოქმედებითი კოლექტივების ოლიმპიადებზე ქართული ლექსის კითხვით ხშირად გამოდიან საგანგებოდ მომზადებული შემსრულებლები — უმთავრესად მოსწავლეები. როცა მათ უსმენ, აშკარად გრძნობ, რომ ბევრი მათგანი ძლიერ სუსტად იცნობს გამომეტყველებითი კითხვის წესებს და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ წაბაძოს დიდებს. რამდენადც ლექსის გამომეტყველებით კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს იდეურ-ესთეტიკური აღზრდისათვის, ჩვენ აუცილებლად მივგაჩნია მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის გარკვევა.

ცნობილია ხმამაღალი კითხვის სხვადასხვა სახე. სწორი, ზომიერად ჩქარი და შეგნებული ხმამაღალი კითხვის უსრულესი სახე არის გამომეტყველებითი კითხვა, რომელსაც ხშირად მხატვრულ კითხვას უწოდებენ. მის ნიშანდობლივ თვისებად უნდა ჩაითვალოს აზრისა და გრძნობის ყოველგვარი ნიუანსის გადმოცემა მხოლოდ ხმის ცვლის საშუალებით. მხატვრული კითხვა კი სასცენო ხელოვნებაა. რომელსაც წინათაც უწოდებდნენ და ახლაც უწოდებენ აქტიორულ, არტისტულ კითხვას. მხატვრული კითხვა ყოველთვის გამომეტყველებითია, მაგ-

რამ ჩვეულებრივი გამომეტყველებით კითხვა ვერ მოიცავს მხატვრული კითხვის ყველა კომპონენტს. გამომეტყველებით კითხვაში მინიმუმამდეა დაყვანილი ჟესტ-მიმიკა, მაშინ როცა არტისტულ კითხვაში ჟესტ-მიმიკა და პოზა წამყვან როლს ასრულებს.

ხმამაღალი კითხვის თავისებური სახეა ე. წ. ავტორისეული კითხვა. პოეტის მიერ საკუთარი ლექსის საჯაროდ წაკითხვა ყოველთვის იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, თუმცა იშვიათი როლია შემთხვევა, რომ კარგი პოეტი სუსტი დეკლამატორია. მაგრამ თუ პოეტი კარგად არის დაუფლებული ლექსის კითხვას, მაშინ მისი ნაწარმოები განსაკუთრებული ემოციური ძალით ჟღერს. მაიაკოვსკი, მაგალითად, შესანიშნავი დეკლამატორი იყო და საკუთარი მიმდინარეობაც შექმნა ლექსის კითხვაში. იგი აღიარებდა ე. კაჩალოვის დიდ ოსტატობას, მაგრამ ამავე დროს ამბობდა: კაჩალოვი ჩემზე უკეთესად კითხულობს, მაგრამ ის ვერ წაკითხავს ისე, როგორც მე. სხვა ადგილას მაიაკოვსკის უთქვამს: „მე ყოველთვის ერთნაირად არ ვკითხულობ, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორია აუდიტორია“.

კრილოვი თავის იგავ-არაკებს თითქმის კი არ კითხულობდა, არამედ ყვებოდა და უჩვეულო ეფექტს აღწევდა. ში-

მარსისა და ფორმის თავისებურების გამო იგავ-არაკი სწორედ ასეთ კითხვას იკლავს. აქაც წერეთელი თავისი მგზნებარე ლირიკული ლექსების კითხვისას იშვიათად იყენებდა პათეტიკურ ტონს და ამ გზით აღწევდა უდიდეს ზემოქმედებას მსმენელზე. „განთიადის“ აკაცისუელი წაკითხვა (გრამაჩანაწერით შემონახული) რომ შევადაროთ ს. ზაქარაძის მიერ ამავე ლექსის წაკითხვას, ყველა იგრძნობს მათ შორის არსებულ ძირეულ განსხვავებას. პირველი მათგანი არის ავტორისეული კითხვის, ხოლო მეორე — არტისტული. მხატვრული კითხვის ნიმუში. ორივე შემთხვევაში დაცულია გამომეტყველებითი კითხვის ძირითადი კომპონენტები, რომლებსაც ყველა დახელოვნებული წამკითხველი ისევე იყენებს განცდის გამოხატვის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა და შთაგონების შესაბამისად, როგორც ყველა მოსაუბრე ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში იყენებს საკუთარ ინტონაციას და არ ცდილობს სხვის წაბაძვას.

გამომეტყველებითი კითხვის სწავლება საბჭოთა სკოლაში ყოველთვის უკავშირდებოდა და ამჟამადაც უკავშირდება ლიტერატურის სწავლებას. მისი მეთოდო-ლოგიკა უკავშირდება სასცენო ხელოვნებაში კ. სტანისლავსკის მიერ დამკვიდრებულ სისტემას, რომელიც გადაჭრით უარყოფს ე. წ. „თეატრალობას“, ცრუ პათოსსა და დეკლამაციას დაყრდნობას. სტანისლავსკის ძირითადი პრინციპია „განცდის ხელოვნება“, რაც მსახიობისაგან მოითხოვს უმთავრესად ბუნებრიობას, გულწრფელობასა და სისადავეს. ამიტომ ჩვენც გადაჭრით უნდა დავგმოთ ყოველგვარი შტამი, გარეგნული ეფექტები და ცრუ პათოსი. რეგოლუციამდელი სკოლის ერთი ძირითადი ნაკლი ისიც იყო, რომ გამომეტყველებითი კითხვის ფსიქოლოგიური ბუნებიდან, ტექსტის გაზრებიდან, წამკითხველის განცდებიდან ყურადღება გადაჰქონდათ წარმოთქმის ტექნიკურ მხარეზე, იმის უნარზე, რომ ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის გამოეყენებინათ თეორი-

ით დადგენილი ზოგადი წესები (მაგალითად, მწუხარებისა და სიხარულის გრძნობათა გამოსახატავად ყველა წამკითხველი ერთსა და იმავე ტონს, ტემბრს და ა. შ. იყენებდა). მიუხედავად ამისა, ძალიან გავრცელებულია ე. წ. მონოტონური, ერთფეროვანი კითხვა, რომელიც ლექსს უკარგავს ემოციური ზემოქმედების ძალას. პირველ რიგში ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოსწავლეთა კითხვა, რომელსაც ხშირად ვისმენთ არა მარტო ლიტერატურის გაკვეთილზე, არამედ მხატვრულ დილა-საღამოებზე და სკოლის გარეთაც. ჩანს, რომ მათ არ იციან გამომეტყველებითი კითხვის ის ელემენტარული წესები, რომლებიც ე. წ. ჩერნიშოვმა თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ჩამოაყალიბა თავის შრომაში „გამომეტყველებითი კითხვის ანბანი“. მისი თხუთმეტამდე დებულებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი ექვსი:

1. იკითხე ისე, როგორც ლაბარაკო, ე. ი. სადად. გასაგებად, მთლიანი ფრაზებით და არა ცალკეული სიტყვებით.

2. იკითხე შენი საკუთარი ხმით, ნუ მიბაძვ სხვას, თუნდაც კარგ წამკითხველს.

3. ეცადე, გაიგო და გადმოსცე ის გრძნობა, რომელიც ავტორმა გამოხატა, უნდა შეგეძლოს, რომ შენი ხმით გამოხატო გაოცება, ბრძანება, თხოვნა, სიხარული, მწუხარება და სხვ.

4. ლექსის კითხვის დროს დაიცავი ლექსის წყობა (მახვილები, რიტმი და სხვ.).

5. კითხვისას არ არის საჭირო გრიმასები და მოძრაობა.

6. არ ვარგა ლექსის კითხვა სიმღერით, მარცვლების გამოყოფით.

ლექსის საჯაროდ კითხვისას ბევრი ნორჩი მკითხველი თითქმის ყველა ამ წესს არღვევს, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ აფიქრებს მათ „მწერთნელებს“. როდესაც ამ დარღვევების გამო ჩამოვარდება ლაბარაკი, მოსწავლეები ასახელებენ, დეკლამატორებს, რომლებიც ნაკლებად უწევენ ანგარიშს გამომე-

ტყველებითი კითხვის ზემოხსენებულ წესებს და რომლებსაც ყოველთვის ტაშით აჯილდოვებენ. ამ შემთხვევაში მოსწავლეთა არგუმენტი არ არის უსაფუძვლო. არცთუ ისე იშვიათად ჩვენ რადიოთი მართლაც ვისმენთ ავტორისეული თუ მხატვრული კითხვის სახით ერთფეროვნად აღფრებულ ლექსებს და გვეჩვენება შთაბეჭდილება, თითქოს ყველას ერთი ავტორი და ერთი შემსრულებელი ჰყავს.

ასეთი კითხვისას მთავარი ყურადღება ექცევა ლექსის რიტმს, ანუ მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერ განმეორებას. მაგრამ მხოლოდ რიტმზე დაყრდნობილი კითხვა ავტომატიზებულია და მოგვაგონებს უბადალებულ „დიაკნურ“ კითხვას, რაც მონოტონურ და ამღერებულ კითხვას გულისხმობს. სამწუხაროდ, ასეთი კითხვა, რომელიც სრულებით არ შეეფერება ქართული ლექსის ბუნებას, მარტო მოსწავლეთა შორის არ არის გავრცელებული.

იმის გამო, რომ ქართული ლექსწყობა სილაბურ-ტონური ბუნებისაა, იგი ეწყობა ტაქტებში მარცვალთა რაოდენობისა და მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერ მონაცვლეობას (პროფ. ა. გაწერელია, ქართული ლექსი, 1955, გვ. 14). მაგრამ ქართულ ლექსს ახასიათებს ტონის ცვლა სალექსო ტაქტებში მაშინაც კი, როცა მახვილიან და უმახვილო მარცვალთა ჯგუფების (ტერფების) შედგენილობა არ იცვლება. ამიტომ ხშირად სხვადასხვა ინტონაციას მოითხოვს არა მარტო სტროფები, არამედ ტაქტებიც და მათი ნაწილებიც. მართალია, ტერფის შედგენილობა და მისი მახვილი ხშირად ემთხვევა ტაქტში შემავალ სიტყვათა შედგენილობასა და მახვილებს, მაგრამ გვაქვს ამის საწინააღმდეგო მოვლენაც. თუ ტაქტში „ვარდსა ჰკითხეს: ეგზომ ტურფა // რამან შეგქმნა ტანად პირად?“ მახვილიან და უმახვილო მარცვალთა წყვილები დამოუკიდებელ (ცალკე მყოფ) სიტყვებს წარმოადგენენ და თვითეთლე ორმარცვლიანი სიტყვა ინარჩუნებს თავის ბუნებრივ მახვილს

(თავიდან პირველ მარცვალზე), ასე არ არის ტაქტში: „ნახეს უცხო მოყმე ვინა მე // ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. ამ ტაქტის პირველ ნახევარში მარცვალთა ჯგუფების ისეთივე გამოვრებაა, როგორიც წინა ტაქტში, მაგრამ ტაქტის მეორე ნახევარში ერთმარცვლიანი „ჯდა“ ერთვის მომდევნო სამმარცვლიან სიტყვას („მტირალი“). თუ რიტმულ ინერციას გავყვებით, მაშინ უნდა წავიკითხოთ: „ჯდა მტირალი წყლისა/პირსა“, მაგრამ ერთმარცვლიანი „ჯდა“ უმახვილოა და მომდევნო სიტყვასთან („მტირალი“) მისი შერწყმისას ვღებულობთ კომპლექსს: „ჯდა მტირალი“. ეს სავერუბო ბუნებრივი წაკითხვა იქნება და ამის შედეგად საფუძველი აღარ რჩება მონოტონური, „დიაკნური“ კითხვისათვის.

ახლა ამ სტროფს დავუკვირდეთ:

„კაცად მაშინ ხარ საქები,

თუ ეს წესი წესად დარგე,

ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე,

აბა მე დღეს ვის რა ვარგე“.

ამ სტროფის მეორე, მესამე და მეოთხე ტაქტი ცეზურით შუაზე იყოფა. ტაქტის თვითეთლ ნახევარში ოთხი მარცვალია. თუ პირველ ტაქტსაც ასევე ცეზურით შუაზე გავყოფთ და ამის მიხედვით წავიკითხოთ, გვექნება „კაცად მაშინ/ ხარ საქები“. ამგვარი წაკითხვა რიტმს არ არღვევს, მაგრამ აბუნდოვანებს ტაქტის ლოგიკურ აზრს და საფუძველს აცლის შინაარსის ემოციურად აღქმას. მართებული იქნება ასეთი წაკითხვა.

„კაცად მაშინ ხარ/საქები:

თუ ეს წესი/ წესად დარგე...“

ცხადია, მარტო ცეზურის აღდგომის განაზღვრა არ წყვეტს საკითხს. არსებითი მნიშვნელობა აქვს პაუზებისა და მახვილების სწორად გამოყენებას. წერა-კითხვის ყველა მცოდნე იცის, რომ მძიმესთან საჭიროა მცირე შესვენება, წერტილთან კი დიდი პაუზა. ავიღოთ ორი ტაქტი:

„გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას

თავს იწონებს ნაზი ია“.

თითქმის ყველა ბავშვი გრამატიკული პაუზის (წერტილის) უგულებელყოფის

შედეგად ამ ტაებს ასე კითხულობს:

„გაზაფხულდა ბუჩქის ძირას,
თავს იწონებს ნაზი ია“.

წერტილის (პაუზის) დაკარგვას აქ ისიც უწყობს ხელს, რომ წამკითხველი ემყარება ტაების რიტმულ პაუზას (პირველი ტაების ბოლოს). იგი ამ ტაებს მიიჩნევს დასრულებული აზრის გამომსახველ ერთეულად, ანგარიშს არ უწევს რა ე. წ. „გადატანას“, როცა ერთი ტაების ბოლოს წინადადება არ მთავრდება და მეორეში გადადის. რა თქმა უნდა, მსგავსი „გადატანები“ შედარებით იშვიათია, ჩვეულებრივ ქართულ ლექსში გრამატიკული პაუზა ემთხვევა ტაების (რიტმულ) პაუზას. ამის მაგალითია რ. ერისთავის ლექსი „სესიას ფიქრები“. სადაც თითქმის ყველა ტაების ბოლოს მთავრდება აზრი და დასმულია სასვენი ნიშანი.

„მიწა ვარ ნიადაგ მენა.

ბეჩავი, გლეხად შობილი,

მიწა ჩემი დედ-მამა,

ჩემი და, ჩემი ძმობილი...

ცხნავ, ვთესავ. ვებრძვი მიწასა,

ე შრომა მაინც ფუჭია,

ვერ გადავიჩინე წლის სარჩო,

ვერ გამოვიძღე კუჭია...“

ცხადია, ამ ლექსის წაკითხვა შედარებით ადვილია.

განასხვავებენ პაუზის სახეებს: გრამატიკულს, ლოგიკურს, ფსიქოლოგიურსა და სხვ. ლექსის კითხვისას მათგან ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ლოგიკურ პაუზას. როცა გრამატიკული პაუზის ნიშანი (წერტილი) არაა გამოყენებული ტაების წაკითხვისას — „გაზაფხულდა ბუჩქის ძირას“, ეს იწვევს ლოგიკური ხასიათის შეცდომას და ემოციის გაქრობასაც. ლოგიკური ფუნქცია ახლავს ყველა სახის პაუზას, მაგრამ ლოგიკური პაუზა ამ მხრივ ყველაზე დიდ როლს ასრულებს. ტექსტში მას არა აქვს პირობითი ნიშანი და მისი ადგილის განსაზღვრა დამოკიდებულია წამკითხველის მიერ ლექსის შინაარსის აღქმისა და განცდის ხასიათზე. „ამ გაგებით, — ამბობს იაზოვიცი, — არ არსებობს პაუ-

ზების დაყოფა ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად“. ამიტომ ჩვენ აქ უმთავრესად შევეხებით ლოგიკურ პაუზას, რომელიც თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია ლოგიკურ მახვილთან.

ლოგიკურ მახვილს ყველა ადამიანი იყენებს სასაუბრო მეტყველებაში. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კითხულობთ, რომ ლოგიკური მახვილი არის „წინადადებაში რაიმე მხრით საინტერესო სიტყვის ხმის აწევით წარმოთქმა“. ეს ზოგადი განმარტებაა, მაგრამ მასში მაინც ჩანს ლოგიკური მახვილის ძირითადი თვისება — ხმის (ტონის) აწევა იმ სიტყვაზე, რომელიც „რაიმე მხრით საინტერესოა“. ჩვეულებრივი საუბრის დროს ლოგიკური მახვილი თითქმის გაუცნობიერებელია, მაგრამ ლექსის წაკითხვისას აღუცილებელია მისი გაცნობიერება, ე. ი. საჭიროა დადგენა, თუ რომელი სიტყვა (ან სიტყვათა ჯგუფი) უნდა წარმოითქვას ლოგიკური მახვილით.

მაგალითისათვის ავიღოთ ა. წერეთლის ლექსის „მგელი და ვირი“ ტაეები:

„მამა მყავდა ხარაზი და

ნალბანდობას რა მრჯილაო?!“

თუ გამომეტყველებით წაკითხავთ ამ ტაებს, ლოგიკური მახვილით უნდა წარმოითქვას სიტყვები — „ხარაზი“, „ნალბანდობას“, რადგან მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ აზრის სრულყოფილად გაგებისათვის. მაშასადამე, ეს სიტყვები ორივე მხრიდან პაუზებით უნდა გამოიყოს და კითხვითი ნაცვალსახელი „რა“, რომელიც ახლავს სიტყვას „მრჯილაო“ წარმოითქმება მახვილით. ტაების ბოლოს მკაფიოდ ისმის კითხვისა და გაკვირვების ინტონაცია, რაზეც მიუთითებს სათანადო ნიშნები (?!). წაკითხვის სქემა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

„მამა მყავდა ხარაზი და

ნალბანდობას რა მრჯილაო?!“

ლოგიკური მახვილის მატარებელ სიტყვებთან აღუცილებელია ტემპის შენეება (პაუზები), რომ წამკითხველიც და მსმენელიც მოემზადონ განსაკუთრებულ

ლი მნიშვნელობის სიტყვათა აღქმისათვის.

აქ საყურადღებოა ერთი მომენტი: იმის გამო, რომ ლექსში ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვის გამოყოფისას დიდი მნიშვნელობა აქვს წამკითხველის გაგებას და განცდას, იშვიათი როდია შემთხვევა, რომ ერთსა და იმავე ლექსში სხვადასხვა წამკითხველი სხვადასხვა სიტყვაზე აკეთებს ლოგიკურ მახვილს. დამწყები წამკითხველისათვის სასარგებლოა იმ წესების ცოდნა, რომლებიც აადვილებენ ლოგიკური მახვილის აღივლით მიგნებას ლექსში (და პროზაშიც). ამ წესებიდან ძირითადია შემდეგი:

1. ლოგიკური მახვილით გამოიყოფა საგნისა და მოვლენის აღმნიშვნელი ის სიტყვა, რომელიც პირველად ჩნდება ტექსტში და რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი (ტექსტის) შინაარსის გაგებისათვის:

„ერთმა უგნურმა თაგუნამ

იუკადრისა თაგობა“...

(ა. წერეთელი)

„არწივი ენახე დაჭრილი...“

(ვაჟა-ფშაველა)

„დღეს მერცხალი შემოფრინდა“...

(ა. წერეთელი)

2. საპირისპირო სიტყვა-გამოთქმები ყოველთვის გამოიყოფა ლოგიკური მახვილით:

„ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს

ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი“.

„აწმყო თუ არა გვწყალობს,


მომავალი ჩვენია“.

(ი. ჭავჭავაძე)

ასეთ შემთხვევაში შეპირისპირებულ-თავან პირველი წარმოითქმება უფრო ხმამაღლა, ვიდრე მეორე.

3. წინადადების ერთგვაროვანი წევრები ლოგიკურ მახვილებს იღებს, მაგრამ ყოველი შემდგომი მახვილი წინაზე უფრო ძლიერი იქნება:

„ვნახვ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა...“

(რ. ერისთავი) 

„ცხენს მოაძოვებს,

თვალს მოატყუებს,

გამოიღვიძებს,

შებლს განიგრილებს...“

(ნ. ბარათაშვილი)

თუ ერთგვაროვანი წევრების შემდეგ მოდის განმაზოგადებელი სიტყვა, მისი მახვილი ყველზე ძლიერი იქნება.

„მოხელე, მღვდელი და ერი,

ყველა მე შემომიქცერია“

(რ. ერისთავი)

4. შედარებანი ყოველთვის მოითხოვს ლოგიკურ მახვილს.

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა“.

(ი. ჭავჭავაძე)

„თმაგადაშლილი ქალივით

დაგიბრწყინდება ვარსკვლავი...“

(გ. ლეონიძე)

5. განსაზღვრება-ეპითეტი იგუებს მახვილს:

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს

მის გული ანდამატისა...“

(გრ. ორბელიანი)

„დასძახოდა: არ შეირყეს ტარი,

საქართველოს ძუძუს გაწოვებდი...“

(ს. ჩიქოვანი)

6. ლოგიკური მახვილი მოუღის ვითარების გარემოებას:

„ფიცი დავდოთ სახალწლო,

გავამტკიცოთ ძმობა უფრო...“

(ი. გრიშაშვილი)

ზემოთ ჩვენ შევეჩეთ ლექსის გამომეტყველებით წაკითხვისას გასათვალისწინებელ ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხს, რომელთა უგულებელყოფა ხშირად იგრძნობა ლიტერატურის გაკვეთილებზე (სკოლაში) და მხატვრულ დილა-საღამოებზე, სადაც მოსწავლე ახალგაზრდები გამოდიან წამკითხველებად. რა თქმა

უნდა, მათ არ მოეთხოვებათ კითხვის
ხელოვნების სრულყოფილი დაუფლება;
მაგრამ მათ მიზანს მაინც უნდა წარმო-
ადგენდეს ლექსის კარგად წაკითხვა. დაე
მათ ახსოვდეთ სასარგებლო რჩევა: „კა-
რგად წაიკითხო ტექსტი — ეს ნიშნავს
წაიკითხო იგი გამომეტყველებით. ე. ი.
სწორი ლოგიკური მახვილებით, სწორი
ინტონაციით, პაუზებით, რომლებიც გა-
მოხატავენ ლექსში ჩაქსოვილ განცდებს.

კარგი კითხვის დროს ნაწარმოების ფორმის
მა რელიეფურად ჩანს, ჟღერს რიტმი,
რიტმა. ცხადი ხდება ეპითეტები, შედა-
რებები და გამოსახვის სხვა საშუალება-
ნი“ (ს. სმირონოვი, ლიტერატურული კი-
თხვის მეთოდთა, 1950, გვ. 30, რუს. ენა-
ზე).

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ კარ-
გად წაკითხული ლექსი დიდ ესთეტიკურ
სიამოვნებას ანიჭებს წამკითხველსაც და
მსმენელსაც.



ჯემალ სიუაქი

ვაჭრობის ეკონომიური ეზაქჯურობის აქაღღაბის ზოგინატი საკითხი

სამეურნეო რეფორმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტურობის გადიდებას გეგმიანი ხელმძღვანელობის სრულყოფის, მეცნიერების მიღწევების დანერგვისა და სამეურნეო საქმიანობის ეკონომიური მეთოდების ფართოდ გამოყენების საფუძველზე. საქმიანობას ეკონომიური მაჩვენებლების ამაღლება ეხება არა მარტო საწარმოო წამოწყებათა სფეროს, არამედ მიმოქცევის სფეროს საწარმოებსაც, მათ შორის სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებს. ეკონომიური კატეგორიები და ბერკეტები, როგორიც არის მოგება, რენტაბელობა, ფასი, ხარჯები, კრედიტი და ა. შ. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საბჭოთა ვაჭრობის სისტემაში.

სავაჭრო ორგანიზაციათა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური მაჩვენებელია მიმოქცევის ხარჯები. კ. მარქსმა „კაპიტალში“ საქონლის მიმოქცევის ხარჯები დაყო ორ სახედ: წმინდა და დამატებით ხარჯებად (ჩვენი ქვეყნის დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში იხმარება მიმოქცევის არამწარმოებლური და მწარმოებლური ხარჯები).

მიმოქცევის წმინდა ხარჯებს კ. მარქსი

მიაკუთვნებს ღრის დანახარჯებს ყიდვა-გაყიდვის აქტების შესრულებისათვის, სავაჭრო და ბუღალტერული პერსონალის შენახვის ხარჯებს, საბანკო კრედიტის პროცენტებს, საკანცელარიო და სამმართველო ხარჯებს, რეკლამის ხარჯებსა და სხვ. ეს ხარჯები, რომლებიც აქვირებენ საქონელს ისე, რომ არაფერს მატებენ მის სახმარ ღირებულებას (არცვლიან მას), მიეკუთვნება მიმოქცევის არამწარმოებლურ ანუ წმინდა ხარჯებს. საერთო კანონი მდგომარეობს იმაში, რომ მიმოქცევის ყველა ხარჯი, რომელიც მხოლოდ საქონლის ფორმის გარდაქმნიდან გამომდინარეობს, საქონელს არავითარ ღირებულებას არ მატებს. იგი მხოლოდ ღირებულების რეალიზაციის ხარჯია, რაც ხმარდება ღირებულების გადატანას ერთი ფორმიდან მეორეში.

სრულებით სხვა როლს ასრულებს მიმოქცევის დამატებითი (მწარმოებლური) ხარჯები. იგი განპირობებულია მიმოქცევის სფეროში წარმოების გაგრძელების აუცილებლობით. საქმე ის არის, რომ როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, პროდუქტი მხოლოდ მაშინ არის მზად მოხმარებისათვის, როცა მიტანილია მოხმარების ადგილზე. მაშასადამე, მწარმოებლიდან მომ-



ხმარებლად საქონლის მიტანის პროცესებთან დაკავშირებული ხარჯები დამატებითი (მწარმოებლური) ხარჯებია. კ. მარქსი მათ მიაკუთვნებს ტრანსპორტირების ხარჯებს, შენახვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დანახარჯებსა და სხვ. სანიმუშოდ ავიღოთ საქონლის შენახვის ოპერაცია. კ. მარქსი მიუთითებს: „ღირებულების შენარჩუნება, რომელიც არსებობს საქონელში, როგორც პროდუქტში. როგორც სახმარ ღირებულებად და რომლის შენარჩუნება ამიტომ მხოლოდ პროდუქტის, თვით სახმარი ღირებულების შენარჩუნების გზით არის შესაძლებელი, სახმარი ღირებულება აქ არც მაღლა იწევს, არც მატულობს, პირიქით იგი კლებულობს. მაგრამ მის დაკლებას საზღვარი ედება და ეს ღირებულება შეინარჩუნება. აგრეთვე ავანსებული, საქონელში არსებული ღირებულებაც აქ არ მატულობს, მაგრამ მას ემატება ახალი შრომა, როგორც გასაგნობრივებული, ისე ცოცხალი“ („კაპიტალი“, ტ. II, 1957 წ., გვ. 172).

მიმოქცევის წმინდა და დამატებითი ხარჯების სწორად გაგებას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საქმე ის არის, რომ ერთი და იგივე გარემოება, რომელსაც სხვადასხვა მიზეზები იწვევს, წარმოშობს დამეტრალურად საწინააღმდეგო მიმოქცევის ხარჯებს, მაგალითად, როგორც ვთქვით, საქონლის შენახვის ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მარაგის დონე საზოგადოების ნამდვილი მოხმარების დონის ფარგლებშია. თუ კი ლაპარაკია ჭარბი (ზენორმატიული) მარაგის შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, მაშინ ასეთი ხარჯები უკვე მიეკუთვნება არა დამატებითი, არამედ წმინდა (არამწარმოებლური) ხარჯების კატეგორიას, სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში მიმოქცევის ხარჯების კატეგორიას.

ამიტომ ცხადია, რომ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში მიმოქცევის ხარჯების ანალიზს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ახლა, დაგე-

გვისა და სავაჭრო ორგანიზაციების სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლისათვის ეკონომიური რეფორმის განხორციელების პირობებში.

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენეს, აჭარის ასს რესპუბლიკაში წლითიწლებით იზრდება მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური და შედარებითი დონე. სახელდობრ, ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მიმოქცევის ხარჯები 1963 წლის 2.285 ათასი მანეთიდან (საქონელბრუნვის 4,69 პროცენტს) 2.750 ათას მანეთამდე (საქონელბრუნვის 5 პროცენტი) გაიზარდა 1965 წელს. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მიმოქცევის ხარჯები შესაბამისად გაიზარდა 1.651 ათასი მანეთიდან (საქონელბრუნვის 6,61 პროცენტი) 2.038,4 ათას მანეთამდე (საქონელბრუნვის 7,59 პროცენტი).

მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე დიდია ხელფასის ხვედრითი წილი (ხარჯების საერთო ოდენობის 40-44 პროცენტი). ეს უმთავრესად ორი გარემოებით აიხსნება: 1) ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის ზრდით; 2) ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დაბალი დონით სასაწყობო და საქონლის რეალიზაციის სავაჭრო ოპერაციებში ხელის შრომის სიჭარბის გამო.

განსაკუთრებით მაღალია ხელფასის შეფარდებითი დონე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. თუ აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სიატემის სავაჭრო ორგანიზაციებში ხელფასი საქონელბრუნვისადმი 1,87 პროცენტიდან 1963 წელს 2,2 პროცენტამდე გაიზარდა 1965 წელს, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში ეს ციფრები შესაბამისად შეადგენს 2,51 და 3,023 პროცენტს.

მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურაში ხელფასის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნადაა ახასიათებს ვაჭრობაში გამოყენებული ცოცხალი შრომის წილს, სავაჭრო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონეს, ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას. რაკი ასეა, ხელფასის ხვედრითი წილის

შესამცირებლად საჭიროა უზრუნველ-
ვყოთ ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყო-
ფიერების ზრდა საწყობების, მაღაზიე-
რისა და ვაჭრობის სხვა საწარმოების
ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობე-
რების გზით.

მიმოქცევის ხარჯებში დიდია აგრეთვე
სატრანსპორტო ხარჯების ზედღრითი წო-
ნა. საგულისხმოა, რომ აჭარის ასსრ სა-
ხელმწიფო ვაჭრობის სისტემაში სატრან-
სპორტო ხარჯები გაცილებით ნაკლებია
როგორც აბსოლუტურად, ისე განსაკუთ-
რებით შეფარდებითად, ვიდრე სამომხმარ-
ებლო კოოპერაციის სისტემაში. 1965
წელს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში
იჯერდებოდა 309 ათას მანეთს (საქონელ-
ბრუნვის 0,56 პროცენტს), სამომხმარებ-
ლო კოოპერაციის სისტემაში კი 355,6
ათას მანეთს (საქონელბრუნვის 1,22 პრო-
ცენტს). ეს აიხსნება საქონლის ტრანსპო-
რტირების არსებითად განსხვავებული პი-
რობებით. სოფლად, განსაკუთრებით
მთიან რაიონებში საჭირო ხდება ტრან-
სპორტის ძვირად ღირებულ სახეობათა
გამოყენება (განსაკუთრებით საქაპანო
ტრანსპორტისა). ამავ დროს რესპუბლი-
კაში ძალზე ბევრი წვირილი საცალო სა-
წარმოა, რაც არ იძლევა საქონლის დიდ
პარტიებად შეტანისა და სატრანსპორტო
საშუალებათა მთელი დატვირთვით გა-
მოყენების საშუალებას. თუ გავითვალის-
წინებთ იმასაც, რომ მთიან რაიონებში
ვაჭრობის საწარმოთა ქსელი განუწყვეტ-
ლივ ფართოვდება, ცხადი გახდება, უკა-
ნასკნელი წლების მანძილზე რატომ იზ-
რდება სატრანსპორტო ხარჯების ზედ-
ღრითი წონა როგორც სახელმწიფო, ისე
კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში
(სსრ კავშირში საშუალოდ კი მას აქვს
შემცირების ტენდენცია). მაშასადამე,
სატრანსპორტო ხარჯების შესამცირებ-
ლად აუცილებელია უფრო ფართოდ გა-
მოვიყენოთ საქონლის ცენტრალიზებუ-
ლი შეტანა ავტოტრანსპორტით უკლე-
ბლივ ყველა სავაჭრო წერტილში.

მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურაში
მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ მუხ-
ლების ჯგუფს, რომლებიც ვაჭრობის ძი-

რითადი ფონდების გამოყენებას მიეკუთ-
ვნება (შენობათა იჯარა და მათი შენახვა,
მიმდინარე რემონტი, ინვენტარის ცე-
ნა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვაჭრობის
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდა და
სრულყოფა ბუნებრივად გამოიწვევს მი-
მოქცევის ხარჯების გადიდებას.

რამდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რეს-
პუბლიკაში? აჭარის ასსრ ვაჭრო-
ბის სამინისტროს სისტემაში შენობათა
შენახვის ხარჯები 1965 წელს 44 ათასი
მანეთით ნაკლები იყო. მართალია, სამა-
გიეროდ გაიზარდა შენობათა იჯარის
ხარჯები, მაგრამ საერთოდ მიმოქცევის
ხარჯების ეს ჯგუფი თავისი აბსოლუ-
ტური სიდიდით ნაკლებად იცვლება, რაც
იმას მოწმობს, რომ ჯერ კიდევ სუსტად
ვითარდება ვაჭრობის მატერიალურ-
ტექნიკური ბაზა, არაღამაყაყოფილებ-
ლად ინერგება ვაჭრობის ახალი, პროგრე-
სული ფორმები, რაც მოითხოვს სავაჭრო
შენობათა ხელახალ აღჭურვას და ა. შ.
დადებით მოვლენად არ ჩაითვლება არც
საიჯარო ქირის ზრდა. 1963-1965 წლე-
ბში აჭარის ასსრ ვაჭრობის ორგანიზა-
ციებმა გადაიხადეს 797,5 ათასი მანეთი
საიჯარო ქირა (493 ათასი მანეთი ვაჭრო-
ბის სამინისტროს სისტემაში და 304,5
ათასი მანეთი სამომხმარებლო კოოპერა-
ციის სისტემაში). ამ სახსრებით შეიძლე-
ბოდა მრავალი საზოგადოებრივი კვების
საწარმოს და მაღაზიის აღჭურვა სამაცი-
ვრო მოწყობილობით, დამტვირთავ-დამ-
ცლელი მექანიზმებითა და ა. შ.

მიმოქცევის ხარჯების ცალკეული მუ-
ხლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სავა-
ჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოთა
საქმიანობის ეკონომიური მაჩვენებლები
არც თუ ისე სახარბიელოა. ავიღოთ, მა-
გალითად, მიმოქცევის ხარჯების ის მუხ-
ლი, რომელიც ახასიათებს საქონლის და-
მატებით დამუშავებასა, დახარისხებასა
და შეფუთვაზე გაწეულ გასავალს. რო-
გორც ცნობილია, საერთოდ სსრ კავში-
რში ეს ხარჯები მცირდება. თუ 1958
წელს იგი საქონელბრუნვის 0,14 პრო-
ცენტს უდრიდა, 1965 წელს 0,11 პრო-

ცენტრ შეადგენდა. ამის უმთავრესი მიზეზია მაღაზიების ცუდად მომარაგება შესაფუთავი მასალებით. მართალია, საქონლის დამატებითი დამუშავების ხარჯები აჭარაში გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში და აღწევს საქონელბრუნვის 0.18 — 0.19 პროცენტს (ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში), თავრამ ეს უფრო საქონლის დამატებითი დამუშავებისა და შეფუთვის პროცესების სუსტი მექანიზაციით აიხსნება. კერძოდ, მეტად სუსტად არის განვითარებული დაფასოებული საქონლით ვაჭრობა, ეს მაშინ, როცა იგი 3.6-ჯერ მაღლებს ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას და 15-20 პროცენტით ამცირებს მიმოქცევის ხარჯებას საწონი საქონლით ვაჭრობასთან შედარებით.

ასევე შეიძლება ითქვას საქონლის დანაკარგების შესახებაც. საცალო ვაჭრობის ხაზით სსრ კავშირში მან 0.24 პროცენტი შეადგინა, აჭარის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში კი უდრიდა 0.16 და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში — 0.21 პროცენტს. როგორც ჩანს, საქონლის დანაკარგები აჭარაში უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. მაგრამ შეინიშნება ამ დანაკარგების ზრდის საშიში ტენდენცია. საკმარისია ითქვას, რომ აჭარის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ბუნებრივი დანაკლისის ნორმების გადამეტებით საქონლის დანაკარგები წინა წელთან შედარებით 1965 წელს 0.2 პროცენტით გაიზარდა. ძირითადად ეს არის საქონლის გაფუჭების შედეგი. რამდენადაც აჭარის სავაჭრო ქსელი, განსაკუთრებით სასოფლო, საკმაოდ არ არის აღჭურვილი სამაცივრო მოწყობილობით, ხორცეულისა და სხვა სასურსათო პროდუქციის შენახვა ჭირს. არასასურსათო საქონლის გულში ძირითადად ფუჭდება მინა, ფაიფურ-ქაშანურის ქურჭელი და სხვა საქონელი, რაც აიხსნება მათი შენახვის ცუდი პირობებითა და საწყობის მუშაკთა დაუდევრობით.

საქონელბრუნვის მოცულობის გაზრდა და ვაჭრობის კულტურის ამაღლება

ზრდის ტარის დანაკარგებსაც, მეტწილად ესაიხსნება, რომ ტარის ხარჯები ხვედრითი წონა აუცილებლად უნდა იზარდებოდეს მიმოქცევის ხარჯებში. საერთოდ საბჭოთა კავშირში შეინიშნება ტარის ხარჯთა ხვედრითი წონის შემცირების ტენდენცია. ასეთივე მდგომარეობაა აჭარაშიც. თუ 1963 წელს ამ ხარჯებმა ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში საქონელბრუნვის 0.13 პროცენტი შეადგინა, 1964 წელს — 0.06, ხოლო 1965 წელს იგი 0.05 პროცენტს უდრიდა. სამომხმარებლო კოოპერაციების სისტემაში კი შესაბამისად 0.03, 0.068 და 0.043 პროცენტს. ტარის ხარჯების შემცირების ნაადი გზათარის მრავალჯერ გამოყენება, საქონლის უტაროდ—კონტეინერებითა და სპეციალური ძარებით გადაზიდვა, ახალი სახის ტარის (პოლიეთილენის პაკეტი და სხვ.) გამოყენება, ამავდროულად აუცილებელია აღმოიფხვრას გაუპიროვნება ტარის შენახვაში. მცირეტიანი და უტყუო რაიონების მოწინავე ვაჭრობის ორგანიზაციებში ტარის ხარჯები და დანაკარგები საქონელბრუნვის 0.03 პროცენტს არ აღემატება. აქეთვე უნდა ისწრაფოდნენ აჭარის ვაჭრობის ორგანიზაციები.

მიმოქცევის ხარჯებთან უშუალოდ დაკავშირებულია სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების რენტაბელობა, რაც უფრო დაბალია მიმოქცევის ხარჯები და რაც უფრო მეტია მოგება. მით უფრო ღირდა სავაჭრო საწარმოს რენტაბელობა, და ახლა, როცა ხორციელდება ეკონომიური რეფორმა, იგი ხდება სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. ამიტომ რენტაბელობის დონე ვაჭრობის მუშაკთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

მიუხედავად ამისა, აჭარის სავაჭრო ორგანიზაციების რენტაბელობა საერთოდ და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისა განსაკუთრებით, უკანასკნელ

წლებში იმდენად დაეცა, რომ მან მნიშვნელოვანწილად შეაფერხა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და, მაშასადამე, მყიდველთა მომსახურების დონის ამღობაც. 1959 წლიდან დაწყებული, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სისტემატურად მცირდება რეალიზებული დარიცხვის დონე. თუ 1959 წელს საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციების რენტაბელობის დონე 3,4 პროცენტს შეადგენდა, 1965 წელს იგი 1,8 პროცენტამდე შემცირდა.

სავაჭრო საწარმოთა რენტაბელობის დაცემის ძირითადი მიზეზია სავაჭრო დათმობათა შემცირება და მიმოქცევის ხარჯების ზრდა. 1966 წლის 1 იანვრიდან ჩატარებული სავაჭრო დათმობათა ერთგვარი გადიდება საქმარისი არ აღმოჩნდა სავაჭრო საწარმოთა რენტაბელობის შესაბამის დონემდე ამღლები-სათვის.

სავაჭრო დათმობანი, რომელსაც სამრეწველო საწარმოები, მრეწველობის გასაღების ბაზები და სხვა მიმწოდებლები აძლევენ სავაჭრო ორგანიზაციებს საქონლის მიწოდების დროს, უნდა ფარავდნენ ხარჯებს და უზრუნველყოფდნენ სავაჭრო ორგანიზაციების ნორმალურ რენტაბელობას. სავაჭრო დათმობა არის ვაჭრობის ორგანიზაციების შემოსავლის ძირითადი ფორმა (წყარო). მისი დონე რაც შეიძლება მეტად უნდა შეესაბამებოდეს ნამდვილ ხარჯებს, რომლებსაც სავაჭრო ორგანიზაციები ეწევიან საქონლის რეალიზაციის დროს, და უზრუნველყოფდეს აუცილებელი მოგების მიღებას. ცალკეულ საქონელზე დათმობათა სისტემა კი ამჟამად ისეთია, რომ საქონლის რეალიზაციის დიდი მოცულობის მიუხედავად, შეიძლება კარგად მომუშავე სავაჭრო ორგანიზაცია ზარალიანი, ხოლო სუსტად მომუშავე ორგანიზაცია მომგებიანი აღმოჩნდეს. ეს, ცხადია, სამეურნეო ანგარიშისა და მეურნეობის ეკონომიური გაძღოლის ძირითადი პრინციპების მეტად უხეში დარღვევაა.

სავაჭრო დათმობათა სისტემის ერთი ძნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი, ჩვენი აზრით, სავაჭრო დათმობათა განაკვეთის ბაზის საკითხია.

მთავარია სავაჭრო დათმობანი ისე განისაზღვროს, რომ ვაჭრობის ორგანიზაციებს აძლევდეს ყველა საქონლით ვაჭრობის სტიმულს ერთი საქონლისათვის რაიმე უპირატესობის მიუნიჭებლად სხვა საქონლის საზიანოდ. თავის მხრივ, ეს დამოკიდებულია ხარჯებზე, რომელსაც ვაჭრობის ორგანიზაციები ეწევიან საქონლის შემოტანისა და რეალიზაციის პროცესში. ამ ხარჯებს კი, როგორც ცნობილია, უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს საქონლის წონა, ფიზიკურ-ქიმიური და სხვა თვისებები, მათი შენახვის დამატებითი დამუშავების თავისებურებები და ა. შ. ბოლოს, საქონლის ფასი. სინამდვილეში ერთი ტონა დაუფასოებელი შაქრისა და ერთი ტონა მარილის შემოტანა თანაბარ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ ერთი ტონა მარილის საცალო ფასი დაახლოებით 30 მანეთს უდრის, ხოლო ერთი ტონა შაქრის ფასი 900 მანეთს, ანუ 30-ჯერ მეტს. მაშასადამე, საქონლის ფასსა და მისი რეალიზაციის ხარჯებს შორის უშუალო კავშირი არ არსებობს. რა თქმა უნდა, გამოსავალი სავაჭრო დათმობათა საქონლის მიხედვით დიფერენციაციაციაშია, როგორც ამას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი პრეისკურანტები. ასე, მაგალითად, დაუფასოებელ მარილში სავაჭრო დათმობა 20 პროცენტს შეადგენს, ხოლო შაქარში სულ რაღაც 5,3 პროცენტს. სავაჭრო დათმობათა დიფერენციაციის შეუძლია გაითვალისწინოს მიმოქცევის ხარჯების სხვადასხვა დონე ცალკეულ საქონელზე ან საქონელთა ჯგუფებზე, მაგრამ ჩვენ მხედველობაში გვაქვს სხვა საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო დათმობა არის საქონლის საცალო ფასის შემადგენელი ნაწილი, სავალდებულო როლია მისი დონე დაწესდეს თვით ფასის მიხედვით. მოცემულ საქონელზე სავაჭრო დათმობამ უნდა აანაზღაუროს სავაჭრო ორგანიზაციის ხარჯები საქონ-

ლის რეალიზაციასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს გარკვეული მოგება.

მაშასადამე, სავაჭრო დათმობა უნდა იყოს მტკიცე განაკვეთი სარეალიზაციო საქონლის ერთეულზე და ზუსტად იქნეს დიფერენცირებული პროდუქციის სასაქონლო სახეობის თავისებურების, ვაჭრობის ორგანიზაციების მუშაობის სხვადასხვა პირობების, დამამზადებელი საცალო ქსელამდე საქონლის მოძრაობის ფორმების და სხვ. გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, სწორად დიფერენცირებულ სავაჭრო დათმობათა დასამუშავებლად საჭიროა მიმოქცევის ხვედრითი, საქონლის ერთეულზე მოსული ნორმატიული ხარჯების (სატრანსპორტო ხარჯები, შენახვის, დამატებითი დამუშავების და ა. შ. ხარჯები) ზუსტი გაანგარიშება. ეს ნორმატივები მეცნიერულად დასაბუთებული უნდა იყოს—შეესაბამებოდეს ვაჭრობის ორგანიზაციების ფაქტიურ დანახარჯებს საქონლის რეალიზაციაზე და უზრუნველყოს გარკვეული მოგება, რომლის ხარჯზეც ვაჭრობის ორგანიზაციები შეავსებენ საბრუნავ სახსრებს, შექმნიან წახალისების ფონდებს და სათანადო ანარიცხებს გადასცემენ სახელმწიფო ბიუჯეტს.

ერთი სიტყვით, მოქმედი სავაჭრო დათმობის სრულყოფა (პროცენტობით საქონლის ფასისადმი), შესაბამისი დონისათვის მათი მიახლოება (წარმოების ხარჯები პლუს გარკვეული მოგება) შეიძლება სავაჭრო დათმობათა შემდგომი სრულყოფის მტკიცე ბაზა გახდეს.

სავაჭრო დათმობათა სწორ დიფერენციაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარისათვის, რომელსაც მცირე ტერიტორიის მიუხედავად, აქვს მეტად განსხვავებული კლიმატური პირობები. კერძოდ, შუაჩევის, ხულოსა და ქედის რაიონები მაღალმთიანია და ხასიათდება სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთარით, რომელიც ხშირად

ექვს თვეს გრძელდება. ამიტომ რაიონების მრავალ პატარ-პატარა სავაჭრო წერტილში საჭირო ხდება სასაქონლო შევიტანით მთელი ზამთრის პერიოდისათვის, რაც იმდენად ზრდის სავაჭრო საწარმოების ხარჯებს, რომ მათ დასაფარავად საჭიროა სამივე რაიონი გაეუთანაბროთ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებს. ეს საკითხი ძლიერ მწვევედ დგას და რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოგვარდეს.

მისასალმებელია, რომ შარშან განხორციელდა სხვადასხვა საქონლის სავაჭრო დათმობათა წინანდელზე უფრო ფართო დიფერენციაცია და ამჟამად უკვე არსებობს თავისი სიდიდით 18 სხვადასხვა სავაჭრო დათმობა თითქმის ყველა სასურსათო საქონელზე და ექვსი სხვადასხვა სავაჭრო დათმობა არასასურსათო საქონელზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიფერენციაციის შემდგომი გაფართოება სავაჭრო დათმობათა დონის ერთდროული გადიდებით მომწიფებული ეკონომიური ამოცანაა.

აჭარის ვაჭრობის ორგანიზაციათა ეკონომიური საქმიანობის ერთი არსებითი ნაკლოვანება ისიცაა, რომ მათს პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მოგებისა და რენტაბელობის დაგეგმვა დრომოქმული მეთოდით—ფაქტიურად მიღწეული დონის მიხედვით. სავაჭრო საწარმოს, რომლის კოლექტივმა თავდადებული შრომით მოგების მაღალ დონეს მიაღწია, მომდევნო წელს უწყებენ მოგების უფრო დიდ გეგმას. ახალი გეგმის შეუსრულებლობა კი იწვევს პრემიების შემცირებას. ეს ასუსტებს სავაჭრო საწარმოს მუშაკების მატერიალურ დაინტერესებას მოგების გადიდებით. ამიტომ აუცილებელია გადაჭრით მოედოს ბოლო ასეთ მავნე პრაქტიკას. იგი ეწინააღმდეგება პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ ეკონომიურ რეფორმას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე განსაზღვროს სავაჭრო საწარმოთა რენტაბელობის საჭირო დონე ან დაახლოებით. რაც იგივეა, მოგების დონე, რომელიც სავაჭრო საწარმოებმა უნდა მიიღონ. როგორც ცნობილია, მიმოქცევის ხარჯებს თვითვეულ საქონელზე არ აღრიცხავენ. ამიტომ ძნელდება სავაჭრო ფასეულობათა იმ დონის განსაზღვრა, რამაც არა მარტო უნდა დაფაროს მიმოქცევის ხარჯები, არამედ გარკვეული მოგებაც უზრუნველყოს. აქ იბადება მეორე კითხვა: როგორი უნდა იყოს მოგების ნორმა? ცხადია, ვაჭრობაში მოგების ნორმის განსაზღვრით და მიმოქცევის ხარჯების დონის ცოდნით შეიძლება სწორად გადაწყდეს სავაჭრო დათმობის ოდენობის საკითხიც.

ჩვენი აზრით, სავაჭრო საწარმოს მოგებამ თანამედროვე პირობებში არა მარტო უნდა უზრუნველყოს ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის კაპიტალური დაბანდების დაფინანსება, საბრუნავი სახსრების საჭირო ნაშატი და ა. შ., არამედ ამავე დროს იყოს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების გადამწყვეტი ფაქტორი და წარმოადგენდეს ვაჭრობის განვითარების მატერიალური სტიმულირებისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების წყაროს.

ვაჭრობის ეკონომიური ეფექტურობის ამოღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა როგორც მთლიანად ცალკეულ სავაჭრო საწარმოთა გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე, ისე სამეურნეო ანგარიშის დანერგვა მალაზიების სტრუქტურული ქვეგანყოფილების (განყოფილებების, სექციების, ჯგუფების) მუშაობაში. ბათუმში უკვე არის მალაზიები, სადაც შიგასამეურნეო ანგარიში მოქმედებს. ამის შედეგად ცალკეულ განყოფილებებს, სექციებს, ბრიგადებს საშუალება აქვთ შეაჯამონ თავი

მუშაობის ეკონომიური შედეგები, სამუშაო, ასეთი მალაზიები ბათუმში ჯერ კიდევ ცოტაა, თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც სწორად არის მოწყობილი სამეურნეო ანგარიში, მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს აღწევენ და თვალსაჩინოდ ზრდიან რენტაბელობას.

ამჯერად ჩვენ გვინდა შევიჩრდეთ ზოგიერთ თავისებურებაზე, რომლებიც აჭარის სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს გააჩნიათ სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციასა და გამოყენებაში (სახელმწიფო სავაჭრო საწარმოებთან შედარებით).

საწესდებო კოოპერაციული ორგანიზაციები (სამომხმარებლო საზოგადოებანი, სამომხმარებლო კავშირები) სრულ სამეურნეო ანგარიშზე არიან — აქვთ საკუთარი საწესდებო ფონდი, იურიდიული პირის უფლებანი. არასაწესდებო კოოპერაციული საწარმოები (რაიონი-ვერმალები, პურის საცხოვრები და სხვ.) იმყოფებიან არასრულ სამეურნეო ანგარიშზე. თუმცა ამ უკანასკნელთ, როგორც წესი, აქვთ დამოუკიდებელი საბუღალტერო ბალანსი, სარგებლობენ ბანკის კრედიტებით და დამოუკიდებლად გამოდიან სამეურნეო ბრუნვაში, მაგრამ არა აქვთ საკუთარი საწესდებო ფონდი და არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. მათ ეძლევათ ეგრეთწოდებული გამოყოფილი სახსრები და მოქმედებენ ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული დებულებების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით არასაწესდებო კოოპერაციული საწარმოები არ აწარმოებენ დამოუკიდებელ საფინანსო ანგარიშებს სახელმწიფო ბიუჯეტთან (საშემოსავლო გადასახადისა და სხვა გადასახადების განაღდება). სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ხდება ცენტრალიზებულად, მას აწარმოებენ სამომხმარებლო კავშირები.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა საბითუმო ვაჭრობის ბაზათა თაობაზე.

ამჟამად აჭარაში მოქმედებს ექვსი საბითუმო ბაზა, მათ შორის ერთი სამომხმარებლო კოოპერაციის უნივერსალური ბაზა 17,5 მილიონი მანეთის წლიური საქონელბრუნვით და სახელმწიფო ვაჭრობის ხუთი ბაზა („საქტანსაცმელვაჭრობის“, „საქქსოვილვაჭრობის“, „საქფეხსაცმელვაჭრობის“, „საქხორცთევზაჭრობისა“ და „საქბაკალიისა“). რომელთა საერთო წლიური საქონელბრუნვა 71 მილიონ მანეთს შეადგენს. გამოდის, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ბაზაში საშუალო თვიური საბითუმო ბრუნვა შეადგენს 1,45 მილიონ მანეთს. ხოლო ვაჭრობის სამინისტროს ერთ ბაზაზე მოდის 1,2 მილიონ მანეთზე ნაკლები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „საქტანსაცმელვაჭრობისა“ და „საქქსოვილვაჭრობის“ საბითუმო ბაზები ერთ ეზოში არის

მოთავსებული. ასე რომ, მათი დაყოფა მეტად ხელოვნურია.

ეკონომიური ეფექტურობის თვალსაზრისით, საჭიროა გამსხვილდეს ვაჭრობის სამინისტროს ბაზები. სახელდობრ, ხუთი ბაზის ნაცვლად მოეწყოს ორი. უფრო კონკრეტულად, „საქტანსაცმელვაჭრობის“, „საქქსოვილვაჭრობისა“ და „საქფეხსაცმელვაჭრობის“ ბაზების ნაცვლად მოეწყოს ერთი მსხვილი ბაზა და „საქბაკალიისა“ და „საქხორცთევზაჭრობის“ ნაცვლად — ერთი მსხვილი სასურსათო ბაზა. როგორც გაანგარიშებამ გვიჩვენა, ასეთი სტრუქტურული რეორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს მიმოქცევის ხარჯების ეკონომიის სახით მივიღოთ 150 ათასი მანეთი წლიურად.

ასეთია, ჩვენი აზრით, ვაჭრობის საწარმოთა ეკონომიური ეფექტურობის ამაღლების ზოგიერთი ძირითადი საკითხი.





ზორბეგ ლლონგი

გამოჩენილი საზოგადოება რეჟისორი

ალ. ახმეტელის დაბადების 80 წლისთავის გამო

მსოფლიო თეატრის ისტორიაში, ალბათ, არც ყოფილა შემთხვევა, რომ ადამიანს არც რაიმე თეატრალური სკოლა გაეცნოს, არც პროფესიული სასცენო განათლება მიეღოს და არა მარტო უნიჭიერესი რეჟისორის სახელი მოეხვეჭოს, არამედ თავისი საკუთარი სკოლა და თეატრი შეექმნას, მაგრამ სწორედ ასეთი ადამიანი იყო ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი.

ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო ახმეტელი, როცა თანამშრომლობა დაიწყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში როგორც პუბლიცისტმა. სხვა საკითხებთან ერთად მას იზიდავდა თეატრალური ცხოვრების პრობლემები და არაერთი სტატია მიუძღვნა მათ და მოხსენებაც კი გაუკეთებია ქართული თეატრის ბედის შესახებ. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ახმეტელს ყურადღება მიექცია თეატრალურმა საზოგადოებამ და 1918 წელს რეჟისორად მიიწვია ქართულ თეატრში. მაგრამ უძლეური მენშევიკური მთავრობის ბატონობის წლები მეტად მძიმე პერიოდი იყო ქართული თეატრის ისტორიაში და მალე ახმეტელი

იძულებული გახდა ჩამოშორებოდა თეატრს. თავის საყვარელ საქმეს იგი დაუბრუნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართულ თეატრს სათავეში ჩაუდგა დიდი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი. 1922 წელს მან დადგა რუსთაველის სახელობის თეატრში უაილდის „სალომეა“ და გვერდით ამოუდგა გამოჩენილ რეჟისორს. სამწუხაროდ, მათი შემოქმედებითი თანამეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კორპორაცია „დურუჟისა“ და სხვა მიზეზების გამო მარჯანიშვილი იძულებული გახდა თეატრიდან წასულიყო. მაგრამ მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის არავითარ პირადულ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ პრინციპული ხასიათის შემოქმედებითი დავა. რუსთაველის თეატრის მუზეუმში ინახება ს. ახმეტელის წერილი, რომელშიც იგი კ. მარჯანიშვილს სწერს: „რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის, ძვირფასო კოტე, იცოდე, რომ გარდა ღრმა სიყვარულისა და ერთგულებისა თქვენდამი, ჩემს გულში არაფერი არ არის. მე შემწევს ძალა დავრჩე პატიოსან მეგობრად ბრძოლის დროსაც კი. მე დავიცავე

შენი ადგილი თეატრში, რა თქმა უნდა, იმ ერთადერთი აზრით, რომ ადრე იქნება თუ გვიან დაგიბრუნო შენი საყვარელი თეატრი, როცა კი ამას მოისურვებ. შენი სული ჩვენს თეატრში შეუზღუდველად იბატონებს, ამიტომ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამთ შენთან წინასწარ მოუთაბირებლად“.

მიუხედავად ამ ბარათისა, სამწუხაროდ, მათი ურთიერთობა ამ გზით არ წარმართულა. 1926 წლიდან რუსთაველის თეატრს სათავეში ჩაუდგა სანდრო ახმეტელი. მან თავის უპირველეს მიზნად დაისახა შეექმნა შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული თეატრი. იგი ამტკიცებდა, რომ ქართველი მსახიობი უნდა იყოს ტემპერამენტიანი, კარგად დაუფლებული თავის სხეულს, იცოდეს სიმღერა, ეცემა, იყოს განათლებული და თავიანთ შინაგანი ცეცხლით ასახავდეს ქართველი კაცის მოძრაობის რიტმს. სწორედ ეს იდეა დაუდო საფუძვლად ს. ახმეტელმა სპექტაკლებს „ანზორსა“ და „ლამარას“. მათში რეჟისორმა სცადა გამოეჩნოდა ძველ სცენურ ფორმას და შეექმნა კოლექტიური თეატრი. ამით აიხსნება, რომ ს. ახმეტელს მწვავედ აწუხებდა რეპერტუარის საკითხი. იგი მოითხოვდა, რომ რეპერტუარში წამყვანი ადგილი დასთმობოდა თანამედროვეობის ამსახველ პიესას, რომელიც გვიჩვენებდა თანამედროვე ადამიანს, მის გმირულ სულისკვეთებას. ამავე დროს ს. ახმეტელი თავგამოდებით იბრძოდა ქართული ორიგინალური რეპერტუარის შესაქმნელად. იგი ამბობდა, რომ ქართული თეატრი არ შეიძლება იყოს ეროვნული დროშის მატარებელი, თუ მას არ ექნება კარგი ქართული პიესები. ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნდა თეატრის ირგვლივ დარაზმულიყვნენ ქართველი მწერლები და შეექმნათ ჩვენი ცხოვრების ამსახველი დრამატურგიული ნაწარმოებები.

ს. ახმეტელი, შეიძლება ითქვას, დღე და ღამე ასწორებდა, რომ ფრთები შეესხა თავისი ოცნებისათვის, შეექმნა

გმირულ-რომანტიკული ქართული თეატრი. ეს ოცნება მან მართლაც შეძლო რეალობად. რუსთაველის სახელობის თეატრმა სახელი გაითქვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორს, საზღვარგარეთაც. ვისაც უნახავს ახმეტელის „ანზორი“, „ლამარა“, „რღვევა“, „ინ ტარანოს“ და სხვ. მას ღრმად ექნება აღბეჭდილი დიდი ქართველი რეჟისორის გასაოცარი სცენური თეატრობა. თანამედროვე შეიძლება ითქვას, რომ ეს სპექტაკლები შედევრი იყო მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებაში.

პირადად მე ახმეტელის დადგმებს გავეცანი 1932 წლის ზაფხულში, როცა ბათუმის აკადემიური თეატრის შენობაში (სადაც თეატრის ახალი ნაგებობაა) გაიმართა რუსთაველის თეატრის გასტროლები. ეს გასტროლები იმდენად დიდი მოვლენა იყო აჭარის კულტურულ ცხოვრებაში, რომ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი აზრს, ბათუმს რომ საკუთარი დასი ჰყოლოდა.

და აი აქედან იწყება მსახიობთა იმ შემოქმედებითი კოლექტივის ისტორია, რომელიც დღესაც მოღვაწიობს ბათუმის თეატრში, ხოლო ზოგი მათგანის სახელი სამართლიანად შევიდა ქართული სცენის გამოჩენილ ოსტატთა კრებულში. რამდენადაც ამ კოლექტივში მეც შევიდი, მინდა გავიხსენო ზოგიერთი რამ, გადავშალო წარსულის ფურცლები.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ბათუმში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს წამოიჭრა აზრი, რომ ჩვენს ქალაქს ჰყოლოდა საკუთარი მუდმივი დასი. ახმეტელმა იკისრა ახალგაზრდა მსახიობთა აღზრდა-დაოსტატება და იმავე წელს პირველი ნაკადი აჭარელი ახალგაზრდობისა რუსთაველის თეატრის სტუდიაში გაემგზავრა. მათ შორის იყვნენ ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე, ი. კაკიაკიშვილი, ნ. ფხაკაძე, ო. ხალვაში, გ. კობახიძე და სხვები. პირველსავე საზაფხულო არდადეგებზე ისინი კვლავ გამოჩნდნენ ბათუმში. მათთან საუბარში აშკარად იგრძნობოდა, რომ დავალებული ჰქონ-

დათ აქტიური აგიტაცია გაეწიათ ახალგაზრდობაში, რათა აჭარის სექცია შეესებულებოდა ახალი კადრებით.

1933 წლის 20 აგვისტოს ახლანდელი განათლების სამინისტროს კარებთან შემხვედა აწ განსვენებული მსახიობი ესეიდეს ბათუმში ჩამოვიდა რუსთაველის თეატრის დიდი არტისტი და აგროვებს ახალგაზრდობას სტუდიაში ჩააარცხავად? თუ სურვილი გაქვს, განცხადება შეიტანე, მეც მივდივარო. მიუხედავად იმისა, რომ არტისტობაზე არასოდეს მიფიქრია, რატომღაც აღმეძრა სურვილი მომხვდარიყავი ახალგაზრდობის ამ ჯგუფში. ამა, ალბათ, ხელი შეუწყო იმანაც, რომ იუსუფ კობალაძესა და მურად ხინიკაძეს ყოველდღიური აგიტაციით უკვე „დამუშავებული“ ვყავდი. და აი მეორე დღეს მე და ჩემი რამდენიმე ამხანაგი: ე. ცივაძე, ნ. თეთრაძე, ლ. აფხაზა, ა. სარჯველაძე გამოცხადდით მუსიკალური სასწავლებლის ძველ შენობაში, სადაც ამოწმდნენ, ვის როგორი სცენური მონაცემები ჰქონდა.

გამოცდაზე მესამედ გამომიძახეს მე ჩემი „ორიგინალური“ ჩაცმულობით — „გალიფე“ შარვალი, წულები, შავი ხალათი მხარზე ჩაკერებული ღილებით — და მოშვებული შავი წვერით. ერთი სიტყვით, ნამდვილ ყაჩაღს ვგავდი. დარბაზში შესვლისთანავე მომესალმა ჩემთვის უცხო სტუმარი, გამოცდების ხელმძღვანელი აკაკი ვასაძე, ამჟამად სსრ კავშირის სახალხო არტისტი. პირველი დავალება — მუსიკის რიტმზე ამეწყო ნაბიჯები, ადვილად დავძლიე. მეორე იყო ამოცანა: ვიღაც იხრჩობა ზღვაში. მე ვდგავარ ზღვის სპირას და მესმის განწირულის ყვირილი. საჭირო იყო სცენურად გამეთამაშა, როგორ მივეშველებოდი წყალწაღებულს. ამოცანა ძალზე საინტერესო იყო, მაგრამ მის შესრულებას სცენური გამოცდილება სჭირდებოდა, მე კი სცენაზე ფეხი არ დამედგა. ამიტომ ბევრი აღარ მიფიქრია, შემოვივლიჯე ტანზე ხალათი და, თითქმის მართლა წყალში გადავეშვიო, გავიშვლართე პარკეტის იატაკზე, ალა-

მიანის ნაცვლად ნაპირზე გამოვათრიე სკამი და ჩავუტარე „პროფილაქტიკური ღონისძიება“, აი ისეთი, როგორსაც დამხრჩველადამიანებს უტარებენ. საგამოცდო კომისიის წევრებმა გულიანად გადაიხარხარეს. ამით დამთავრდა ჩემი გამოცდა. გარეთ რომ გამოვედი, ამხანაგები მილოცავდნენ, მაგრამ ჩავირიცხებოდი თუ არა სტუდიაში, ეს ჯერ კიდევ არ ვიცოდი. გავიდა ოთხი დღე და გავიგე, რომ უკვე სტუდელი ვიყავი.

ხუთ სექტემბერს რუსთაველის თეატრში მოვისმინეთ პირველი საუბარი, რომელიც ჩავვიტარა ნიჭიერმა მსახიობმა ვანო ლალიძემ. მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, ჩვენთან შემოვიდა ვიღაც ახოვანი თმახუტუტა ჩიბუხიანი კაცი და გვესაუბრა თემაზე „რუსთაველის თეატრი და მისი შემოქმედება“. ეს იყო ყველა-სათვის საყვარელი და ჩვენთვის მუდამ დაუფიქსარი სანდრო ახმეტელი.

ჩვენ პირველი დღიდანვე ვიგრძენით ს. ახმეტელის დიდი სითბო და განსაკუთრებული სიყვარული აჭარის სექციისადმი. გარდა იმისა, რომ გვიკითხავდა ლექციებს მეთოდოლოგიაში, იგი ენერგიას არ ზოგავდა, რომ აჭარას ჰყოლოდა საკუთარი ნიჭიერი დასი, რომელსაც შემოქმედებით მეთვალყურეობას გაუწევდა რუსთაველის თეატრი. იგი იყო აგრეთვე ბათუმში თეატრის ახალი შენობის აგების ინიციატორი.

სანდრო ახმეტელი არა მარტო დიდი რეჟისორი იყო, არამედ მაღალი ადამიანურ-მოქალაქეობრივი ღირსებებითაც გამოირჩეოდა.

მახსოვს, ახმეტელს დამაბეზღეს, ზორბეგი დანას ატარებსო. მიდიოდა სექტაკლი გ. შატერაშვილის „ღუშმანი“. მსახიობთა ოთახში ვიჯექი და გრიმს ვიკეთებდი. ვიღაცამ კარი შემოაღო (მე ყურადღება არ მიმიქცევია), ზურგიდან მოვიდა ჩემთან და ყურები ამიწია. მე მეგონა, მსახიობი სარჯველაძე მეხუმრებოდა და შევეუყვირე. მოსულს გაეცინა და თავზე ხელი გადამისვა. ძალიან შემრცხვა, როცა დავინახე, რომ ჩემს წინ ახმეტელი იდგა. იგი ღიმილით შემეკითხა, რამდენი

დანა გაქვსო. რა მექნა, არ ვიცოდი — მოულოდნელმა შეკითხვამ კიდევ უფრო დამაბნია. ხეალ დილით დანა კაბინეტში მომიტანე, შენ ის კარგს არაფერს შევამთხვევსო. მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, ახმეტელი კაბინეტში იჯდა და პიესას „ინტერვენცია“ აწერებდა. შევადე კარი, მივედი მასთან ახლოს და მაგიდაზე ორი ბეჭუთი დავუღაგე. მან სიცილი ვერ შეიკავა. შენ ყაჩაღობა გაინტერესებს, თუ მსახიობობა? მსახიობობა-მეთქი. ხელი ჩამომართვა და გამაფრთხილა, დღიდან კარგი სტუდიელი უნდა იყო. ეს ჩატყევი და მისი ღიმილი ისე მახსოვს, თითქოს ახმეტელი აი ამ წუთს მელაპარაკებოდეს. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო სცენაზე ენახა თავისი აღზრდილები, მაგრამ ვისაც უნახავს ბათუმის თეატრის მსახიობები, რომლებიც რუსთაველის თეატრის სტუდიაში აღიზარდნენ, მათ თამაშში მაშინვე იგრძნობს სანდროსეულ ცეცხლსა და შემოქმედებით მანერას. და განა მართო ჩვენდამი იყო იგი ასე მზრუნველი და ყურადღებანი?

მიუხედავად დიდი ჰუმანიზმისა და ადამიანის ფანტიკური სიყვარულისა, ს. ახმეტელი საქმეში იყო სასტიკი და ძალზე მკაცრი მომთხოვნი. მისი რეპეტიციები ნამდვილი თეატრალური სკოლა იყო და არასოდეს არ ყოფილა მოსაწყენი. ახმეტელის თვითმული რეპეტიცია იყო რუსთაველის თეატრის კოლექტივის ახალი შემოქმედებითი ნაბიჯი.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ რეპეტიცია დილაზე გაგრძელდებოდა, მაგრამ სპექტაკლის მოწაწილე ვერცერთ მსახიობს დადლილობას ვერ შეამჩნევდით. პირიქით, შემოქმედებითი ცეცხლი მაშინ ღვივდებოდა, როცა დამენათევ ცას დილის სილურჯე დაჰკრავდა. ახმეტელში იგრძნობოდა რაღაც საკვირველი ძალა, მონუმენტალობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველა შემოქმედი — დიდი თუ პატარა დიპლომანისა ქედს იხრიდა მისი რეჟისორული ნიჭის წინაშე.

მახსოვს კიდევ ახმეტელთან შეხვედრის ერთი პატარა ეპიზოდი.

რუსთაველის თეატრის სეზონი დასრულდა იყო. მე მშობლიურ ბათუმში ვიყავი. გავიგე, რომ ახმეტელი ქობულეთის ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში ჩამოსულა ოჯახით. მეორე დღესვე, დილით, წავედი მის სახანჯად. როდესაც კორპუსში მივედი და ახმეტელი მოვიკითხე, ოთახიდან გამოვიდა მისი მეუღლე თამარ წულუკიძე. კარგად მიმიღო. თვითონ ახმეტელი, თურმე, პლაჟზე ისვენებდა. ჩემს ალარ შევაწუხე. რამდენიმე წუთის შემდეგ თვითონ ამოვიდა ბაღში. გადავეხვიე და გადავკოცნე. ამ დროს იგი რუსთაველის თეატრში აღარ მუშაობდა. მთელი დღე ერთად ვიყავით ნაძვანარში. იგი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა რუსთაველის თეატრზე. მის ძლიერ კოლექტივზე, ქართული თეატრის პერსპექტივებზე, ქართული დრამატურგიის ზრდაზე. ასევე ბევრი მესაუბრა ბათუმში მომავალი თეატრის შესახებაც. მე ვახსენე დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. მან თითქმის ერთი საათი მესაუბრა მარჯანიშვილის შემოქმედებაზე, მის უბადლო რეჟისორულ ტალანტზე და ბოლოს, სინანულით დასიძინა: მარჯანიშვილის დაკარგვა საბჭოთა თეატრის უდიდესი და აუნაზღაურებელი დანაკლისია. ის, ვინც ავრცელებს ხმებს, თითქოს ჩემსა და კოტეს შორის ცუდი დამოკიდებულება იყო, იგი ქართული თეატრის მტერია. კოტე მარჯანიშვილი იყო და რჩება ჩემს მსწავლელად. მას რომ ეცოცხლა, უფრო დიდი ვიქნებოდიო. მართლაც, მე ვიყავი ცოცხალი მოწამე, როდესაც ახმეტელი თითქმის ყოველ ლექციაზე დიდი სიყვარულით იგონებდა მარჯანიშვილს.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ჩავედი ქობულეთში და ახმეტელი გავაცილე თბილისის მატარებელზე. ვაგზლის ბაჟანზე იგი შეხვდა მწერალ ელიზბარ ზედგინიძეს, რომელსაც თითქმის მატარებლის მოსვლამდე ესაუბრა ქართული დრამატურგიის განვითარების პრობლემებზე. ეს საკითხი ახმეტელს ძლიერ აწუხებდა.

სანდრო ახმეტელი რომ დიდი და კე-

თიღობილი მოქალაქე იყო, ამას ისიც
ნათლად მოწმობს, რომ ერთ-ერთი რეპე-
ტიციის დროს გული წაუვიდა სტუდიელ
მანაშერაშვილს. ახმეტელის ყურამდე მი-
აღწია, რომ სტუდიელს ეს მოუვიდა ეკო-
ნომიური ხელმოკლეობის გამო. ახმეტე-
ლმა მაშინვე გასცა განკარგულება — მა-
ნაშერაშვილს ჩემი ხელფასიდან დახმა-
რების სახით მიეცით ათასი მანეთით.
მსგავსი შემთხვევები სრულიადაც არ ყო-
ფილა გამონაკლისი. ახმეტელის აღზრდი-
ლებს შეუძლიათ ბევრი ასეთი ეპიზოდი
გაიხსენონ.

ერთი სიტყვით, ახმეტელის მთელი
ცხოვრება არა მარტო მისი ღრმა შემო-

ქმედებითი ტალანტით განისაზღვრებოდა, არა-
და—იგი იყო დიდი მოქალაქეც, რომელ-
საც უაღრესად უყვარდა ადამიანი, ხალ-
ხი და სწორედ ეს იყო მისი უმთავრესი
ღირსება.

მიმდინარე წლის 13 აპრილს მადლიე-
რი ქართველი ხალხი დიდი სიყვარული-
თა და პატივისცემის გრძნობით აღწა-
შნავს გამოჩენილი ნოვატორი რეჟისო-
რის სანდრო ახმეტელის დაბადების ოთ-
ხმოცი წლისთავს. მისი სახელი მარად
უკვდავი იქნება, როგორც ქართული თე-
ატრის რეფორმატორისა და ეროვნული
თეატრის გამოჩენილი მოღვაწისა.



გვერდი გვერდი

ჭ ი ბ ო ნ ი

აჭარაში გავრცელებულ ხალხურ საკრავთაგან ჭიბონს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი უძველესი ხალხური ინსტრუმენტია.

მეჭიბონეები დადიოდნენ სოფელ-სოფელ, კარდაკარ და თავის ლექსებს, ლეგენდებს, ექსპრომტებს დაჰლიდნენ.

დღესაც აჭარის მაღალმთიან სოფლებში ჭიბონი საყვარელი საკრავია. მასზე განსაცვიფრებელი ოსტატობით უკრავენ განსაკუთრებით ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. ხიხაძირელთა დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ჭიბონის აღდგენა და გავრცელება.

ჭიბონი ჩასაბერ ხალხურ საკრავთა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი გუდასტვირისებურია.

ჭიბონი შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან — გუდისა და სალა-მურებისაგან.

გუდა მზადდება ნეზვი ცხვრის ტყავისაგან, რადგან მისი ტყავი მაგარი და გამძლეა. ცხვარს რომ გაატყავებენ, მაშინვე ბეწვს აცლიან, გადმოაბრუნებენ, ჩაყრიან შიგ თივას და ჩრდილში დაჰკიდებენ. მარილს არ აყრიან. რამდენიმე კვირის შემდეგ გუდა გახმება. მერე იმდენხანს სრესენ. სანამ არ დარბილდება. ბოლოს კისერში და ქვედა ნაწილში მაგრად მოუჭერენ გასანთლულ თოკს.

საკრავის მეორე ნაწილია დიდ-გულსაგან დამზადებული ერთნაირი სიდიდის ორმაგი დედანი (ანუ სალამური). იგი ერთი ბოლოთი ჩადგმულია ქარასაში (ხარის ან ძროხის რქაში), რომელიც ოდნავ მოხრილია. თვითონ ქარასა მოჭედილია ბრჭყვიალა თვლებით. მარცხენა დედანზე ხუთი თვალია, მარჯვენაზე — სამი. მეჭიბონე გუდას ჩაჰბერავს, გაბერილ გუდი-

დან ამოსული ჰაერის ნაკადი და დედანი (თვალზე თითის დაჭერით) ხანგრძლივი ჟღერადობის თავისებური ტემბრის ბგერას გამოსცემენ. ჭიბონი აწყობილია სეკუნდებით და ორხმიან აკომპანემენტს იძლევა.

ჭიბონის წყობა შემდეგნაირია: — მარცხენა დედანი — მი-ბე-მოლ, ფა, სოლ, ლა-ბემოლ, სი-ბემოლ, დო. მარჯვენა დედანი კი: მი-ბემოლ, ფა, სოლ, ლა-ბემოლ.*

ჭიბონზე შესრულებული სიმღერები ერთ გარკვეულ ფორმაშია ჩამწყვედული, რომელიც ამა თუ იმ ლექსის შესაბამისად ოდნავ იცვლის თავის სახეს რიტმისა და ინტონაციის მხრივ. მეჭიბონეთა სიმღერებს უფრო მეტად რეჩიტატიული, თხრობითი ხასიათი აქვს, რომელსაც წინ ჭიბონის შესავალი ხმა უძღვის, შემდეგ მიდის ტექსტი, კუპლეტებს შორის კი მუსიკალური შესვენება და ა. შ. მეჭიბონეთათვის დამახასიათებელია ექსპრომტი.

ჭიბონზე მეტწილად ასრულებენ აჭარულ საცეკვაო ჰანგებს: „განდაგანას“, „მხარულს“, „ხორუმს“, „ლაზურს“, „ფერხულს“, „ოჰოი ნანოს“, „გადახვეულ ხორუმს“ და სხვ. ჭიბონის ჰანგებს უმეტესად დოლი ახლავს.

* ვ. ახოზაძე, „ქართული ხალხური სიმღერები“ 1961 წელი, გვ. 34.


თავდაპირველად ჭიბონი სულ უბრალო აღნაგობისა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მას თანდათან შეუცვალეს სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ჩასაბერი მილი და დედნები, რის შედეგადაც რამდენადმე გააუმჯობესეს იგი. დღესაც ხიხაძირში ახსოვთ ჭიბონის მკეთებელი ოსტატები: ხ. აბაშიძე, ხ. ლომსანიძე, ს. ხალვაში, მ. სურმანიძე და სხვ. ამ ოსტატთა შორის ყველაზე გამოჩენილი ხელოს აბაშიძე გახლდათ, რომელმაც ედემ სურმანიძეს (ქოჩახელას) ასწავლა ჭიბონის დამზადება და მასზე დაკვრაც. ზემო აჭარაში იყვნენ სხვა მოხუცი ოსტატებიც.

მეჭიბონეობა ყველას არ შეუძლია, იგი უნდა იყოს მომღერალი, კარგი მთქმელი, საუკეთესო სმენისა და რიტმის მფლობელი.

ამ მხრივ აღსანიშნავია ედემ სურმანიძე (ქოჩახელა). ჭიბონზე დაკვრით მან გამოავლინა აჭარული ხალხური მოტივების ღრმა ცოდნა, სასიმღერო და საცეკვაო რეპერტუარის სიმდიდრე და შესრულების სიზუსტე.

ჭიბონს საქართველოს ფარგლებს გარეთაც იცნობენ. მისი ჟღერადობა არა მარტო უბრალო მაყურებლის, არამედ ბევრი მუსიკოსის ყურადღებასაც იპყრობს.





პარმენ სქვიგარია

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების ღამკვიდეებისათვის ბრძოლის ისტორიიდან

მას შემდეგ, რაც აჭარის მშრომელებმა კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს, დღის წესრიგში დაისვა მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხი. საქმე ის იყო, რომ დამხობილი კლასები და მათი პარტიები, საერთაშორისო იმპერიალიზმის წაქეზებითა და დახმარებით, ყოველნაირად ცდილობდნენ ბურჟუაზიისა და მემამულეთა ძალაუფლების აღდგენას. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს — რევკომებს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თავიდანვე დაძაბული ბრძოლა დასჭირდათ კონტრრევოლუციური ძალების განადგურებისათვის.

1921 წლის პირველ ნახევარში ამ

ბრძოლას, განსაზღვრული გაგებით, კიდევ არ ჰქონდა სრული შეტევითი ხასიათი, რაც განაპირობა ზოგიერთმა გარემოებამ. მათ შორის მთავარი ის იყო, რომ ჯერ ერთი, ანგარიში უნდა გასწეოდა მოსახლეობის ყოფის, რელიგიისა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ თავისებურებას. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობამ ბათუმის ოლქის მეჯლისი ოფიციალურად გამოაცხადა აჭარაში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. ამ უკანასკნელმა გარემოებამ განსაკუთრებით გააძნელა საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება-განმტკიცებისათვის ბრძოლა. კერძოდ, მეორე მეჯლისი, რომელიც მუშაობას 1921 წლის 6 ივნისიდან შეუდგა, აჭარაში რეაქციული ძალების დასაყრდენი ცენტრი გახდა.

უფრო მეტიც, იგი თავიდანვე და-
უშვავშირდა საერთაშორისო იმპე-
რიალიზმის აგენტებს და მათი
მეშვეობით გადამთიელ იმპერია-
ლისტებს აჭარაში ეპატიყდებოდა.
ამ გზით ცდილობდნენ გლეხობაზე
თავისი ბატონობის შენარჩუნებას
რეაქციონერი აღაბეგები და ხო-
ჯა-მოღებები.

რეაქციული ძალების წინააღმ-
დეგ ბრძოლაზე უარყოფითად
იმოქმედა იმ გარემოებამაც, რომ
აჭარის პარტიულ ორგანიზაციას
საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა თა-
ვისი რიგების აღდგენისა და გან-
მტკიცებისათვის, ღარიბ გლეხთა
მასებში პოლიტიკური და ორგანი-
ზატორული მუშაობის ფართოდ
გავრცელებისათვის. არც ის უნდა დავი-
ვიწყოთ, რომ ბათუმის საოლქო პა-
რტიული კომიტეტისა და რევკო-
მის ხელმძღვანელობის შემად-
გენლობაში აღმოჩნდნენ ისე-
თი ამხანაგები, რომლებიც გა-
რკვეული მოსაზრებით ნაჩქარე-
ვად თვლიდნენ რეაქციული ძალე-
ბის წინააღმდეგ მტკიცე შეტევის
პოლიტიკას. ამით სარგებლობდნენ
ბეგები, ხოჯები და მათი ინტერე-
სების დამცველი მეჯლისი, რომე-
ლსაც ხალხმა სამართლიანად „შა-
ვი მეჯლისი“ უწოდა, და საბოტაჟს
უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლე-
ბის აღვილობრივი ორგანოების
ღონისძიებებს.

ძირფესვიანი გარდატეხა საბჭო-
თა ხელისუფლების შენარჩუნები-
სა და განმტკიცებისათვის ბრძო-
ლაში დაიწყო 1921 წლის ივლისი-
დან. აჭარის პარტიული ორგანიზა-

ციის პირველმა კონფერენციამ
რომელიც 1921 წლის ივლისის და-
მდგეს გაიმართა, დასახა აჭარის
რაიონებში პოლიტიკური და ორ-
განიზატორული მუშაობის ფართო
ღონისძიებანი,¹ რომელთა განხორ-
ციელებასაც ენერგიულად შეუდ-
გა პარტიის საოლქო კომიტეტის
ახალი ხელმძღვანელობა (ს. გუ-
ბელი, ი. პეცოვი, გ. რამიშვილი,
კ. თავბერიძე, ა. გოჩელიშვილი,
ნ. ანასტასიადი და სხვ.). სოფლად
პოლიტიკურ - ორგანიზატორულ
მუშაობაში განსაკუთრებით მკვე-
თრი გარდატეხა მოხდა ბათუმის
ოლქის რევკომის ხელმძღვანე-
ლობის შეცვლის შემდეგ. რევკო-
მის ახალი თავმჯდომარის ა. გ. ღამ-
ბაროვის ხელმძღვანელობით ზედ-
მეტი სიფრთხილისა და დროები-
თი დათმობის პოლიტიკა ბეგებისა
და მათი ინტერესების დამცველი
მეჯლისის წინააღმდეგ გაბედული
შეტევის პოლიტიკით შეიცვალა,
რაც სავსებით შეესაბამებოდა სა-
ქართველოს კომპარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტისა და საქართვე-
ლოს რევკომის ერთობლივ გადაწ-
ყვეტილებას აჭარაში საბჭოთა ხე-
ლისუფლების დამკვიდრებისათვის
ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა მეორე მეჯლისის
(„შავი მეჯლისის“) ძირგამომთხრე-
ლი საქმიანობის მხილებას და მის
პოლიტიკურ იზოლაციას. ეს მეჯ-

¹ პარტიის აჭარის საოლქო კომიტე-
ტის არქივი, ფ. 1, ს. 8, ფურც. 3-4.

ლისი მისი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრის, იმპერიალიზმის გაქნილი აგენტის ბ. აბუსერიძის მეთაურობით ცდილობდა დანარჩენი საქართველოსაგან აჭარის სრულ მოწყვეტას და თურქეთთან შეერთებას, მაგრამ თუ ეს გერ მოხერხდებოდა, მაშინ უმჯობესად მიაჩნდა მისი რსფს რესპუბლიკაში შესვლა.²

1921 წლის ივლისიდან საოლქო პარტიული ორგანიზაციისა და რევკომის ხელმძღვანელობით მთელ აჭარაში ღარიბ გლეხთა დიდი მასობრივი მოძრაობა აზვირთდა და დაიწყო ფუხარა (ღარიბ) გლეხთა კომიტეტების შექმნა. ეს მოძრაობა მიმართული იყო „შავი მეჯლისისა“ და მის გარშემო დარაზმული რეაქციული ძალების წინააღმდეგ: ღარიბ გლეხთა კომიტეტები მთელ რიგ ადგილებში ცვლიდნენ ბეგურ რევკომებს და ახორციელებდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბათუმის სახელმძღვანელო პროლეტარიატის დახმარება ღარიბი გლეხობისადმი — ბათუმელი მუშეები თვითონ იკლებდნენ და აჭარის ღარიბ და უღარიბეს გლეხებს ეხმარებოდნენ სურსათითა და მანუფაქტურით.

ამ დიდ მასობრივ მოძრაობას მალე შესანიშნავი შედეგები მოჰყვა — ღარიბი გლეხობა თანდათანობით ჩამოსცილდა მემამულეთა

გავლენას და რეაქციული ძალები წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო დასაყრდენი გახდა.

აჭარის ღარიბ გლეხთა ცხოვრებაში მომხდარი ძირეული გარდატეხის შესახებ რევკომის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „1921 წლის 18 აგვისტო... ახალი ერის დასაწყისად ჩითვლება აჭარის ისტორიაში. ამ დღეს ვამოწმებდით, გამოცდას ვუტარებდით აჭარის ღარიბ გლეხობას. ხულოში, სადაც წინათ გამოჩენასაც ვერ ვბედავდით, ჩვენი ხელმძღვანელობით გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. ამ მიტინგზე ნათლად დავინახეთ, რომ დაწყებული მუშაობა დამთავრდა კოლსალური წარმატებით. თუ წინათ მდგომარეობის ბატონ-პატრონი ბეგი ხალხის სახელით ლაპარაკობდა, ხოლო დაშინებული ღარიბი გლეხობა მას თანხმობას უცხადებდა... ახლა ღარიბი გლეხობა თვითონ ალაპარაკდა და... პირველად გამოვიდა იმავე ბეგების წინააღმდეგ. წარმატება კოლსალურია“.³

მიტინგმა მოითხოვა ხულოს ბეგური რევკომის დაშლა და დროებითი რევოლუციური ორგანოს შექმნა შვიდი კაცის შემადგენლობით.⁴

1921 წლის სექტემბრისათვის ზემო აჭარის ღარიბ გლეხთა მოძ-

³ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. 1, ს. 40, ფურც. 2.

⁴ ბათუმის გაზ. „იზვესტია“, № 135-1921 წ., 31 აგვისტო.

² პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. 1, ს. 14, ფურც. 5.

რომამ არნახული გაქანება მიიღო და დამთავრდა ხულოს ბეგურის რეევომის დამხობითა და მთელი ძალაუფლების ღარიბ გლეხთა კომიტეტის ხელში გადასვლით. 8 სექტემბერს გლეხებმა ხელთ იგდეს ბეგური რეევომის ბინა, სადაც მაშინ ბეგების სხდომა მიმდინარეობდა, გარეკეს რეევომის მთელი შემადგენლობა და შენობაზე წითელი დროშა აღმართეს. გარდა ამისა, გლეხებმა თანამდებობიდან მოხსნეს რაიონული მილიციის უფროსი და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ფარულ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

ანალოგიური მოვლენები აღინიშნა მთელ აჭარაში.

ფუხარა გლეხთა მოძრაობაში მეორე დიდ მოვლენას წარმოადგენდა 1921 წლის 2 სექტემბერს ქ. ბათუმში გამართული გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც მუშებთან ერთად დიდძალი ღარიბი გლეხობაც ესწრებოდა. მიტინგმა წამოაყენა ლოზუნგები: „ძირს ბეგები!“, „მთელი ძალაუფლება მშრომელ ხალხს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ და მიიღო რეზოლუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებდა მეჯლისს და მოითხოვდა მთელი ძალაუფლების გადაცემას რეევომის ხელში.⁵

ღარიბ გლეხთა მასობრივმა მო-

ძრაობამ „შავ მეჯლისს“ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა. მეჯლისი იძულებული გახდა უკან დაეხია და დათმობაზე წასულიყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, 1921 წლის 31 აგვისტოს, ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ მეჯლისის, ღარიბ გლეხთა კომიტეტებისა და ბათუმის პროლეტარიატის დელეგაციები. მოლაპარაკება პოლიტიკური მდგომარეობის ნორმალიზაციისა და ძალაუფლების საკითხის შესახებ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა და დამთავრდა კომპრომისული შეთანხმებით, რომლის მიხედვით პარიტეტულ საფუძველზე იქმნებოდა აჭარის დროებითი რეევომი ცხრა კაცის შემადგენლობით. რეევომის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ მეჯლისის სამი წარმომადგენელი — ხ. ლორთქიფანიძე, ზ. ხარაზი და მ. კონცელიძე, ღარიბ გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლები — ჯ. ფალავა, ზ. ლორთქიფანიძე და ხ. ბერიძე, ბათუმის პროლეტარიატის წარმომადგენლები, კომუნისტები — ა. ლამბაროვი, კ. საჩაია და თ. ჟღენტი.⁶

ამიერიდან მთელი ძალაუფლება „შავი მეჯლისის“ ხელიდან დროებითი რეევომის ხელში გადავიდა. მართალია, დროებითი რეე-

⁵ გაზ. „იზვესტია“, № 139, 1921 წ., 4 სექტემბერი.

⁶ გაზ. „იზვესტია“, № 145, 1921 წ., 11 სექტემბერი.

კომის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, არჩეულ იქნა მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე ხ. ლორთქიფანიძე, მაგრამ სამაგიეროდ პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ ცნობილი კომუნისტები ა. ლამბაროვი (პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე), კ. საჯაია და თ. ჟღენტი, აგრეთვე ღარიბ გლეხთა დროებითი ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ხ. ბერიძე.

ერთი შეხედვით, ხელისუფლების ახალ უმაღლეს ორგანოს აჭარაში „შავი მეჯლისის“ ყოფილი თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა, მაგრამ ფაქტიურად რევკომის მთელ საქმიანობას ა. ლამბაროვი, კ. საჯაია და თ. ჟღენტი წარმართავდნენ. ამრიგად, ბეგებმა და სხვა რეაქციულმა ელემენტებმა წინანდელი პრივილეგიები და ძალაუფლება დაკარგეს, რასაც თავისთავად ცხადია, ვერ შეეგუებოდნენ. ამიტომ მეჯლისის უკიდურესი რეაქციონერი დეპუტატების ხელმძღვანელობით ბეგებმა სცადეს აჯანყების მოწყობა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამ მიზნით ისინი თურქეთის რეაქციულ წრეებსაც დაუკავშირდნენ, მაგრამ მათი ცდა მარცხით დამთავრდა — ღარიბმა გლეხობამ ბეგებს მხარი არ დაუჭირა.

1921 წლის 24 სექტემბერს აჭარის დროებითმა რევკომმა მუშებსა და გლეხებს მოწოდებით მიმართა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფ-

ლების არსებობის ნახევარიწევრიანი შედეგების შეჯამება და მომავალი მუშაობის გაშლილი პროგრამა. მიმართვა მთავრდებოდა სიტყვებით:

თქვენ მოვმართავთ, ძვირფასო ამხანაგებო, გასწორდეთ წელში — მრისხანე ძალად შემჭიდროვდეთ ახალი მთავრობის გარშემო და მხარი დაუჭიროთ მას თქვენ ნდობითა და ავტორიტეტით!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ავტონომიურ აჭარას! ძირს ბურჟუაზია, ბეგები და მემამულეები!

ფაბრიკები და ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხებს!⁷

პარიტეტულ საფუძველზე ახალი დროებითი რევკომის შექმნისა და მთელი ძალაუფლების მისთვის გადაცემის შემდეგ მეჯლისმა გლეხობის თვალში ყოველგვარი პოლიტიკური წონა დაკარგა. ხოლო ხულოსა და ქედის ბეგური რაიონული რევკომების გადარჩევის შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში მკვეთრად შეიცვალა. ღარიბმა გლეხობამ თავისუფლად ამოისუნთქა და კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი მშრომელ მასებში. ამის შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: ქედისა და ხულოს რევკომების შეცვლის შემდეგ მოსახლეობამ სხვა თვალთ დაუწყო ცქერა საბჭოთა ხელისუფლებას. გლეხობამ თანდათანობით შეიგნო ის ჭეშმარიტ-

7. გაზ. „იზვესტია“, № 155, 1921 წ. 24 სექტემბერი.

ბა, რომ მისი ერთადერთი დამცველი არის საბჭოთა ხელისუფლება. ამიტომ მოსახლეობის უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლებას ნდობითა და სიმპათიით ეკიდება. ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა ბათუმის ოლქში მალე კიდევ უფრო მყარი და მტკიცე იქნებაო.⁸

1921 წლის ოქტომბერში დიდი მუშაობა გაიშალა აჭარის ღარიბ გლეხთა ყრილობის მოწვევისათვის. ოლქი გაყოფილ იქნა ოთხ რაიონად და თვითეულ მათგანს მიამაგრეს პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები — საოლქო პარტიული კომიტეტის რწმუნებულები. მათ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ „მუსლიმანი“ კომუნისტები, რომელთაგან განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწიეს შ. აბდიბაძე, მ. გოგიბერიძე, რ. გოგიტიძე, ო. ცენტერაძე, ს. სარჯველაძე და სხვ. ისინი გამოდიოდნენ მოხსენებებით გლეხთა მიტინგებზე. ქმნიდნენ გლეხთა კომიტეტებს, პრაქტიკულად მონაწილეობდნენ მათ საქმიანობაში და ნიადაგს უმზადებდნენ გლეხთა ყრილობას. კმაყოფილი გლეხობა ხშირად ოვაციას უმართავდა მომხსენებლებს. მაგალითად, აჭარისწყლის გლეხთა მიტინგმა ერთსულოვნად

მოიწონა აბდიბაძე და გოგიბერიძის მოხსენება და ოვაცია გაუშვა მათ. ხალხი ერთხმად გაიძახოდა: ვაშა საქართველოს საბჭოთა მთავრობას, ვაშა ფუხარა ხალხის ცენტრალურ კომიტეტს, ვაშა რსფსრ — ჩვენს ბელადს!⁹

ასეთი საზეიმო განწყობილების ვითარებაში, 1921 წლის 7 ნოემბერს ბათუმში გაიხსნა აჭარის გლეხთა პირველი ყრილობა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც მარად დაუვიწყარი მოვლენა. ყრილობის მუშაობამ, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა, უაღრესად საქმიანად ჩაიარა.

ყრილობამ მოითხოვა ფეოდალური გადმონაშთების სასწრაფო ლიკვიდაცია და მემაღლეთა მიწების გადაცემა გლეხებისათვის.

ყრილობამ აირჩია გლეხთა ცენტრალური კომიტეტი 47 კაცის შემადგენლობით, რომელსაც წითელი მეჯლისი ეწოდა. ამით დამთავრდა პოლიტიკურად უფრო ადრე გარდაცვლილი „შავი მეჯლისის“ საბოლოო დასამარება.

ბოლოს, გლეხთა ყრილობამ მისალმება გაუგზავნა დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს.

ამრიგად, ყრილობის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება აჭარაში მკვიდრ ნიადაგზე დადგა.

⁸ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. 1, ს. 14, ფურც. 13.

⁹ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. 1, ს. 13, ფურც. 27.



მთარ თარგმანი

ჩაის სამკანველო ნაგმოების პიონერი

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში ჩაის კულტურა მეტექსმეტე საუკუნეში გახდა ცნობილი ციმბირელი კოლონიზატორების მეშვეობით, რომლებიც ჩინეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. მოსკოვის ბაზარზე კი ჩაი პირველად 1674 წელს გამოჩნდა. პირველ ხანებში იგი ძალიან ნელა ვრცელდებოდა, რადგან ჯერ კიდევ მცირე მომხმარებელი ჰყავდა.

1728 წელს, ჩინეთის მაშინდელ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, სოფელი კიანტა დადგინდა სასაზღვრო პუნქტად, სადაც გაცვლითი ვაჭრობა წარმოებდა. კერძოდ, რუსეთის ნაწარმს აქ ცვლიდნენ ჩაის პროდუქტებაზე. 1861 წელს გაცვლითი ვაჭრობა საბოლოოდ გაუქმდა და ვაჭრებს ნება დართეს ჩაი საზღვაო გზებითაც შემოეტანათ.

ჩაის მოშენება რუსეთში 1833 წელს დაიწყო. ყირიმის ბოტანიკურ ბაღში, უსაავლეთ კავკასიაში

კი ეს კულტურა მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდანაა ცნობილი. კერძოდ, საქართველოში ჩაის კულტურა 1845 წლით თარიღდება.¹ შის გავრცელებას ჩვენში მიაწერენ სოფლის მეურნეობის და მანუფაქტურული მრეწველობის წამახალისებელ საზოგადოებას, რომელიც 1833 წელს დაარსდა. ჩაის ბუჩქი პირველად გაშენდა სოხუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთში, მამია გურიელის ყოფილ ბაღში. საგულისხმოა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877 წელს, გურიელის ბაღი დაიღუპა, გადარჩა მხოლოდ ოცდახუთი ჩაის ბუჩქი, რომელიც ი. მარის რჩევით გადაიტანეს ჩოხატაურის მაზლობლად სოფელ გორაში — თავად მიხეილ ერისთავის მიერ.

1. პ. გუგუშვილი. „ჩაის კულტურის ისტორიისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 1945 წ., ტ. VI, ნაწ. II, გვ. 160).

ვის მამულში. აქ ჩაის ბუჩქმა კარგად გაიხარა, მაგრამ მ. ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა ყურადღება არ მიაქცია პლანტაციას და ბუჩქების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა.

სამრეწველო მნიშვნელობის ჩაის გაშენება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. გამოჩენილმა რუსმა მეცნიერებმა ვოეიკოვმა, ბუტლეროვმა, ზეიდლიცმა, ტიხომიროვმა და სხვ. მთელი რიგი მეცნიერული შრომები მიუძღვნეს ჩაის განვითარების შესაძლებლობას დასავლეთ კავკასიაში.

იაპონიაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, 1878 წელს, ა. ი. ვოეიკოვმა გამოაქვეყნა შრომა, რომელშიც განავითარა აზრი, რომ დასავლეთ კავკასია, კერძოდ, რიონის აუზი თავისი კლიმატური პირობებით ემსგავსება იაპონიას და აქ სუბტროპიკული მეურნეობის განვითარება შესაძლებელია. მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ზეიდლიცის რეფერატმა, რომელიც მან 1884 წელს წაიკითხა პეტერბურგში ბოტანიკისა და მეხილეობის საერთაშორისო კონგრესზე. იგი ამტკიცებდა, რომ დასავლეთ საქართველო, სახელდობრ, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები მეტად ხელსაყრელია ჩაის კულტურის გასაშენებლად¹. ზეიდლიცს გამოეხმაურა გადამდგარი ინჟინერ-პოლკოვ-

ნიკი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სოლოვცოვი, რომელიც პეტერბურგში - თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ თბილისიდან ჩაქვის მახლობლად გადმოსახლდა და აქ 1882 წელს შეიძინა ოცდაათი დესეტინა მიწა. ახლად შეძენილ მამულში მან ხელი მოჰკიდა ჩაის კულტურის მოშენებასაც. ზეიდლიცის დახმარებით, სოლოვცოვმა ჩაის თესლი მიიღო ჩინეთიდან. მართალია, გზაში იგი აღმოცენებულია და ბევრი ზეიგი დაღუპულა, მაგრამ გადარჩენილი ნერგები სოლოვცოვმა მაშინვე დარგო, მათგან აწარმოა თესლი და თ. ვისი სახსრებით ჰეუდგა ჩაის კულტურის მოშენებას.

1889 წელს თბილისში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე ჩაი გამოიტანა მხოლოდ ორმა პირმა — ა. სოლოვცოვმა და ა. ერისთავმა. ერისთავის ჩაის ბუჩქებს ეწერა, რომ იგი დარგული იყო 1840 წელს, სოლოვცოვმა კი გამოაფინა ახალგაზრდა ბუჩქები ყვავილითა და თესლით. საექსპერტო კომისიამ გამარჯვება სოლოვცოვს მიაკუთვნა და გადასცა მას ბრინჯაოს მედალი და ქების ატესტატი.

1891 წელს სოლოვცოვმა ჩაის ბუჩქები პეტერბურგში, მეხილეობის გამოფენაზეც გაგზავნა, მაგრამ იქ დროზე ვერ ჩაიტანეს. მისი თანხმობით იგი პეტერბურგის იმპერატორის ბოტანიკურ ბაღში მიიღეს. ბაღის დირექტორმა რეგელმა სოლოვცოვს აცნობა, რომ ბუჩქებმა მოწონება დაიმსახურა.

¹ საქართველოს ცხია, ფ. 243, ს. 230, ფ. 13-15.

1892 წელს ა. სოლოვცოვმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში რუსეთის ცოცხალ მცენარეთა აკლიმატიზაციის გამოფენაზე, სადაც მისმა ჩაის ბუჩქებმა ვერცხლის მედალი და დიპლომი დაიმსახურა.

1890 წელს სოლოვცოვმა, როგორც თვითონ წერს, პირველად მოსინჯა ჩაის დამზადება. ამ მიზნით მეზალე ლისენკოს მეშვეობით გამოიყენა ზემლერის სახელმძღვანელო და მრავალი წარუმატებლობის შემდეგ მიაღწია სასურველ შედეგს — ქართული ჩაი მეტად გემრიელი, არომატული აღმოჩნდა. ეს იყო ჩაის პირველი ნაწარმი რუსეთის იმპერიაში. მან დიდი მოწონება და გამოხმაურება გამოიწვია.

სოლოვცოვის წარმატებამ ბევრს აღუძრა სურვილი გაჰყოლოდა მის კვალს. 1892 წელს ცნობილმა ჩაის ვაჭარმა კ. პოპოვმა ბათუმის მიდამოებში შეიძინა სამასი დესეტინა მიწა და შეუდგა ჩაის გაშენებას, ხოლო 1894 წელს ხაზინამაც დაიწყო მიწების შეძენა ჩაქვის მიდამოებში მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობის მოსაწყობად.

1893 წლის ბოლოს სოლოვცოვის პლანტაციას ეკავა დაახლოებით ორი დესეტინა, რომელზეც ხარობდა 5.150 ჩაის ბუჩქი. გარდა ამისა, სანერგეში გამზადებული ჰქონდა რვა ათასი ნერგი. ორი წლის შემდეგ მას ესტუმრა ხარკოველი ჩაის ვაჭარი ველიტიჩენკო და დაუდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სოლოვცოვმა

იკისრა შვიდი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციის ფართობი გაზარდა ოთხმოცდაათ დესეტინამდე. ამ მიზნით ველიტიჩენკომ სოლოვცოვს სესხად მისცა სამოცდასამი ათასი მანეთი, რომელიც კრედიტორს უნდა აენაზღაურებინა ჩაის მიყიდვით.

როგორც ზემოთ ვთქვით, ხაზინამ გადაწყვიტა ჩაქვში გაეშენებინა მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობა. 1895 წლის თებერვალში მის შესაქმნელად საზღვარგარეთ გაიგზავნა ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრონომი ი. ნ. კლინგენი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), სნეჟკოვი, სიმონსონი და პროფ. ა. ნ. კრასნოვი. მაგრამ საუფლისწულო მამულების მთავარმა სამმართველომ აღარ დაუცადა ექსპედიციის დაბრუნებას და ჩაქვში დაიწყო ჩაის ბუჩქის გაშენება.

1895 წლის 22 აპრილს საუფლისწულო მამულების მთავარმა სამმართველომ ა. სოლოვცოვთან დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სოლოვცოვს ოც დესეტინაზე უნდა გაეშენებინა ჩაი, დაერგო 120 ათასი ძირი ნერგი. საამისოდ მას სესხად მისცეს ორმოცი ათასი მანეთი, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ კიდევ მიიღებდა რვა ათას მანეთს. სოლოვცოვი ვერ ჩაეტია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მაგრამ ჩაი მაინც დარგო ოც დესეტინაზე (ნაცვლად 1896 წლის აგვისტოსა სამუშაო დაამთავრა

წლის ბოლოს). სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულება — 1896 წლის 21 დეკემბერს იგი გარდაიცვალა.

თავის მამულში სოლოვცოვს ჩაის მწვანე ფოთლის ფაბრიკაციისათვის ჰქონდა ოროთახიანი პატარა შენობა. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ინგლისიდან მან გამოიწერა ჩაის საწნები მანქანა, რომელსაც ხელით ამუშავებდნენ. მისი შვილის ივანე სოლოვცოვის ცნობით, 1897 წლისათვის მათი ჩაის პლანტაციის ფართობი აღწევდა 55 დესეტინამდე. ამ წელს დაამზადეს ხუთი ფუთი პროდუქცია, რომლის ნაწილი მუშავდებოდა ჩინური წესით—ხელით, ნაწილი კი ჩაის საწნები მანქანებით. ჩაის ფაბრიკაციას ხელმძღვანელობდნენ ინგლისელები, რომლებსაც ინდოეთის ჩაის პლანტაციებში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდათ. დამზადებული ჩაი იფუთებოდა ტყვიის ქაღალდებში და ჭაშნიკი ეგზავნებოდა ჩაის ვაჭრებს.

ხელშეკრულების თანახმად სოლოვცოვის ჩაის მთელი პროდუქცია ველიტიჩენკოს მიჰქონდა.

კ. პოპოვის ცნობით, 1898 წელს სოლოვცოვის ჩაის პლანტაციებში მოიწიეს ათი ფუთი ჩაი, 1899 წელს — 250 ფუთი, 1900 წელს—

950, 1901 წელს — 1.400, ხოლო 1902 წელს — 1.700 ფუთი ჩაი.

სოლოვცოვამდე კავკასიაში ჩაის მოყვანის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ. ჩაის ბუჩქები მხოლოდ ცალკეული პირების ბაღების გამწვანებას ემსახურებოდა. რუსეთის იმპერიაში სოლოვცოვმა პირველმა აწარმოა ჩაის სამრეწველო პროდუქცია, პირველმა დაამტკიცა, რომ დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის მიდამოები მეტად ხელსაყრელი იყო ჩაის ბუჩქის გასაშენებლად. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ბათუმის მიდამოებში სწრაფად იზრდებოდა მეჩაიე მეურნეთა რიცხვი და მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობა. თუ 1905 წელს 39 მეურნეს ჰქონდა 380-მდე დესეტინა ჩაის პლანტაცია და აწარმოეს 638.605 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთლი, ათი წლის შემდეგ, 1915 წელს, უკვე 194 მეურნემ 824 დესეტინა ჩაის პლანტაციაში მოკრიფა 1.578.808 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთლი. მათგან ყველაზე მსხვილი მეურნეობები იყო ჩაქვის საუფლისწულო და კ. პოპოვის მამული.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ჩაის კულტურა სწრაფად დამკვიდრდა ბათუმის მიდამოებში. აქ კპოვა მან თავისი მეორე საშობლო.





თეიშუაზუ ქათამაძე

უიღვლო მელა

— პირველ ცოლს ქათმის ძვალი გაეჩხირა ყელში და უდრთოდ გარდაიცვალა, მეორე ცოლ-შვილი კი მივატოვე. — ასე დაიწყო რკინის პატარა ვალიაში მოთავსებულმა ხვადმა მელამ თავისი თავგადასავალი. — სიმაართლე რომ გითხრათ. მე მათი ოირსიც ვიყავი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აღარ დირს, ეს ძველი ამბავია. გაინტერესებთ, როგორ მოვხდი აქ?.. აააა, ოჯახებს ერთი პატარა მდინარე ყოფდა. აქეთ ჩვენ ვსახლობდით, იქით, აგერ ქალბატონი რომ წევს, ამის ოჯახი. — ხვადმა მელამ თათი მეზობელი გალისიკენ გაიშვირა, რომელშიც ბალანგაცევნილ, შიმშილისაგან არაქათგამოცლილ ძე მელას თვალები დაეხუჭა. — ისინი მდიდრები იყვნენ, ჩიტის რძეც არ აკლდათ. ვაღმა ბუჩქნარში სამსართულიანი სორო მქონდათ თავისი სათავსოებით. შიგნით რომ შეხვიდოდით, ისე იყო მოწყობილი. გარეთ გამოსვლას აღარ ისურვებდით. სორო მაღლობზე მქონდათ და სოფელს ზემოდან დაჰყურებდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, მთელი ქვეყანა მაგათ შენატროდა...

მისი ქმარი—გულუყვირელა ულამაზო

ვინმე იყო. გრძელი ცხვირი, მეჩხერი უღვაში. მოკლე წარბები, მოგრძო თავი, ცბიერი, ჭროლა თვალები, მოკლე ტანი და გრძელი ფეხები მქონდა. ერთი სიტყვით, გაგიკვირდებოდა, ასეთ ანგელოზს როგორ დაეპატრონა ასე შეუხედავი კაციო, მაგრამ უცნაურია ბუნების კანონი... ისე კი, დიდი მოხერხებული ვინმე იყო, დღისით თუ ღამით, რა დროსაც არ უნდა წვეოდი, ქათმით, ბატით და ინდაურით გაგიმასპინძლდებოდა. ხელგაშლილი იყო. მე ხშირად ვეხმარებოდი საოჯახო საქმეებში და უმეტესად მათთან ვიყავი. სიმაართლე გითხრათ, მათ ოჯახში სტუმრად არასოდეს ვთვლიდი თავს: უჩემოდ იქ თავგასაც კი არ შეჰამდნენ. ამას ბევრი უსიამოვნებაც სდევდა ზოლმე: ჩემი ცოლი საყვედურით მასწავლებდა—სად დადიხარ, კაციო. განა შენ სახლ-კარი არა გაქვს, სულ სხვასთან რომ ათენ-ალამებ, შეილები შიმშილით ვინდა დახტოიო... მაგრამ მე აინუნშიაც არ ვადებდი ცოლის გამოხდომებს, რასაც ხშირად ისტერიები მოჰყვებოდა ზოლმე... ცილიც კი დამწამა. იმ მეზობელთან იმიტომ დადიხარ, რომ გულუყვირელას ცოლს ეატრკერე-

ბო. გამოგიტყდებით, ეს აზრადაც არ გამივლია, რადგან ვერ წარმომედგინა მეზობლის ღალატი. შეიძლება ამიტომაც ცოლის უსამართლო ბრალდებამ რაღაც სხვანაირად ამძგერა გული. მართლაც, ერთ დღეს დავაკვირდი ამ შეჩვენებულს, ავეუარ-ჩავეუარე და რას ვხედავ—თვალეებით მჭამს. გუნებაში ვთქვი, თუნდ მოგვკდე, ამის ხელიდან გამშვები არა ვარ-მეთქი. ახლა რომ უყურებ ამ ბალანგაცენილსა და დაგლახავებულს, ასეთი კი არა, კვერცხივით დამრგვალებული, სუფთად დავარცხნილ-გამოპრანჭული იყო. ნეტავ სულ მასთან მამყოფა, მისი ცქერით დამატკბოო, იტყოლი.

ორი წლის წინათ, ჩემდა საუბედუროდ, აწ განსვენებული მისი ქმარი სოფლის შუაგულში მოჰკლეს, სწორედ იმ დროს, როცა საქათმეში თავი ჰქონდა შერგული. ოხრად დარჩა დოვლათიანი ოჯახი და მზეთუნახავი ქვრივი. მე, როგორც ადრე მოგახსენეთ, მოჰპირნელ ცეცხოვობდი, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი გახლდით.

იმდენი არაფერი მქონდა, ჩემი ცოლ-შვილისაგან გადამერჩინა და საწყალი ქვრივისთვის მეჩლიადა, ხელცარიელი მისელა კი დაქვრივებულ-დამწუხრებულ მანდილოსანთან მეუხერხულეობდა. ერთხელ სანადიროდ წავედი, იღბლად მონადირეებისაგან დაჭრილი ბატი მოვიგდე კბილებში და გახარებული ცოლ-შვილთან გამოვიქეცი. გზად ჩემი მეზობლის სოროსთან ჩამოვიარე. რაღაც ეშმაკად, იგი სოროს შესასვლელთან ჩაცუქტულიყო, ცალი თათი სახეზე შემოედო და მწარე ფიქრებს მისცემოდა.

მივესალმე. მერე მოწიწებით ბოდიში მოუხსადე აქამდე ვერ განახე-მეთქი, მანაც მადლობის მაგიერ თავი დამიქნია და ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ეჰ, ყველას მაშინ უხაროდა ჩემთან მოსვლა, როცა ღვინო წყალივით მომდიოდა, საკლავზე არ ვჩიოდი და სახრავზე, თორემ ახლა ერთი ობლად დარჩენილი, უშვილო და უძირო ქვრივი-

ოხერი ვის რა ჰქად ვუნდივარ.

ამ სიტყვებმა გული ამიჩუყა, ცრემლი ვეღარ შევიკავე და ატირებულმა ვუთხარი:

— ასეთ სიტყვებს რატომ ბრძანებთ, გთხოვთ, არ გაიმეოროთ, თორემ ჰკუზე შევირყევი. თქვენთან დიდი ხანია მოსვლას ვაპირებდი, მაგრამ თქვენს სახელსა და ღირსებას ვუფრთხილდებოდი, ხომ იცით, რანაირი ხალხია, ათას რამეს მოჩმახვენ.

დამიჯერა, მასაც გული ამოუჯდა და დიდხანს ქვითინებდა...

ამასობაში გაღმით მონადირეები შევინიშნეთ. მაშინვე სოროში შევძვერით და იქ განვაგრძეთ ლაპარაკი: მოვეყვით ძველიც და ახალიც, გავიხსენე მისი აწ გარდაცვლილი მეუღლე. შევნიშნე, ეს გახსენება მინცდამინც არ სიამოვნებდა, მერე აშკარად მითხრა: „ჩემი საწყალი გულყვითელა ძალიან ცივი და გულგრილი იყო, რატომღაც ავიწყდებოდა, რომ ცოლს მოფერება და ალერსი უნდა“. ვისმენდი ამ საყვედურებს და გულში მიხაროდა, მიზანთან ახლოს ვიყავი. ტკბილ საუბარში დრო შეუმჩნევლად გასულიყო. ნაშუალამევს სახლში წასვლა დავაპირე. ამ დროს სოროში გრიგალივით შემოიჭრა ჩემი ცოლი და, ნანადირევით დამშვენებულ სუფრას რომ მოავლო თვალი, კისერზე ნახევრად დაცეცილი ბალანი აებურძგნა და ჩემკენ გამოექანა.

— ვა-ვა, ნენა, ამას რას ხედავს ჩემი თვალეები, აკი იფიცებოდი, ფეხიცი არ დამიდგამს ჩვენს მეზობელთან, რაც ქმარი გარდაეცვალა? ეს არის შენი ფიცი? თურმე ნანადირევით აქ მოდიხარ და შვილებთან მისატან ლუკმას ამ გათახსირებულ დედაკაცს აჭმევ...

რა მექნა აღარ ვიცოდი, პირდაპირ გიჟ მელუას დავემსგავსე, მოულოდნელობისაგან ხმა ჩამიწყდა, მინდოდა დამემშვიდებინა, მაგრამ ხმის მაგიერ ხავილი ამომდიოდა პირიდან. ერთი კი წამოვიძახე „დე-ოე-და-იციო. მე... მე...“ და გავშეშდი. აქეთ ამ ქალბატონმაც გაუბა ფიცი, რატომ იმდაბ-

ლებთ თავს, ქალბატონო. იმ ჩემი ქმრის სახსენებელი წამიწყდეს, თუ თქვენს ქმარს ამის მეტი ფეხი შემოდგას ჩემს სახლშიო.

მაგრამ ჩემი დედაცაი არ ცხრებოდა და ცივი ხმით გაჰყოლა.

— ახლა უკვე ვიცი, ვინ დამიგო ეს მახე, — ამღვრული თვალებით განაგრძობდა მელა. — ვაი, იმის ბედს, რომ გალიაში ვზივარ, თორემ ვაჩვენებდი, როგორ უნდა ენის მიტანა და ასეთი პატროსანი ოჯახის აფორიაქება.

— იცით ვინ დამღუპა? — კარის მეზობელმა, დავუნახივარ ამ ქალბატონის სოროსთან, გაქცეულა და ჩემი ცოლისათვის მიუხარებია — შენი ქმარი გლალატობსო.

თანდათან დამიბრუნდა აზროვნება. გამხეცებულ ცოლს მოფერება, დამშვიდება დაუწყევ, მაგრამ არ გაჭრა... ქვეაგდო და თავი შეუშვირა. ვერაფრით დაუვაჯრე, შენი მოსიყვარულე ქმარი ვარ სიკვდილამდე-მეთქი. მერე შეილებიც აიყოლია და საქმე იქამდე მივიდა, რომ საკუთარი თავი შემძულდა. ბოლოს გადავწყვიტე, სახლიდან წავსულიყავი, წავედი კიდეც და აღარც დავბრუნებულვარ.

დავდიოდი თავგზაბნეული, ვერც ამ ქალბატონთან მისვლა გავხედე: ერთიც ვნახოთ და არ მიმიღოს, მაშინ ხომ მოსაკლავად გამიხდა თავი...

მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, საქმე უკეთ ყოფილა. ვიდრე მეგონა. ერთხელ ტყეში სანადიროდ ვიყავი, გაღმა ტყიდან მეზობელი მელა შემომხვდა და შეპარვით მითხრა, ქალბატონ ცნაფას თქვენი ნახვა უნდაო.

სიხარულისგან ისე დავიბენი, მაღლობის თქმა ვეღარ მოვახერხე, პირდაპირ მისი სოროსაკენ გავეშურე და გამთენიისას კარები დაუკითხავად შევალე. მოულოდნელობისაგან შეკრთა, თითქოს გაიკვირვა კიდეც. მერე დაბალი ხმით შეჰკივლა და ნახად მითხრა, თურმე, თქვენ ბრძანდებითო. ასე გვიან რამ მოგიყვანათ, ეინმემ რომ დაგინახოთ, ხომ მომეჭრა თავი მეზობ-

ლებშიო. მალე შემოდით და კარები მიხურეთ, არავინ მოგლანდოსო.

ასე დაიწყო ჩვენი ერთად ცხოვრება. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასეთი სახლ-კარისა და ქვრივის ბატონ-პატრონი რომ გავხდი, მაგრამ ერთი აზრებული თვისება ჰქონდა ამ დალოცვილს: პირველ დღესვე გამიცხადა: ხომ იცი, როგორ ცხოვრებას ვარ ჩვეული; ყველაფერი უნდა შემისრულო. კარგად იცი, ჩვენს ოჯახში ფრინველის ჯიშო არასოდეს გამოვლულაო.

ვიფიქრე, კერპობას მოვაშლევინებ-მეთქი და სამი დღის მანძილზე სოროში თავისი მეტი არაფერი შემიტანია. მაგრამ ამ შეჩვენებულმა ერთხელაც პირი არ დააკარა.

შემეცოდა: ვთქვი, რაც მომივა მომივა, რაკი ავიკიდე, ბოლომდე უნდა ვზიდო ჭაპანი-მეთქი და წავედი სანადიროდ... ბედზე ერთი მსუქანი დედალი დავიკირე და, სოროში რომ მივიტანე, ჩემს ცოლს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა, არ იცოდა რა ექნა, რა სასიყვარულო სიტყვებით არ მომმართა და მეაღერსა, კალთაში ჩამოწვა და თვალმინაბულმა მკითხა, კიდეც ხომ მოიტანო. მეც, აღერსით დამტყბარი, გავთამამდი და უთხარი, ხვალ ინდაურის ჭუქს მოვიყვან-მეთქი. ასე და ამგვარად მე სულელმა ქურდობა და სხვის საქათმეში ძრომა დავიწყე.

გავიდა დრო. ამასობაში ჩემი შვილებიც წამოიზარდნენ, დედაში ვერ გამოარჩევდით. ჩემმა ნაცოლარმა ისე დაგეშა, რომ მთელი დღე და ღამე თავებზე ნადირობდნენ. ბევრჯერ მიყურებია მათთვის, როცა გაიფანტებოდნენ და თავის სოროებს თხრიდნენ.

ერთ საღამოს ნანადირევი მომქონდა. ამ ოხერმა მშობლის გულმა ვეღარ მოითმინა და ვიფიქრე, მოდი ერთი ჩემს შვილებს გავახარებ, სულ თავის ლუკმაზე ყრიან და ამ ვარიით პირს ჩავაგემბრიელებინებ - მეთქი. მაგრამ თქვენც არ მომიკედეთ; იმ საძაგელმა დედაცაიმა ახლოს არ გამიკარა, წაეთრიე და წაათრიე ეგ შენი ნაქურდალი,

ამ შენს გათახსირებულ დედაცას მიუ-
ტანე, ის არის დაჩვეული არამსა და
ნაქურდალსო. ერთი ქმარი ხომ მოინე-
ლა, შენც იმ დღეს დაგაყრისო...

შვილებმაც აიყარეს გული და, ნანა-
დირვეით რომ დამინახავდნენ ქალბა-
ტონთან მიმავალს, ხმააწყობილი დამ-
ცინოდნენ — მამაჩემს ქათამი თავის
ტურფასთან მიაქვსო.

ვიცოდი სასაცილო ვიყავი, მაგრამ
რა მექნა? გემრიელ ლუკმას დავეჩვიე,
თავებზე ნადირობა სირცხვილად მი-
მაჩნდა. ახია ჩემზე, რატომ არ ვიფიქ-
რე, რომ კოკა წყალს ყოველთვის არ
მოიტანდა.

მზიანი დარი იდგა, მე და ჩემი მე-
უღლე სოროში ტკბილად ვჭუკჭუკებ-
დით, მომავლის გეგმებს ვაწყობდით. ეს
მზიანი დარი უეცრად ქარიშხალმა შეც-
ვალა. ყველაფერი ჩამოხრუნლდა, მოიღ-
რუბლა. შავი ნისლი ჩამოწვა. ვიფიქრე,
ქვეყნის დაქცევის დრო ხომ არ მოვიდა-
მეთქი და ფანჯარას ვეცი, მაგრამ, ვაი
შენს მტერს! — ალყაში ვიყავით მოქცე-
ული. ვილადამ თქვა, — ფრთხილად,
შინ ბრძანდებიან ჩვენი კუთხის ამომ-
გდებნიო. გასაქცევი არსად იყო, თან-

დათან სუნთქვა მეკვროდა, გავქვავდი,
მინდოდა ფეხი გადამედგა, ძალა აღარ
მყოფნიდა, მაგრამ მეუღლესთან არ
გავტყდი, ვჩურჩულებდი, ნუ გეშინია
ასეთი ფათერაყიდან ბევრჯერ გამომძე-
რალვარ-მეთქი, მაგრამ ჩემი ნათქვამი-
სა თავად აღარ მეგროდა. დიდხანს
თხარეს სოროს შემოსასვლელი. შიში-
სავან მთლად გავქვალარადი, ბუნდოვ-
ნად მესმოდა ბარის ხმაური, მერე ეს
გულისმომკვლევი ხმაური შეწყდა და
სოროში თვალის მომჭრელი სინათლე
შემოიჭრა. ვიფიქრე, გადავრჩით-მეთ-
ქი, მაგრამ სწორედ მაშინ ხელი ჩამავ-
ლეს და კისერზე ცივი რკინის სალტე
შემომიჭირეს...

ასე ბედუკუდმა წავიდა ჩვენი სა-
ამური ცხოვრება. მას აქეთ ამ ცივ გა-
ლიაში ვზივართ და აღარ ვიცით, რა
ხდება მზით გამთბარ და სიცოცხლით
სავსე ქვეყანაზე... ოჰ, როგორ მენატ-
რება ჩემი ალალი ცოლ-შვილი და ის
ადგილები, სადაც ოდესმე ფეხი დამიდ-
გამს!! ყველაფერი ამ ქალბატონის ბრა-
ლია. მაგრამ... ეჰ, ჩემო თავო, ვის შე-
რჩენია ნაქურდალი, მე რომ შემრჩენო-
და?!



გელმოწერილია დასაბეჭდად 6/11, 1967 წ. საბეჭდი 6. საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 3107, ემ 00567. ქაღალდის ზომა 60X90. ტირაჟი 1830.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარბიბლიოგრაფრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературули Аджара“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118